



ბევრი ვხედავ მეგობარს. შემიძლია: „სად ხარ, როგორ ხარ, ახლა რა ხარ?“  
გაგიუფო: ეჰ, რას იხამ, აღბათ ახე არ ვარ ხომალდი,  
თორემ თავად მოძებნადა!.. დრო ბრძენია, ხედი ყინული!



მოგეაჩიოლებს, მოგეაჩიოლებს სუთნობის ეკლესია,  
ადგილს ბოლოს აქ მოგვიყვანებს, სადაც არის ჯერია,  
დაგვიყვანებს, თავისთავად, მოქმედებე თუ მცენარე,  
თუნდა ვიცოდებენ, რას ვეძებენ? — უნდა ვერ  
მოგეაჩიოებს ვერცხვებს!

ალექსანდრა (ჯემალ) ჯღარკაძე

# ღმრთ

სიყვარულისა და სიკეთის ნიშნი...



ალექსანდრე (ჯემალ) ჯღარკაძე

ღმრთე

სიყვარულისა და სიკეთის ნიშანი...

თბილისი  
2012



## რელაქტორისაბან

ჯემალ ჯღარკავას წიგნი „დრო“ დღევანდელი დროის ყველაზე კეთილგონიერ მკითხველთა წიგნი იქნება. ამ გამოცემაში ავტორის სულის სიღრმიდან ამოსული სევდის სტრიქონები უეჭველად ყველას ადაფრთოვანებს, რამეთუ ისინი ალალი გულით არის ნაქარგი.

სამშობლოსადმი ერთგული, მრავალჯერ ნაწამ-ნაჯაფარი ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა ერის სიძლიერეზე, მის ბედნიერ მომავალზე... მიუხედავად სიდუხჭირისა, ტანჯვა-წამებისა, სულიერად მაინც არ დავარდნილა, რამეთუ სწამდა უფლისა და უფალმაც არ მიატოვა...

მკითხველი როს გაეცნობა ამ გამოცემას, უეჭველად მიხვდება, თუ რას ნიშნავს ღვთიური ჭეშმარიტების შეცნობა, თუ რატომ არსებობს იგი, ადამიანი...

დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.





## მხოლოდ მამული

თავბრუდამხვევად ზვირთდება გზნება,  
იღვიძებს გული – გული ინთება!  
ამოხეთქილი სისხლთ მდულარება  
ადვივ-ამძაფრებს ვნებათა ღელვას.

გონი ძლიერი, ამაღლებული,  
წმინდა, კამკამა, ვით მთის მდინარე.  
ივსება, მიჰქუხს თავაწეული:  
ლაღად, თამაშით, ხან კი მძვინვარედ!

ფაქიზი სული გამზევებული, –  
ფიქრი, მთასავით წამომართული, –  
ერთხანს უღონოდ დატყვევებული,  
მაგრამ ამბოხი სულ მომართული.

მრავალმხრივობით მყარად შეკრული,  
მრავალფეროვნად გარდასახული –  
ერთად ერთდება და გამართული  
ენით მეძახის: „მხოლოდ მამული!“

1981

## თუ გსურს (სონეტი)

ჭაბუკი დარჩე ბებერ კანში გამოკვართული,  
სამარადჯამოდ სასურველად სიმომართული,  
ქნარი შენი, რომ ქალწულივით აღფრებული,  
სულს ხმიანობდეს საამურად ამღერებული:  
რაც რომ გარდაგხდეს, რაგინდ ჭირში იყო ჩაფლული.  
ჩანგი არასდროს აიძულო გახდეს ზარული!..  
ბოროტებაზე იყავ მუდამ შუბალმართული:  
ყოველ სენისგან თუ გსურს იყო განკურნებული  
სიკეთეს მიეც გზა – სავალი გაღმერთებული!  
ჭაბუკურ გზნებით, ჭაბუკურად წელგამართული,  
იყავი ნამდვილ ცხოვრებაზე შეყვარებული!  
სიცოცხლეს მაშინ მიეცემა გემო ბადაგის,  
ხოლო სურნელი თან გაგყვება – მაისის ვარდის!

1981

## სულის სიმჟონია (სონეტი)

ლევა ფიქრები ლაციცებენ ღრუბელთ ლანდივით,  
რა მომნუსხველი, ღვთაებრივი დგება აისი...  
გაკრთა, იელვა, გაიფანტა ყველგან ბურუსი!  
მოლივლივე მყის აზვიროთდება ვნებათ ფუსფუსი!

ერთბაშად სწყდება რითმასავით ელვათ ენები,  
მრავალხმიანობს შთაგონება, ღრმად ნასვენები,  
ანაზღეულად შორეული ირევა ხმები,  
წარმოსახვას დიდს მრავალფერი ესხმება ფრთები!



ფიქრთა მდინარე გამალებით ივსება უხვად,  
აზრთა სიმრავლე, შთაგონება მაღაღებს მდუმარს,  
ბჭენი კი ეშხით იმოსება ფერიულ სულთა.

მშვენიერდება ყოველივე – ბრწყინავს ფერები;  
დაფარფატებენ მაღლა ცაში თეთრი მტრედები:  
მაცნე მშვიდობის, გამარჯვების – ბედნიერების!

1983

## რა იქნებოდა? (სონეტი)

ხელმძღვანელ პოსტზე დანიშნეს ბანძი, უქებდნენ ძალას,  
გადარეულად ტაშს უკრავდნენ, ფრთებს შლიდნენ ლაღად,  
თავდავიწყებით ეცნენ საქმეს, ბლიკვი ჰკრეს მრავალს,  
ახალ-ახალი იდეებით ეკვეთნენ აღმართს!..

გამოხდა ხანი, ძალა უფრო ძლიერი გახდა;  
გადეველო ღრეებს, მთებს და უცებ ცაში ავარდა:  
„აქ სჯობსო თურმე“ – და ეთერში გაინავარდა,  
გაავებული არწივივით, განა ჰპარადა.

ფილა როს აევსო თმენის, იგმინა ხალხმა:  
„უსამართლობას, ბოროტებას, სჩადისო მრავალს“,  
მაგრამ ზვარაკად ეწირება ის ამბოხს თავად.

რა იქნებოდა, რომ სიმართლეს მიეცეს ძალა,  
ძალას სიმართლე შემოეველოს ოქრო-ვარაყად,  
რათა მის ფრთებს ქვეშ გვეღულუნა მხნედ და ამაყად?..

1983

## არ სჯობდა განა? (სონეტი)

თვალისმომჭრელი სინატიფე ზეასვლის ნაცვლად,  
ასულსა ნაზსა გადაექცა დამთრგუნველ ძალად;  
სანამ ჰყვაოდა გაჰკიოდნენ: „ოჰ, რა ფერია!“  
მერმე ყოველი წარიმართა ჩვეულებრივად:

მის საუფლოსთან ფეხს ითრევდა მძუვანი ყველა,  
ისიც ხელდახელ მასპინძლობდა ქცეული ხელად,  
თუმც კი მშვენების საბურველი არ ადგა ქველად,  
ვერ სთმობდა მაინც ყოფას საძრახს ქცეულსა ჩვევად!

ასე ვიდოდა ერთფეროვნად დღენი ცხოვრების,  
უკვე მინავლულ-დაცრეცილი ცოდვით „ცხონების“ –  
ახალ-ახალი „აღზევების“ გაცხოველების!..

ოი, ბუნებრივ სილამაზეს, – არ სჯობდა განა, –  
სიმშვენიერის იმგვარი რამ რგებოდა რვალად,  
ერის წინაშე ყოველ დედას რაც აწევს ვალად?

1983

## სეზლიანი კაცის სიმღერა

გულით დაფიქრებული,  
სევდით დამძიმებული,  
დავალ მარტო, ეული,  
იმედგაცრეებული.

მუდამ გადარეული  
და გრძნობებ არეული...  
ვთელე გზები ხვეული,  
ფიქრებით დახვეული!..



ნერვთა სიმ დაწინწკლული,  
უბიწო სიყვარული  
იყო მუდამ მზაკვრული,  
როგორც ჩემი წარსული!..

დილის ვარდი ფურჩქენილი  
და ცბიერის ღიმილი  
იყო გადახლართული –  
ზეცისკენ მიმართული!..

მაისის ცვრით ნამული  
ოჰ! რაა გაზაფხული,  
წინ მომდგარი ზაფხული,  
გული კი დაზაფრული...

თუ მძიმეა წარსული  
და ხარ მისით გართული –  
არ გეკარება რული,  
სევდა გიპყრობს ფარული...

ნერვთა სიმ დაწინწკლული.  
უბიწო სიყვარული,  
იყო მუდამ მზაკვრული,  
როგორც ჩემი წარსული.

\* \* \*

ძველი ვნახე მეგობარი, შემომჩივლა: „სად ხარ, კაცო,  
ასე დიდხანს შეიძლება, შენი ძმა რომ აღარ ნახო?“  
გავიფიქრე: ეჰ, რას იზამ, ალბათ ისე არ ვარ სარგო,  
თორემ თავად მომძებნიდა!.. დრო ბრძენია, ჩემო კარგო!

1984

\* \* \*

საშინლად წვიმს.  
გააფთრებულ  
ჭექა-ქუხილს  
მძვინვარებას  
ავაყოლებ!  
რაც დარდი მაქვს  
ყოველივეს  
მის ხანძარში  
ვაქცევ ხოლმე!  
მინდა დავწვა  
და ნაცარი  
მთელ ქვეყანას  
მოვაფრქვიო,  
რაც კი ერთხელ  
ჩაკვდა ჩემში  
მსურს ხელახლა  
გავადვივო!  
მსურს აინთოს  
ნაპერწკალი  
და გადამდებ  
აღად იქცეს,  
ის რაც თითქოს  
ფარულია  
მნგრეველ ძალად  
გადაიქცეს!

1981



## რით განუგეო

ფიქრსა თუ განსჯას,  
აზრსა თუ აღქმას;  
თუ წარმოსახვას  
ვერ უხსნი გზას და  
ვერ აძლევ სავალს,  
დაიხშობ ძალას  
და თითქოს ძაღად  
აირევ გზა-კვალს;  
არ არჩევ მრუდს და  
არ არჩევ მართალს –  
ასეთ დროს რა ვთქვა?  
ასეთ დროს რა ვთქვა?  
– კაცი კი არა  
მონა ხარ, მაშ რა?!  
თუნდაც კისერი  
გქონდეს კამეჩის  
და ძალა ხარის,  
შენი გაწევა  
ნულს ედარება  
ადარა ჰყვავი!  
უამთასვლა – ხანი  
ფეხზე გაიკრა,  
სამას წელს გასძლო, –  
ვითარცა ყვავი, –  
სხვა არაფერი, –  
სხვა არაფერი!  
მხოლოდ „ხანგრძელის“  
გერტყმევა დამღი!  
აი, ასეთ ბედს  
თუ მიეც ხარკი,  
შესწირე თავი –  
რა უნდა გითხრა,  
რა უნდა გითხრა,

რით განუგეშო,  
არა ხარ კაცი!  
კისერი თუნდაც  
გქონდეს კამეჩის  
და ძალა ხარის...  
გონი თუკი გაქვს  
გამრუდებული –  
კაცი არა და  
მონა ხარ ნადლი!

1981

\* \* \*

სიშმაგით ვარ შეპყრობილი  
და გაჭრილი ბრძოლის ველზე;  
აზრებს, გზნებას ვაჯახებ და  
კვალს ნახისხლარს ვტოვებ გზებზე!..

1982

### **ბაშმარჯოს ვეთაყვანე (სიმღერა)**

ჰანგებს ქართულს  
ღვთიურს – ზღაპრულს,  
მისით გართულს  
და დანადმულს  
აღარ მახსოვს  
არაფერი,  
გარდა ტრფობით  
ტკობის მეტი!  
ეს ფიქრები  
სატრფო ჩემი,  
სიშმაგე კი –  
გზნება მისი,

სად იელვებს,  
სად გაქრება  
ვერ გავიგე  
ვერაფერი...  
აღბათ გული  
დადაღული  
უკეთა გრძნობს  
სად არს წყლული?  
„სადაც წიწკნის,  
სადაც კვესავს  
იქ შეიყვანს  
თავის ნექტარს!“  
ჰანგებს ქართულს  
ძალზე ნატრულს;  
მისით გართულს  
და დანადმულს  
მაგიწყდება  
ყველაფერი  
გარდა ტრფობით  
ტკბობის მეტი!...  
საამო და  
ტკბილ წვედიადში  
სულის სიმი  
როს ერთვება,  
ის ხეთაებრივ  
სამოსელში  
მყისვე ჰპოვებს  
აღმაფრენას!..  
ჰანგებს ქართულს,  
ქართულ ჰანგებს,  
ზღაპრულსა და  
მონავარდეს,  
დარდის გამქრობს  
სვედის გამქრობს  
გაუმარჯოს,  
ვეთაყვანე!

## სიყვარულო (ოდა)

ო, სიყვარულო...  
ო, სიყვარულო...  
ო, სიყვარულო  
ტკბილსაამურო,  
გზნებით აღვსილო  
მით დაფერილო  
გზაო სავალო,  
უ-უსასრულოდ!  
– დვთაებრიობავ,  
ადამის ძეთა  
და სულთა ჩვენთა  
ტკბილო ზმანებავ!  
ო, სულთა ჩვენთა  
ნუგეშმცემელო –  
ნელსაცხებელო,  
სხივთამფრქვეველო  
მზევ აღისფერო!  
ნათელმოსილო,  
ჰაეროვანო,  
ნაყოფდასხმულო,  
სალხინობელო!  
განსხეულებავ  
ყოველ მიწიერ  
სიხარულისა,  
ცად აღმართულო,  
რწმენის დუღაბო.  
შენს მადმერთებელ  
ჩემი სულისა!  
ო! მადლიანო,  
უ-უკვდავებად  
სახელდებულო,  
ყველაზე უფრო  
მშვენიერო,  
უმხურვალესო!



მე, შენ გიმღერი  
ყოველთა ღმერთო,  
შენ – ჩემო ერთო,  
ყოველად წმინდა  
სასუფეველო!  
შენ, ჩემო ერთო,  
ე-ერთადერთო  
ხელისუფალო!!  
– უფალო ჩემო,  
სისხლო წმინდაო,  
სიცოცხლის დედავ,  
სულ განთიადო –  
ო, შენ რომ არა.  
ო, შენ რომ არა,  
ღმერთმა გვიფაროს.  
ღმერთმა არა ქნას:  
ადამის მოდგმა  
ერთურთს დასჭამდა!  
ერთურთს დასჭამდა!!  
ერთურთს დასჭამდა!!!  
ერთურთს დასჭამდა  
დაუფარავად.  
ო, შენ რომ არა...  
ო, შენ რომ არა  
ღმერთმა გვიფაროს,  
ღმერთმა არა ქნას...  
ო, სიყვარულო,  
იდიდე მარად!  
წამლად და შვებად,  
შვებად და ლხენად,  
ისევ და ისევ  
ყოველ ჩვენგანთა,  
ყოველ ჩვენგანთა,  
ყოველ მოკვდავთა  
გადასარჩენად!..

## ო, ეს შემადღებინე...

მინდა ვწერო კარგი ლექსი,  
თავო, ფიქრებს გაუძევი:  
ნუ იწყენ თუ გაგაწვალებს  
„ძველთაძველი მაინძევი“.

შთაგონებავ, მოდი, გელი,  
გულს ამხადე ლოდი ძველი,  
ნამდვილად ღირს შევანვენოთ  
ცოდვა ვეას დროინძელი!...

წარმოსახვავ, ყოველ მსახვრალს  
მიმაწვდინე მე ხმალდახმალ!  
ო, ეს შემადღებინე და  
დასისხლულიც მოვრთავ ხარხარს...

თანამგზავრო – ფიქრო ჩემო,  
მზევ, ნათელო სიცოცხლეო!  
სულ სიკეთეს ვემსახუროთ,  
სულ ღამაზად ვიოცნებოთ!

მინდა ვწერო კარგი ლექსი,  
თავო, ფიქრებს გაუძევი:  
ნუ იწყენ თუ გაგაწვალებს  
„ძველთაძველი მაინძევი“.

1985

\* \* \*

„დიდთან დიდი და პატარასთან ვარო პატარა“  
თავმდაბლის ნიღაბს ისაფრებდა, მახსოვს, სატანა:  
გატანა ვიცით, – უთხრეს ერთხელ, – ბევრის ატანაც,  
მაგრამ ნიღბოსნებს ვერ ჰგუობსო გული პატარა!  
ამასთან მძლავრად წაატანეს ხელი სატანას  
და სახტად დარჩნენ: ქცეულიყო იგი ლატანად!

**P. S. გატანა იცის, მართლაც, ხალხმა – ბევრის ატანაც,  
მაგრამ ზღვარს იქით თუ შესტოპე გაქცევს ტალახად!**

1985

## ოღონდაც

ფიქრები წარსულზე მწვავს, მღრღნის და მადონებს,  
– რამდენი მაცურეს, რამდენი მალორეს,  
ო, მაგრამ იქნება, მოფუელი მაგ ღორებს...  
ადარა დავზოგავ არცა დროს, არც ღონეს!

განვიცდი სიმძაფრით, ძველს ვლანდავ ნაბიჯებს,  
ის წლები, რას იზამ, ფეხს ახლაც მაბიჯებს,  
– ზომაზე, ზომაზე! უფრთხილდით მაგ ჯიბეს,  
ოღონდაც ძალიან სახეს ნუ დაიდრეჯთ!...

1979

## მიდი, გასწიე!

რა დროს დარდია,  
რა დროს სიბერე,  
მიდი, გასწიე!  
მიდი, ინებე!  
უღელი გაწევს,  
განი სიბეცეს!  
არ დაიხარო,  
ხარო, ვიდრემდე  
სიქა არ გაგძვრეს  
სულ მთლად კიდემდე!  
გასწიე, ხარო,  
მკერდი სიკეთეს, –  
ბოროტი მუდამ  
ფეხით მისრესე,  
დინჯად იარე,  
ხანაც იელვე –  
მუხლჩაუხრელად,  
კიდით კიდემდე!  
შენ გენაცვალე,  
მამულს მიხედე!

1981

\* \* \*

არარაობავ, უსახო ხარ და უფერული,  
მაგრამ, იმავ დროს – საწყისიცა ნიშანდებული!  
მაშ თუ ასეა, რაობაზე მეტი ყოფილხარ,  
ყოფიერებას ბეწვის ხიდზე გადადგომიხარ!...

1982

\* \* \*

ფიქრობ ერთს, სხვას ირწმუნები უსირცხვილოდ დაჯერებით,  
მშვენივრადაც ავარაყებ, იღვენთები, თუმც ჯერ ერთი,  
შენცა წვალბ, სხვასაც ასე... სიმართლის ვარ, რა ვქნა, მთქმელი:  
ბევრჯერ გუდას დაცლი, მაგრამ მოგეცრება მუდამ ხელი!..

1985

\* \* \*

წინ მიდგას ბოთლი  
ღვინითა სავსე...  
სვენ-სვენებით ვსვამ,  
მადას ვიმატებ.  
თანაც ვაყოლებ...  
დარდსაც ვაყოლებ  
და თავს ვგრძნობ ისე  
მხიარულების  
განცხრომის ღმერთი,  
ვით დიონისე!...  
მაშინვე ვიწყებ  
ლექსების წერას,  
ვცარიელდები:  
აღარ მერევა,  
ერთმანეთს ერწყმის  
მძლავრი რითმები,  
სასწაულია,  
მძლეთ – მძლეობის  
მძვინვარე განცდა:  
თავბრუდამხვევად  
გრიგალივით  
გადაჰქუხს კიდეს!  
თავს არა ვზოგავ,  
მაგრამ ამოდ,

ვეძებ ამაოდ  
სიყვარულის თასს  
სულის სალბუნად,  
რომ გავინელო,  
აზვირთებული  
სიშმაგე სრულად!...  
წინ მიდგას ბოთლი  
ცარიელი...  
შევსცქერი გესლით...  
საოცარია...  
საოცარია...  
მოკვდავთა ხვედრი...

1979

\* \* \*

ადამიანო, ვუფროხილდეთ თვისტომთა ჩვენთა ღირსებას,  
მისი გათელვით, მითხარით, ვიღას რგებია ღიდება?  
მაშ პატივი ვცეთ, – გვახსოვდეს დაუწერელი კანონი:  
გვიყვარდეს მოდგმა ადამის, გვიყვარდეს ჩვენი გვარტომი!

1985 გუბერსკი

## კანონი ციხის...

ციხე... საკანი...  
რამდენი მარჯვენა,  
რამდენი ვაჟკაცი...  
საყდრული სიჩუმე  
და ხანაც კაკანი...  
– იმედი შიშველი,  
ძრწოლა და კანკალი...  
ფიქრები ათასი,  
– ოცნება ჩამკვდარი...  
ხეიხვინი, ხიხინი,  
ფშვინვა და ხანხალი,  
ხანდახან, რომელიც  
ბობოქრულ ხვრინვაში,  
გულშემძვრელ ხრიალში  
მოსხლეტით გადადის!...  
შაყირი – მაყირი...  
ურდულის რაზრაზი,  
ჩხარუნი კლიტეთა,  
საზარზე საზარი!...  
სიმწყობრე მორჩილი,  
თვალეები ჩამქრალი,  
და მაინც იმედით  
მზირალი ალალი...

ბალანდა – მალანდა  
და პური შავ-შავი,  
– ეს კია, ნამდვილად  
შიმშილი არ არის!...  
სტომაქი ივსება  
„ქალწულურ ნარნარით!“  
წამალი სრულებით  
საჭირო არ არის:  
ო, ისე გადიხარ



გრუხუნით, გრაგანით  
გსდევს განცდა ისეთი,  
დაჰკარგე ნადავლი;  
გრძობა გაქვს იმფერი  
არა გყავს ბადალი...

ვიღაცას შეხედავ,  
გგონია აფთარი,  
თუმც უმალ რწმუნდები,  
რომ არ ხარ მართალი.  
ო, მაგრამ რას იზამ?  
ცდუნება ამგვარი  
ასეა უნიფხვოდ  
ლულაში გამძვრალი!...

მიმოდის „ოპერი“.  
ქართველი ამაყი,  
და ზოგჯერ სომეხი,  
ზოგჯერაც – თათარი...

დომინო, შაში და,  
თუ ბრძნული ჭადრაკი  
ინებე, გაერთე  
თუ იცი თამაში...  
ლექსიც თქვი თუ გინდა,  
თუ გინდა ზღაპარი,  
ნადღია ნამდვილი,  
არ უნდა ბაზარი,  
აქ არის ერთი რამ  
მთავარზე მთავარი...

ღრენა და კბილების  
ჭრაჭუნის, ღრჭიალი,  
უცილოდ ნიშნადა  
ქცეულა სიმკაცრის!...

ცხოვრება მარწუხის  
ჩარჩოში ჩამჯდარა,  
ცდომებს ხომ სრულებით  
საფარი არა აქვს.  
„იჭრები“ ყოველთვის  
პირველად, არიფი,  
თავს თუ წამოყოფ და  
არ გაწექ ცხვარივით...  
კანონი ციხის,  
კანონი საკანის  
ნიადაგ გვაფრთხილებს,  
ნიადაგ გვასწავლის...  
ცოდნას ბევრს შეიძენ,  
ზნესაც კი შეიცვლი,  
გამოსხვალ – იქნები  
„გამოსულ–ბრძმედილი!“

1985 გუბერსკი

## საბანში

იფიქრო? – მითხრა ერთმა,  
– იფიქრო? – მეორემაც,  
– ოი, აქ რამ მოგიყვანა  
ფეხმან შენმან თუ ჭკვა თხელმა? –  
სინანულით მესამემან  
თქვა და ბრძნობა შეიფერა.  
– უკაცრავად, ბატონებო,  
თქვენც შეგინდოთ და მეც ღმერთმა!

1985 გუბერსკი

## არ დაიჯერო

თ.ძ.-ს

ვიცი, ვიცი რაც გწვავს, რაც გლრნის,  
რაზეც გტკივა გული,  
რალას იზამ, ეს ცხოვრება  
ასეთია კრული!

ბედი, ბედი, ოი, ბედი...  
რას გვიმზადებს? საბელს?!  
სახელს ეძებს? არავითარს,  
არ დაგიდევს სახელს!

ბედის მდურვით, მართალია,  
ვერ გავაგნებთ გზა-კვალს,  
ვერაფერსაც ვერ დავაკლებთ  
ბოროტსა და მსახვრალს,

მაგრამ გული, როცა გული  
ველარ იტანს ამდენს,  
რალა ჭირი უნდა უყო  
სიმწრის ღვარსა ნადენს?

ვეკითხები თავს ამას და  
თავსაც ძალუმ დავხრი,  
– არა, არა, მაინც მჯერა  
ფარ-ხმალს ჩვენ არ დავყრი!

ჩვენ უფლება არც გვაქვს ამის,  
რაც უნდ გვიგონ მახე,  
რისი შიში – გაორება  
თუნდ გვიღირონ სახრე!

მტერმა მანამ არ იძინოს  
ხელს ჩავიქნევთ სანამ,  
ტყავი ასკეც გასძრობოდეს –  
დახოსავდეს თანაც!..

მჯერა მალე დადგება დრო –  
ჩვენცა გავშლით მკლავებს,  
სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავთ,  
გავახარებთ თვალებს!..

სიზმარია? მირაჟია;  
ეს ყოველი განა?  
არა, აღარ დაიჯერო,  
იგი წყვედიადს ფანტავს!

ჯურღმულში ვართ ჯერაც, მაგრამ  
ამის რწმენა თან მსდევს;  
ქართულ ზღაპრის გმირებივით  
დაცავლენავთ ქაჯეთს!

მაშ, კეთილად აგვისრულდეს  
აგრერიგად თქმული;  
მამულისთვის – სინათლისთვის,  
დე, გვიძგერდეს გული!

**1985 გუბერსკი**

\* \* \*

თანამგზავრი ცხოვრების და ბრძოლის წარმართველი,  
ისე ძვრება ჩვენს ყოფაში, ვითომც არაფერი,  
მეგობარო, მეგობარო, მე ვინა ვარ შენთვის?  
– რწმენის, რწმენის სიძლიერეს ვერაფერი შესცვლის!

\* \* \*

კეთილო ჩემო, დააკვირდი ცხოვრების ხლართებს,  
არ გასცდე სამანს, დაფიქრება, სიმშვიდე გმართებს.  
თორემ უამთასვლა, უეჭველად, დაგცემს, დაგტორავს,  
ან შესაძლოა თევზივითაც ამოჰყვე ბადეს.

\* \* \*

იმრომ–იღვაწე, წუთისოფლის რაობას ენდე,  
ისიც გაგიგებს, გითაყვანებს, მიგიკრავს მკერდზე,  
მაგრამ თუკი რამ შეგეშალა, ჩემო ძმობილო,  
მერმე წუწუნი ვერას გარგებს საკუთარ ბედზე!

\* \* \*

„მას მოიმკიო რასაც დასთეს“ – თქმულა ძველთაგან,  
სული ამ სიბრძნით, რომ გაგვეთბო ყველას, ჩვენთაგანს,  
მაშინ სიმრუდე ქვეყანაზე არ იქნებოდა,  
ყველა მოკვდავი შეგვეერაცხა უნდა ზესთმავლად.

\* \* \*

ნუღარ ვიდავებთ, იმ ქვეყნად ყველას დაგვესერავს მატლი  
და სიცოცხლეში თუ სიკეთის არ გვფარავს მადლი,  
ეჰ, ჩვენი თავი, მაშინ, ძმაო, ჩავთვალოთ ღეშად,  
ან ტყემაღზე ვართ, მაგრამ კი გვსურს მივირთვათ ბალი.

\* \* \*

მასში ვინც გვიყვარს – შევამჩნიოთ ძნელია ნაკლი,  
ბეწვიც კი ღირედ ეჩვენება მოძულეს თვალში.  
– ეს ღვთით ასეა! მაშ რას უცდი, ჩემო ძმობილო,  
შენც ადექი და შეაყვარე თვისტომებს თავი.

\* \* \*

ნუ აქილიკებ – რაზეც სისხლი დაუნთხევიათ.  
რაზეც ბრძენკაცებს ღამეები გაუთევიათ.  
თუ ძალა შეგწევს, შეეცადე სიასლე ნახო,  
ან დაიცავი, რაც ოღითგან დაუდგენიათ!

\* \* \*

კმაყოფილი ბედით შენი უნდა იყო მუდამ:  
მღურვით, ჭმუნვით ვერას უზამ წუთისოფლის ბრუნვას,  
ფუჭი არის ყოველივე მოსთხოვო მას სრულად,  
დასჯერდე სჯობს თუკი მცირედს დაგიბრუნებს ხურდას.

\* \* \*

სიმართლესა თვალები რომ გაუსწორო უნდა,  
ამას განა დაფიქრება, რაღა, რა თქმა უნდა!  
მაგრამ მაინც თუკი გკითხავთ, ნუღარ მიწყენთ ნურას:  
მზით თვალებს ვინ აიჭრელებს, ვინ „წარიწყმენდს“ სულსა?...

\* \* \*

ის, რაც არის ეგ ზომ მწარე, ეგ ზომ დამტანჯველი,  
მას ვერასდროს გავექცევით, ვერა, ვერაფერით.  
თუ ასეა უექველი ხვედრი ჩვენი მწველი,  
რაღად ვცოდავთ საცოდავნი... ვიღრიცებით წელში?

\* \* \*

სხვისგან რომ ელის ათას რასმე ნიადაგ ლეში,  
ბიჯს არ გადადგამს არავისთვის არაფრით, ნებით,  
– საგაღალღოა, მაგრამ ხშირად გვამი ამგვარი  
ბედნიერია, მერე როგორ თავისი ბედით?!

\* \* \*

გაურჩხულება არცთუ ისე, არისო ძნელი,  
ნიადაგ ამას ჩაგვჩურჩულებს მცნებანი ძველნი,  
– დიას, ასეა! გულშიც ვამბობთ ჩუმად ჩვენც მაგრამ,  
მანცა ვხვდებით ამ ბიწიერ დინების მსხვერპლნი.

1985 გუბერსკი

\* \* \*

ისუმრე, ძმაო, თუკი იგი მიზანში ხვდება,  
ამაზრზენი და შხამნარევი ქილიკით თქმული,  
გესლია მხოლოდ, ერთი მითხარ, ვის რად სჭირდება  
დაშლილ–დაცლილი, გაცვეთილი სადარი ნულის?

\* \* \*

გხვდები რაზეც ფიქრობ, იწვი, რაზეც გიწუხს გული:  
მარცვალს მიმოფანტულს რომა... ველარ ხედავ ხნულში.  
მიკვირს სამარეს წინასწარ ვინ იმზადებს ერთი.  
გაყუჩდეს, რულს მისცეს თავი, არ ამაღლოს სული?

\* \* \*

ნუ იფიქრებ წუთისოფლის ხარ უნიფხვო გერი,  
გაჩენილხარ? მაშ გახურავს აი, ამ ცის ჭერი;  
ასწი თავი, წილი შენი გაახარე ჭია,  
როგორც ყოველს ამ სოფლისას, შენც სახელი გქვია.



\* \* \*

თავის შიშით სხვას ხელს ვეღარ, ვეღარ უწვდი, გარბი,  
„ინავლები“, იცი შენი გაცვეთილი ფასი;  
ისიც იცი – წუთისოფლის აგაკნავლებს კლანჭი,  
ბარემ ჰქენი – გადაიკარ სამოსელი ზღარბის...

\* \* \*

კაცის რა გაქვს შერჩენილი, დაგიხრია თავი,  
ქვეშ-ქვეშიდან იყურები დღენიდაგ მწყურალი;  
ვერ მიმხვდარვარ: ვინ ხარ, რა ხარ შენ ასეთი მაინც,  
რისთვის მოხველ, ღმერთო ჩემო, გაახილე თვალი?!

\* \* \*

გვართობს, გვალადებს მოგონება გარდასულ წლების,  
სითბო და ძალა ემატება, რაც რომ არს ძველი...  
და თუ ის იქცა საჩოთიროდ, სადავიდაროდ...  
ან მსმენელია დამთხვეული ან მისი მთქმელი.

\* \* \*

ყველაზე უფრო მოგონებებს მაშინ აქვს ფასი,  
როს წარსულსა და აწმყოს შორის გამწყდარა ჯაჭვი,  
მაგრამ იმედი იმის მაინც სუფევს, არსებობს,  
მომავალი რომ უეჭველად აღადგენს კავშირს.

**1987 წ. გუბერსკი, როსტოვი, რიაზანი.**

\* \* \*

ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ ვინ სთქვა არ აქვსო ზღვარი  
თუ სამართალი არ ამშვენებს, რა არის მაშინ?  
მაშ საჩოთიროდ ნაღდი ნეტავ რად გაგვიხდია,  
ჩვენც სიმართლისთვის შეგვეწირა დრო, თუნდაც თავი!...

\* \* \*

სიბრძნე ხიდია, ოქროს ხიდი ფასდაუდები,  
ცხოვრებას ეშხით ღაღად გახვალ მაგ საუნჯეთი,  
– ასეა, მაგრამ მხოლოდ ცოდნა რას გარგებს მაგის  
ან თუკი ფარხმალს ანაცვალე ხმა ნაირფერი?

\* \* \*

სიდიადეა წინ აღუდგე უკეთურ ზრახვებს,  
სადაც კი შეხვდე, დაამსხვრედე მას თავზე სახრეს,  
მშვენიერია, კეთილო ჩემო, ესე მესობა,  
გაუცხოებულს უბრუნებდე ბუნებრივ სახეს.

\* \* \*

საყოველთაო რაც არის ქვეყნად, მშვენიერია,  
სხვა რამ „სიამე“ ცდუნებისა წამიერია,  
მასში ვერც კპოვებ ვერასოდეს თვითდამშვიდებას  
და არც გაოცდე თმაში თეთრი თუ გაგერია.

\* \* \*

სიწმინდე სულის – ღვთის მადლია განუზომელი,  
ამ სამყაროში მას რა შეცვლის, განცდა რომელი?  
ფუჭად ირჯები, მეგობარო, სჯობს გონს მოეგო,  
ირწმუნე არ ვარ, არავისთვის ავის მდომელი.

\* \* \*

იყო ამაყად მაშინ, როცა მწვერვალზე იჯდე,  
განა მას ნიშნავს მყინვარივით არ ჩამოიქცე...  
მოკედავი რომ ხარ, როგორც ყველა ადამის შვილი,  
თავისწვალებას არა გიჯობს სადად მოიქცე?

\* \* \*

დასუსტებულმა საძნელოა გადურჩე სნებას,  
ქროლვას ქარისას თან დაჰყვები, გადიმტვრევ წველსაც.  
– მაშინ სადა ხარ სანუკვარი დღე რომ იალღებს,  
გამოდი მზეზე, ვერ გავიგე, ჩრდილში რად დგეხარ?!

\* \* \*

მრავალმხრივობა, მრავლსახე ჰქმნის ჰარმონიას,  
ეს ასე არის, მეგობრებო, თქვენ რა გგონიათ?  
– საქართველო ხომ ამისია ნაღდი ბეჭედი  
და ნეტავ იმას, ვინც ამ ბეჭდის ნატვრის თოლია!

\* \* \*

გულშხამიანო, გაარჯლებულ ღვარძლი რომ გაზის,  
ბედნიერებას რად ესწრაფვი, ხომ იცი მაინც,  
იგი ვერასდროს ვერ გეწვევა, ჩემო თვისტომო,  
სანამდის სენს არ მოიშორებ თუნდ გაძვრე ტყავში.

\* \* \*

რაც რომა სოფლად გავჩენილვართ საცოდავები,  
თავიც გვქონია, ფეხებიც და მგონი თვალებიც...  
– მაშ რას ვჭმუნვარებთ, რას ვჭოჭმანობთ, ჭკუას მოეუხმით –  
შთამომავლობას თავსაყრელი რჩება სათქმელი!

\* \* \*

იმიტომ გავჩნდით ქვეყნად, ჩემო, კეთილო კაცო,  
ვივარგ-ვიწვალოთ, ბლომად ოფლი და ცრემლიც ვღვაროთ.  
ეს ხომ არსობის თილისმაა დაუწერელი?  
მაშ მიჰყვევო, ესდით – ვინძლო ჩვენმა ნერგმაც იხაროს!

\* \* \*

ხოტბას მოითხოვს, თანაც ყველას დასცქერის ცერად,  
რაც რომ იღრინოს, ვინ შეუქებს მაგდაგვარ ქცევას.  
ცნება დაღადებს, ვერ გავიგე რას ინიღბება,  
თავი დახაროს, ერჩიოსო ცრუ ძალისსმევას!

\* \* \*

გხედები: გაღხენს და აღმაფრენას ეძლევი მაშინ,  
შენს საამებლად როს ირჯება ხელქვეითთ რაზმი,  
გამრიგეს არსთა ასეთი რამ თუ დაუნისრავს,  
როგორც მოითხოვ ისე გაეც – ესე მწამს ნაღდი!...

\* \* \*

ითვლის, იზომავს ყოველივეს, სხვა არვინ ახსოვს,  
ქონი გულს ადევს, საკუთარი სტომაქი ახრჩობს, –  
თავი მიბრუნის, ვერაფერი ვერ გამიგია,  
ვნებებს უნახესს ასე მდაბლად ნეტავ რად აცხრობს?...

\* \* \*

გზაზე მიდიხარ თავდახრილი ერთი რწმუნებით:  
ჭეშმარიტების მძებნელი ხარ, თურმე ბუნებით,  
არაფერია, სინამდვილეს ვინ გაექცევა,  
საქმე ისაა, დაცალეწო მისი ხუნდები.

\* \* \*

მსოფლიო სევდას შეუპყრიხარ – დამდნარხარ დარდით:  
წუთისოფლის გსურს ფენილიყოს გზა ია–ვარდით,  
ეს კარგი, მაგრამ, მაშინ სად ხარ თვალს რად არიდებ,  
როს იძირება ძმა ძვირფასი და მეგობარი?..

\* \* \*

თავგამოდებით ირწმუნები – ხვითო ყოფილხარ,  
თითქოს ცდომები არასოდეს აღარ მოგსვლია,  
მე დაგიჯერებ, მაგრამ ერთი უნდა გამიგო:  
ნამდვილ ცხოვრებით მაშინ ნაღდად არ გიცხოვრია!

\* \* \*

ბოროტებას დიდს დაუღრნია ეს შენი სული,  
თავდამძიმებულს გენატრება სხვის თავზე ყულფი,  
– მგლური ბუნებით ვინ იხარა, ერთი მაკვირვებ,  
ამგვარ აგზნებით ხომ დაიხშე კარები გულის?!

\* \* \*

მოგვაქროლებს, მიგვაქროლებს წუთისოფლის ეტლი,  
ადგილს ბოლოს იქ მიგვიჩენს, სადაც არის ჯერი,  
დაგვიცხრება, თავისთავად, მოქიშპე თუ მტერი,  
თუნდ გაცოფდნენ, რას გვიზამენ? – ფეხს ვერ მოგვჭამს ვერვინ!

\* \* \*

უსულოდ და უგულოდ თუკი დაიარები,  
არ იქნება არ გღრნიდეს მწვავე – ღრმა იარები.  
მაშ ბნელით რად მოცულხარ, ნეტავ რად იტანჯები,  
სულის კლიტე გააღე, გახსენ გულის კარები.

\* \* \*

დაფათურობ სხვის სულში უწმინდური ხელებით,  
როგორ გითხრა, რა გითხრა, ხარ კი ღირსი ხსენების?  
მაგრამ ღმერთმა რადგანაც გაგაჩინა, მტარვალო,  
მაინც გეტყვი: „ტყავი მგლის საწბილოა ატარო!“

\* \* \*

ვისაც ჭია უსაშველო შესჩენია ეჭვის,  
დაღრღნის, დასჭამს, უეჭველად, მუხთალ სნებას შეჰყრის,  
თუმც ყოველი ბოლოს ალბათ გასწორდება წელში,  
მაგრამ ეს კი დაიხსომეთ – განა სამოთხეში...

\* \* \*

დრო მირეკავს, მიდის, მიდის, არც ზნეს იცვლის არც ფერს,  
უსასრულოდ სივრცისაკენ მიაცურებს აფრებს.  
უმაღურო თავო ჩემო, თუკი ამჩნევ ამდენს?...  
– არა! სულ ერთი არ არის დღეს წახვალ თუ ხვალე.

1985–1990 წ. წ. დედალაური (ხონი), ქუთაისი.  
თბილისი (გუბერსკი) როსტოვი, რიაზანი,  
იაროსლავი, კომი, რუსთავი (№3)

## ო, ღმერთო

ავგურთა ღიმილს ენაცვლება ცრემლი ნიანგის,  
ძარცვა და ყვლეფა, ყვლეფა და ძარცვა – სუფევს წყვილიად!  
ღიადი ვარო, რჩეული ხალხის ბრძანებს ჯაღათი,  
ცინიზმით სავსე – მხარს უსწორებს მაგვეართა რაზმი.

ჰოი, ქართველნო, ნუთუ მართლა ისე დავეცით,  
სტომაქის გარდა დავივიწყეთ ჩვენ ყველაფერი?..  
– ერი ამგვარი, უცილობლად, ამგვარი ერი  
განწირულია გასახრწნელად, სხვა არაფერი...

აკიაშვილნი, მოძღვრად როცა მოგვევლინება,  
გათელილია მაშინ ფეხქვეშ ერის ღირსება,  
ო, ღმერთო ჩვენო, ღმერთო ჩვენო, შენმა დიდებამ  
ო, შვილთა შენთა დასჯა, ნუთუ ასე ინება?

– გადაარჩინე საქართველო ძალითა მშვენით,  
ო, ამას გვედრი მუხლმოდრეკით, ო, ამას გვედრი,  
გადაარჩინე ძენი შენი, ასულნი შენი.  
ეს მითხოვნია, ღმერთო, ღმერთო, სხვა არაფერი...

1992 წ. 10 ოქტომბერი

## ნ უ თ უ ...

თახსირდება საქართველო,  
ვხედავ ეშმა ღრეობს.  
ნუთუ ერის გამყიდველნი  
გაიტანენ „ლელოს“?

ნუთუ ენას რუსთველისას  
დაედება ხავსი?  
ისიც, ნუთუ, რაც გადგვირჩა  
შთაინთქმება ხანძრით?

ეჰ, ქართველნო, ეჰ, ქართველნო,  
ეს რა მოგდით ერთი?  
თვისტომს, თვისტომს რომ ეკვეთეთ  
მახვილით და ცეცხლით?

ნუთუ სულ მთლად დაგწყვეტიათ  
თქვენ ნამუსის ძარღვი  
და ჯალათის ნაჯახით გსურთ  
დააჩოქოთ ხალხი?

ქართველებო, ქართველებო,  
ეს რა მოგდით, ღმერთო,  
ნუთუ თქვენში აღას სისხლი  
და სიდამპლე მზეობს?

ნუთუ სულ არ გირევიათ  
თქვენ ქართველის სისხლი?  
და მოხვედით აქობამდე  
ნიღბით, ნიღბით, ნიღბით?!

31 იანვარი, 1991 წ.



\* \* \*

დღეს ერთისაა,  
ხვალ კი – მეორის,  
ზეგაც – მესამის  
დღევანდელობის  
ეს ღმერთგამწყვრალი  
ბანძი „ესავი“...  
არ გასდის საღაც  
გახდება კრავი.  
თავს აკანტურებს,  
ობობას ქსელს ქსოვს,  
თან თუ მოგიგდო  
მეის ხდება მგელი,  
თხლე ამასოფლის, –  
ხდება ამგვარიც, –  
იქცევა ხელად:  
ქიციც იცის და  
ქიციმაცურიც,  
ფანდი მაცდურის  
უფალმა უწყის  
მირეკავს საით  
ეგ თავგასული!...  
ზეობს ასეთნი –  
დღეს არის ეგრე:  
რა ვქნათ მურმანნი,  
ველარ იტანენ  
ქართველებს – მეგრელთ?!.  
ეგრეა – ეგრე?!  
რითმას მოჰყვა ეგ,  
ეგ, სხვათაშორის,  
ალბათ გამიგებთ,  
საღღაც ნამცეცი  
თუკი რამ შეგრჩათ,  
ნამუსი მაინც  
გაფიცებთ, რაღა,

არ გიპყრობთ ხოლმე,  
ეჰ, სინანული?  
გასხვისებულა  
ასე უღმერთოდ,  
ასე უღმერთოდ  
როცა მამული??

2001 წ.

\* \* \*

სიცრუე ზეობს,  
სიცრუე ხარხარებს,  
„მიმწოლი“ ტიპები  
მომრავლდნენ, გალადდნენ;

ცხოვრება – რას იზამ  
„წინ მიდის რიხინით“  
– ქართულ სულს, ქართულ სულს  
რა ელის, ვინ იცის?..

შიმშილით კვდებიან  
ამაყნი ქართველნი,  
დროიძის ვისაც რომ  
არა სურს სახელი.

რას გახვალ, გინდ გასკდი,  
საშველი არსად ჩანს,  
შიშველსა და მშიერს  
მფარველი არა ჰყავს!..

ცხოვრება ასეა –  
თახსირზე თახსირი.  
სიკვდილის აჩრდილი  
დაგყვება ლანდივით!

სიცრუე, უტიფრად,  
უსამნოდ გაჰკივის,  
უგუნურს, უსახოს  
აბრუებს „ჩანგივით“...

სიცრუე, სიცრუე  
გზას იკვლევს – მიიწევს,  
ჩრდილშია სიმართლე,  
ჩრდილშია სიწმინდე.

არსაით, არსაით  
არა ჩანს საშველი,  
„ბატონი“ სიღამპლე  
გიცქერის ამრეხით:

რაც ხდება ამ ქვეყნად  
ძნელია სათქმელად,  
– ხროვამ უწმინდურთ  
ეს კია გაგვთელა...

1996 წ.

## ნ ე ტ ა ვ

ცინიზმია ყველგან;  
ცინიზმია ირგვლივ,  
–იცრემლება დედა,  
ჩვილის დედა ჩივის...

პატრიოტი ქვეყნის  
იღვენთება – იწვის:  
გვეშველება ნეტავ?  
ნეტავ რამე გვიხსნის?

გოდებს სამაჩაბლო,  
აფხაზეთი მზეთი!  
გათელილი უხვოდ  
მუხანათის ხელით.

ჩანაგდება ხე-ტყე,  
იჩეხება ვაზი!  
გააგებულ თვისტომს  
ემშას დამდი აზის!

ხითხითებენ ავგურნი  
სატანური ძალით,  
ქართველობა აკრობოთ,  
ქართველური გვარი!

ნადგურდება მშრომელს  
შეუქმნია რაიც,  
გენოციდი ერის  
ხდება მთელის ძალით.

ინაგდება დღენი,  
წლები უხვოდ გადის  
ხიშტით, ხიშტით, ხიშტით,  
ითრგუნება აზრი.

ცინიზმია ყველგან,  
ცინიზმია ირგვლივ,  
–იცრემლება დედა,  
ჩვილის დედა ჩვიის...

1995 წ.

## თავისუფალ საქართველოს

თავისუფალ და ერთიან საქართველოს ხმა!  
მორჩა... კრემლის, იმპერიის სისაზიზღრის ზღვა,  
სისხლი, სისხლი, ქართველთ სისხლი შეჰდალადებს ცას,  
ცოცხლად გვწვავენ, ცხრა აპრილი... მოთმინების მთა...  
მონად ყოფნას სიკვდილი სჯობს, შენ რას მეტყვი რას,  
მოღალატე, პატრიოტის ნიღბით სულს რომ ხრავ?!  
მორჩა... ფრთხილად, უღმობელი დრო სასტიკი დგას:  
მგლების ხროვა ცხვრის სამოსელს დაატარებს თან,  
იმპერია დაჭრილ ურჩხულს, ცოფმორეულს ჰგავს.  
მტრისას, მტრისას ვისაც გაჰკრავს ეშვს შხამიანს ბასრს,  
თავისუფალ და ერთიან საქართველოს – ხმა!  
მონად ყოფნას სიკვდილი სჯობს ამას უნდა თქმა?  
მაშ რა არის მთარულად აქ სათქმელი სხვა!  
ერის, ერის ნებას გავეყვით დიდება მაგ გზას!  
თავისუფალ და ერთიან საქართველოს – ხმა!!

28 მარტი, 1991 წ.

\* \* \*

გახდი პარლამენტარი,  
დღე დაგიდგა ნეტარი,  
ხალხზე თუკი ფიქრობდი  
დღეს რასა იქმ ნეტავი?  
– შემოგყურებს იმედით  
თვისტომ მშიერ–ბეჩავი...  
ქე ვიცოდით რაც იყავ,  
მაგრამ რა ვქნათ? ეგ არი! –  
ქვეყანა არ გაფიქრებს,  
ყოფა მისი, დღე შავი...  
ვაი ჩვენს თავს უბედურს,  
არჩევანი არ არის,  
ჩაეხუტე სატანას,

„სინათლის“ მადებარი...  
უფალო, მიგვიტევე, –  
გვიდგას ბოლო დღე-ჟამი:  
„ვინც კაც ჰქვია, ვინცა იბოზა“  
ჩაასვენ ჩამოგვაცილე –  
თხოვნა, მუდარა ეგ არი,  
გვაკმარე ტანჯვა-წამება,  
ეშმაკს ჩაუქრე ვნებანი,  
ააყვავ ააკაშკაშე,  
სამშობლო ჩვენი მზესავით!

1999 წ.

## ა ს მ ა თ

წუხელის სულ აღარ მიძინია:  
მთელი ღამე თეთრად გავათენე,  
სიჭაბუკის წლები დამერია,  
ზღაპრულ გედს ოცნება დაგადევნე...

კვლავ იწყება ტანჯვა გაშეტებით,  
ვერ მოვერიე და დავიწვები,  
ღმერთო, მაპატიე, მაპატიე...  
– მიტარებია და ვეღარ ვხვდები.

უნებლიედ „კოლხურ კოშკს“ გავსცქერი,  
თვალგაშტერებით და გამეხებით;  
– ერთურთს ექარგება, ენაცვლება...  
და გული მიცემს გამალებით!

იქ მამულზე ფიქრში ათენებენ...  
ტაღლა მრისხანებით ეხეთქება!...  
– დღესავით ყოველი ნათელია:  
სიბნელეს სინათლით ეშველება!

1991 წ.

## დედა შვილს ნანა და მაკა მაღალაშვილებს

ეს, ნანა, ნანა; ეს, მაკა, მაკა!  
ნეტავ რა გითხრათ, რა გითხრათ, რაღა?!  
– ზეობს სიფლიდე თაგვასულობა,  
სიგახრწნილეს კი უნთებენ ლამპარს?!

ო, მაგრამ, მაგრამ, ო, მაგრამ – მაგრამ;  
გაგრძელებს ეგ უსამნოდ განა?  
სამშობლოს დალატს, სამშობლოს დალატს  
უფალი არვის შეარჩენს, არა!!!

1995 წ.

\* \* \*

კარის პოეტებს მოგმართავთ ყველას,  
გიცხონდეთ მამა, გიცხონდეთ დედა,  
ეგ ხელობაა – ნახელავისთვის  
გასამრჯელოებს აძლევენ ყველგან...

პოეტ ხელოსნებს, მწერლებს ამდაგვართ,  
ვითომ მოღვაწეთ, ვითომ ამადგართ,  
„ყავა ფინჯანი, სიცოცხლის ბოლოს,  
პანჩური ვირის, მორჩა! გათავდა!“

1999 წ.

\* \* \*

„ეროვნება, მხოლოდ  
არა აქვს ცხოველს“.  
– ბრძანებს ბრძენკაცი:  
ეგ რომ ასეა  
ყოფიერებაც  
მას გვიდასტურებს...  
ვერაფერს გეტყვით:  
რჩევასაც კიდევ  
თავს ვერ ვაკადრებ;  
ერთი კი არის:  
რომ მომავალი  
შეუბრალებლად,  
შეუბრალებლად  
გაგასამართლებთ!!!

2001 წ.

### პარლამენტარებს

ურტყით ერთმანეთს,  
აგინეთ დედა...  
მიმიძიშ თქმა კია:  
საგარძლისათვის  
საქართველო ხომ  
გაჰყიდეთ ყველამ!...  
ვინ აგირჩიათ,  
რად აგირჩიათ,  
მიკვირს ძალიან,  
იმას რასაცა  
კადრულობთ, ვახმე,  
იტყვიან ხოლმე:  
არა იქმსო რა –  
„ეგ დაქერილი  
აკია რომა!“

2002 წ.



## დაჰკარ და დაჰკარ

ო, გულო ჩემო, გაუძელ წარღვნას,  
ო, სულო ჩემო, ამბოხი მტარვალს,  
ხელი ჰკარ, ზიზღი მიაგე დალატს,  
ბიწიერებას აჰხადე ფარდა!  
ზრახვას წააწყდე უკეთურს საცა  
გააცამტვერე – დაჰკარ და დაჰკარ!  
სულო გეგმულო, ო, ვიცი, მაშინ  
შენ მოისვენებ სუფევით ცაში;  
მადლით ღვთიურით ილაღებს ხალხი!

1981 წ.

\* \* \*

დახუთულ ღრუბლებში  
ალაგ-ალაგ  
ვარსკვლავები იცრემლებოდა  
და ამით ბნელი,  
ბოროტი ღამე  
გუღს იოხებდა!  
ყოველივე ამას ამჩნევდა  
თვალი...  
მაგ თვალს დანისლულს  
და მრავალისმხილველს  
ო, ღმერთო, ღმერთო,  
ღმერთო,  
არავინ...  
ვარსკვლავები  
ალაგ-ალაგ იცრემლებოდა...

1979 წ.

\* \* \*

გზანი ძველნი  
გადახალისდა  
გზითა ახლითა  
და მართალითა.  
გზამ ხსნისამ  
ყოველს-ყორიფელს  
გზა გაუხსნა და  
გადაარჩინა!  
ახალო გეზო,  
გზაო ახალო!  
შენ გამიშუქე  
ცხოვრება ნათლით,  
მატარე მუდამ  
გზითა ახლითა,  
სიყვარულით და  
სიამაყითა!  
წელგამართული  
და შუბლნათელი  
მამყოფე ხიდად...  
მადლს შემოგწირავ...  
–ნდობისთვის დიდი  
მადლობა მითქვამს!...

1981 წ.

## სიკვდილ-სიცოცხლის გაპაექრება

### სიც-ლე:

ვხარობ, ვხარობ, ვნავარდობ  
ვნეტარებ სილაღითა!  
სიკვდილო, არაფრად გთვლი,  
არაფრად მიმანჩნისარ!

ამითა ვარ დღეგრძელი,  
სულ ფეხებზე მკიდისარ!  
ან რად ვიფიქრო შენზე,  
ან რა ჭირად მინდისარ?

### სიკვ-ლი:

როგორ მჯეროდეს შენი?!  
შიშითა ძრწი, კანკალებ,  
ჩემი გამოჩენა კი, –  
თავზარს გცემს, – გატიალებს!

გულარძინილი რადა ხარ,  
ასე რატომ მაალებ?  
თორემ გამოგიქროლებ,  
გაგწირავ და დაგამსხვრეე!

### სიც-ლე:

ვერაფერსაც დამაკლებ,  
აუგს ვერ გამაკარებ,  
შენს რაობას, ჩემმა მზემ,  
ექირდავ, უკუნს ვადარებ!

### სიკ-ლი:

გასაქირდი, რეგვენო,  
რა მჭირს ერთი ვიცოდე,  
მონაცვლებულს – შეწყვეტილს  
მარად არ სჯობს სიცოცხლე?

მართლაც, საკვირველია  
უგუნურთა მზეობა;  
გუელს რომ დაიმშვიდებენ,  
გამართავენ ღრეობას...

**სიც-ლმ:**

თითქოს მარად ცოცხლობდე –  
მართლაც მეტისმეტია!  
ეჰ, ბნელეთის მოციქულს  
სიცოცხლე გიწერია?...

**სიც-ლი:**

ახლა არ სთქვა, თითქოს რომ  
ჩემზე მეტი ხანი გაქვს,  
თორემ გამოგიქროლებ  
და დაგამსხვრევ ძალითა!

ჩემი შიშით ამ ქვეყნად  
ზეცა გრგვინავს, რიხინებს;  
სულიერი მუდამ ძრწის –  
ის მე ვერ დამივიწყებს!

**სიც-ლმ:**

სანამდეც ვარ ამ ქვეყნად,  
ჩემთან შენ რა ხელი გაქვს?!  
და როს წავაღ აქედან...  
შენთან მე რა ხელი მაქვს?!

ეს ასეა, იცოდე!  
ნირს არ ვიცვლი არასდროს;  
ქვეყნად მუდამ ვყოფილვარ,  
ვერც გამაქრობ მტარვალო!

უსირცხვილოდ იბახი:  
„ვის აქვს მეტი ხანო,  
ნუთუ ამის მიხვედრა  
ასე ძნელი არისო?“

რომ არ გავჩენილიყავ  
შენ ვინ მოგიგონებდა  
და ვით არარაობას  
სახელს რას შეგარქმევდა?

**სიკ-ლი:**

ვხედავ, რომ ვითარდები  
მსუნაგურად, ღორულად  
და სწორედ ამაშია  
ჩემი ძალის ფორმულა:

საქმეს ისე წარვმართავ,  
თავად წაილეკავთ თავს,  
მაგრამ სულ ვერ გაგწირავთ,  
მიზანი ჩვენ ამის გვაქვს...

**სივ-ლე:**

ბოლოს როგორ მოვიდებთ  
ნეტავ ერთი ვიცოდე,  
ახსნას მე ვერ ვპოულობ,  
თავად თქვით, რას იოცებთ?!

**სიკ-ლი:**

როგორც თქვენთვის სიკვდილი  
საშიშარი რამ არი,  
ისე გახლავთ ჩვენთვისაც  
თქვენი ყოფის აგკარგი...

მაგრამ ერთი გვაფიქრებს,  
მხოლოდ ისღა გვადარდებს,

რომ სულ გაგანადგუროთ,  
მერე ვინ გაგვაახლებს?

თორემ გაგავითარებთ,  
შურს დავთეს, შუღლს ჩავაგდებ  
და მყის დავცხებთ უსამნოდ  
წამლეკ-ამღგველ იარაღებს!

ქვეყნად აღარაფერი  
არ დარჩება ცოცხალი  
და ერთად გასწორდება  
გენიოსი – მოკვდავი...

### **სიც-ლე:**

ო, ეს უკვე სულ სხვაა,  
სულ სხვა სალტო-მარტალი,  
არც მთლად სულელური და  
არც იმდენად მართალი.

განა არაჯანსაღთა  
აზრს გაჰყვება მსოფლიო?  
სულიერნი მოაშთონ,  
მით, რომ შენ გარონიონ?!

არა! ეს არ მოხდება,  
არც ვიწამებ ამას მე,  
რადგან მშვენიერება  
ბოროტებას დაამსხვრევს!

და რომ ქვეყნად სიცოცხლე  
მთელი ეშხით ნავარდობს,  
სიკვდილო, ვეღარ დასცემ  
ამზვევებულ სამყაროს!

და ნურცა გაიფიქრებ,  
ჩემთანაც ნუ გლახაობ!  
შენ ხომ, არარაობავ,  
უნდობლობა გსდევს მარტო?..

**სიკ-ლი:**

აუგად იხსენიებთ  
უნდობლობას, ბატონო.  
ის თქვენ თავად შეჰქმენით  
და ახლა კი ჩვენ გვაძმუნობთ?!

**სივ-ლე:**

ერთსაც და მეორესაც  
სხვა გასავალი რა აქვს?  
ამიტომაც მათ ფარდი,  
ბადალ სახელით ვნათლავთ!

**სიკ-ლი:**

ასე რომ მტერი თქვენი  
თავად თქვენში მძრომელი  
მაცოცხლებელიცაა,  
ამავე დროს მსკობელი.

თუ ეს აბსურდულია,  
სხვა მითხარით, რომელი?...  
–თქვენში დაბუდებულია  
ძალა დამამხობელის!

**სივ-ლე:**

„ჩვენ ვართ, მაშინ თქვენ არ ხართ,  
თქვენ ხართ მაშინ ჩვენ არ ვართ!“  
ესე გვითქვამს წინათაც  
და გიმეორებთ ახლაც.

მართლაც ჩვენი ნავარდი  
მარადისად გრძელდება.  
მაგრამ ბოროტებაა  
შხამის ნესტრით, რომ გვსერავს...

**სიკ-ლი:**

გონს მოხველ, მაშ რა გითხარ,  
სხვა რისა ვარ მე მთქმელი?  
ჩემს წინ თავი დაჰხარეთ,  
ნუ ხართ ასე მკრეხელი!

**სივ-ლე:**

ვსძლიეთ, ვსძლეეთ – მარად დავსძლეეთ  
სიბოროტეს, სიბნელეს,  
კეთილი კი გამარჯვებას  
სიყვარულზე იმღერებს!

P.S. მართლაც მშვენიერია  
სიყვარულით სიცოცხლე!  
აქვს ვისმე უფლება სთქვას –  
მის გარეშე ვიცხოვრე?

არა! არავითარი  
აზრი არ აქვს სიცოცხლეს,  
სიყვარულს, სილამაზეს,  
თუ ვერ შეესისხლხორცე!

1981 წ.



## ზოგი ისე, ზოგი ასე

ზოგი ისე, ზოგი ასე მოკვდავთაგან მიღეთისა:  
ზოგი ლაღად დანავარდობს, ზოგი კბილით ბაგეს იჭამს.  
ზოგი თვისას უფრთხილდება და ზოგი კი ძვრება სხვისას!  
ზოგს ვნებათგან უთრთის ბაგე, ზოგს კი შეკრული აქვს კრიჭა:  
ზოგი იხვევა ნაჭუჭში, ზოგი მუდამ იწრთობს ნიჭსა;  
ზოგი ფულებს მიწაში ფლავს, კუჭს კი იხმობს შიმშილითა.  
და ზოგს ჭკუა ისეთი აქვს, სულაც არ სჭირდება ქისა!  
ზოგი ისე იჭმუჭნება, თითქოს დაესუსხოს ჭინჭარს!  
ზოგი კიდევ რიხით–რისხვით დარიხინებს, ჰოი, მტრისას;  
ზოგი – იმფერ მინარნარებს, ლაზათს ჰმატებს დედამიწას!  
ზოგი ძალით ითრევს ფეხებს, ზოგი ცერით დადის ფრთხილად;  
ზოგი ფიქრობს, იღწვის, იწვის; ზოგი ოცნებით კლავს ჟინსა,  
ზოგი ალთას მოედება, ზოგი ბალთას ადენს ბდღვირსა;  
ზოგსა სძინავს, ზოგს არ სძინავს, ზოგი ნებიერად ხვრინავს,  
ზოგი უმადურია და ზოგს კი მადლის ფარავს ნიშა...  
ზოგი ასე, ზოგი ისე ტკეპნის გზას და მიდის წინაც...  
ამიტომაც ზოგს თაფლავენ, ზოგს კი გააწნავენ სილას,  
ზოგსაც მითელ–მოთელავენ, ზოგსაც შეაყრიან ქვიშას!  
ზოგს გულსაც გადაუშლიან, ვით მაისის ვარდსა შლილსა,  
მაგრამ მაინც ბედნიერი შესაძლოა იყოს ისა,  
ვინც ყოველი გამოსცადა, სხვის ჭირითაც დაიისრა,  
ქვეყნად დარჩა კაცურ კაცად, არ განერთხო სულით ძირსა,  
შიშს უტია, დაამარცხა, გაუტოლდა ღვთიურ მისანს,  
სულ სიკეთე თესა სოფლად, ბოროტების წილად რისხვა.  
ჭირთათმენით, შრომით, ბრძოლით, მიაღწია მიზანს თვისას!  
ზოგი ისე, ზოგი ასე მოკვდავთაგან მიღეთისა,  
ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ზოგი კბილით ბაგეს იჭამს...  
ზოგს ვნებათგან უთრთის ბაგე, ზოგს კი შეკრული აქვს კრიჭა.

1984 წ.

## ოსეზ ზოგზე

ზოგი ასე, ზოგი ისე, ფეხს წამოჰკრავს და დგას ისევ,  
ზოგი წაიბორძიკებს და საწყალობლად დადრეცს კისერს,  
ზოგს პატარა აღმართი – და ყურებს ჩამოიყრის მყისვე,  
კრინტსაც ვედარ დასძრავს მერმე თუნდ ახალონ თავით ღირეს.  
უფრო მეტიც, იბოდიშებს, ბალღივითაც იტიკტიკებს,  
ლიქნით ოღონდ ცა „შესძრას“ და გადაიყრის ზედაც მტვირეს,  
უდიერი კია მარა, ზოგი ყოველს ღრენით იკლებს,  
დადის რიხით, ამბიციით, ვითომ დიდი რამე ღირდეს...  
ზოგი მოყვარეს გაუბრბის, თითქოს შავი ჭირი ჭირდეს,  
ზოგი გულ-ხელ დაკრეფილი სხეებსაც ადებს პირზე კლიტეს.  
ზოგი კიდევ ჭრელა-ჭრულებს, გადაჰყვება რაღაც ჭინჭებს,  
ზოგი წყევლით იჭაჭება და „აბნელებს“ ვიდაცის მზეს?!.  
ზოგი ნამდვილს გაუბრბის და ელოლიავება მითებს...  
ზოგი გაჩენის დღეს ქირდავს, სულის მოთქმა თითქოს ჭირდეს,  
ზოგი ცდილობს თქმული მისი სამართებელივით ჭრიდეს!  
ზოგი ავ ზნეს არ იცილებს, ამოჰკრავენ პანდურს ვიდრე.  
ზოგს ახარებს სნება სხვისი, თვით რომ სიმსუბუქეს ჰგვრიდეს...  
ზოგი სრა-სასახლეს აგებს მოყვას-მეზობლების ჯინზე,  
ყოველივეს ივიწყებს და დაშლივინებს დანის პირზე!...  
სამწუხარო კია, მაგრამ ზოგი თავსაც კარგავს ჯინსზე...  
ზოგი ჭორებს მისდევს-მოსდევს და კიდევაც დაჭრიტინებს:  
ანონიმურ ბარათებით ღამის არემარეს იკლებს...  
ზოგი თავს თუ სწირავს შენთვის, ზოგი უცებ ცერს დაგიდებს,  
გაისწოროს თავისი და არაფერსაც არ დაგიდევს!...  
ზოგი ასე, ზოგი ისე მრავალფერადს ავლენს ილეთს,  
ათასნაირს ხასიათთა ქმნიან ასე ცხოველ რითმებს!

1985 წ.

\* \* \*

იყო ღამე – შუა ღამე...  
თვალი როცა გავახილე,  
ჩემს რაფაზე იჯდა მთვარე!  
საამჟურად შემაჟუროლა,  
და მყის გრძნობით შემოვძახე:  
„იდღეგრძელე, გაიხარე,  
როგორც მე შენ გამალაღე,  
მითხოვნია ცოტაც ასე,  
ცოტაც კიდევ დაახანე!“  
„–რახან გულით გწადიან ეს,  
რა თქმა უნდა, გენაცვალე,  
მაგრამ ეს კი გამიგონე:  
სული შენი მე მომანდე,  
სულ სიფრთხილით შევინახავ –  
შემოვაველებ ოქროს საღტეს!“  
–სულაც არ დავფიქრებულვარ,  
იგი ისე ჩავაბარე  
და მას მერე, უსასრულოდ  
თვალი გარბის სივრცისაკენ...

1979 წ.

## რჩევა ანონიმებს

პატრიოტ თავდადებულებს  
ნეტავი რად არ გიგებენ?  
საოცარია პირდაპირ  
ამგვართა სრული სიბეცე.

მერე რა, თუკი წერილებს  
წერთ ცრუს, ბოროტულს, ღვარძლიანს,  
ნაცვლად აფხიზლებთ ქვეყანას,  
საქმეს სწადიხართ მადლიანს!...

ცოტას თუ ვინმე შეწუხდა –  
რა მოხდა მერე, შე კაცო!  
ამისთვის ვერვინ გაგაციცხავთ,  
პირიქით, უნდა შეგაქონ!

გამაგრდით, ასე ჯობია,  
ასე ჯობია გარეკოთ,  
დარტყმა თუ ზოგჯერ აგეჭრათ,  
განგაში აღარ ატყხოთ!...

დასხედით დინჯად, იფიქრეთ,  
დრო უკვდავია „თქვენსავით“,  
ცოტაც და გამობრწყინდება  
ნაღვაწლი დილის მზესავით!

შორეულებს თუ ვერ ავნებთ,  
თუ ვერაფერი გააწყვეთ,  
საკუთარ თავებს უგანეთ –  
უნდობლად დაასამარეთ!

არა, მეც გამკვირვებია,  
ეს რა ვთქვი, როგორ წამომცდა,  
– აგერ, ბატონო, თქვენი ძმა!  
– რაო, არა გყავთ? კეთილი.

მეზობლებს რა გამოგიღვეთ,  
ეს ხომ გყავთ ღმერთის წყალობით?  
რას უცდით მაშინ, მიხედეთ  
საქმეს მშობლიურს გალობით!...

მერმე უყურეთ შორიდან,  
დატკბით იმათი სეირით,  
ეს არის თქვენთვის წამალი,  
ეს არის თქვენთვის ხეირი!

კრიტიკას დღეს ვინ უყურებს,  
თქვენი საქმეა საშურო,  
სუყველა პატიოსანი  
ერთიან უნდა „გაშკურკოთ“...

ირბინეთ აღმა, თავდაღმა,  
კისრის მტვრევით, ხან – კუნტრუშით;  
გზას სწორს არასდროს დაადგეთ,  
იარეთ მუდამ სულ მრუდით!

მოხდა, ვთქვათ, გამოგიჭირეს,  
რას იზამ, ხდება, ჭირიმე,  
თუმცა ტყავი გაქვთ ისეთი,  
აიტანთ, ნაღდად ვიცი მე!

ოღონდაც მერმე მოქნილი  
მახვილი შეატრიალეთ,  
საქმეებს უნდა საგმიროს  
კვლავ ძველებურად მიაწვეთ!

ხანდახან თუ წაიმუხლებთ,  
არავინ დაგემდურებათ,  
მხოლოდ ყოჩაღად იყავით,  
ადარ აგემდვრეთ გუნება....

1979 წ.

\* \* \*

ჩემი ქვეყნისთვის,  
სამშობლოსთვის, ჩემი ხალხისთვის,  
დაე, სიცოცხლე შემეწიროს  
აწ და მარადის!...  
რაო, არ გჯერათ?  
არც ის გინდათ, რომ გამიგონოთ?  
ეჰ, მაშინ მოდით, ბატონებო!  
ნუ დააყოვნებთ,

აჰა, კისერი!  
ასე აჯობებს. დამიჯერეთ, ასე აჯობებს.  
უმაღლესი დამკრათ,  
უმაღლესი დამკრათ,  
უმაღლესი დამკრათ  
ხელი ჯალათის!

1981 წ.

\* \* \*

სინანულმან საამურად  
შემპურულა – შემპურა!  
– აღსდექ, აღსდექ! ცდუნებამან  
კარი თავად მიიხურა!...

კუდი, კუდი, შე ეშმაკო,  
თუკი მართლაც არ გეწვება,  
– მაგრამ მაინც იმედი მაქვს,  
არაფერიც შეგეშლებს!...

გასწი ჩქარა, გუმანს ენდე,  
ეს სოფელი შეაჯერე,  
როდესაც რომ დავღვინდებით  
პირი მოვსსნათ გუდას მერე!...

აქეთური – იქეთური  
დავამღეროთ ეშხით გულით,  
სანანებლად არ ვაქციოთ  
ეს ცხოვრება საამური!

1979 წ.

**რადას ვუცდიოთ**  
**მიეძღვნა ფაშიზმის წინააღმდეგ**  
**დაღუპულთა ნათელ სსონას**

კბილგაბასრული ურჩხული გაუმაძღარი სისხლითა,  
თელავდა ყოველს უმგვანო, სადაც რომ გადაივლიდა;  
გაცოფებული უხერხმლო, დუჟმორეული პირითა,  
რასაცა ეკარებოდა, გესლავდა, თესდა სიკვდილსა!  
გაბრუებული ცინიზმით არ დაგიდევდა სინდისსა,  
აღვირახსნილი, ბინძური, სრავდა მიწასა პირისგან.

დაქვრივდა... დედა, რამდენი შვილის ნახვას ვერ ეღირსა;  
რამდენი ბუდე დაირღვა – ძალა, სიმტკიცე ერისა!  
ჭაბუკად დარჩა რამდენი... მდინარე ნადენ ცრემლისა,  
თავს შეგვახსენებს და გვზარავს სიმუხთლე წარსულ დღენისა!

მერე რა, თუკი ურჩხული თავის ბუნაგში მოთავდა?  
– უზენაესი თავისი უძღურობაზე ოხრავდა!  
ვერ აღგვა მათი ნამრავლი – უსახელოთა ჯილაგი,  
დღიდან იმისა ეწვება გულნაღვლიანსა ჯივარი...

მიწას მშობელს ჭრილობიდან, ჯერაც წმინდა სისხლი ჟონავს,  
ვიღამ ჩასცა მას მახვილი? ვინც მან ზარდა, ვინც მან შობა!  
საზარელთა ნაშიერნი დაიწყებენ ღრენას, როცა!  
აგმინდება დედამიწა და გულშემზარავად შფოთავს...

ბორგავს მიწა, მიწა იწვის: ითხოვს, ითხოვს, მიწა შეველას!  
ჰე, „ლომებო“, ყურად იღეთ!... კეთილებო, თქვენ რა გეცათ?!  
რადას ფიქრობთ, რაღა მოგდით? ღრუბლით იფარება ზეცა!  
ისტორია, ბატონებო, თუკი ასე გვზარავს დღესაც,  
რადას ვუცდით, მტერს მოდგმისას დავცხოთ, დავცხოთ  
ყველამ ერთად!

1985 წ.

## მომილოცავს

მომილოცავს კარს მომდგარი  
ეს ახალი წელი თქვენთვის,  
სხივოსნობდეთ, მზიურობდეთ,  
გფარველობდეთ ზენა-ღმერთი!

გამრავლდით და გაიხარეთ,  
ბედნიერი დღენი ნახეთ,  
ჯანმრთელობა არ მოგშლოდეთ,  
სიყვარულით გაილადეთ!

დუშმანს ისე დახვედროდეთ,  
მტრობის ალი ჩაჰქრობოდეთ  
და მზაკერული განზრახვანი  
სანანებლად გახდომოდეთ!

ოცნებანი და ნატვრანი  
სიცხადეში აგხდომოდეთ,  
მოშურნებს, მოდალატეთ  
ტყავი ასკეც გასძრობოდეთ!

ახლობლები, მეგობრები,  
მოყვრები და მეზობლები,  
ყველა სულიერი ძმები  
უცილობლად გყავდეთ გვერდით!

არცა ძველნი დაგვიწყნოდეთ,  
გარდასული დღენი მწველნი,  
გაისარჯეთ, დაიხარჯეთ –  
გაახარეთ ნერგი თქვენი!

სულით-გულით ვაჟკაცურით  
დაგემსხვრიოთ ყველა ხუნდი,  
ზეცა მუდამ ცისკროვნებდეს,  
ციმციმებდეს ვარსკვლავთ გუნდი.



მშვიდობა არ მოგეშალოთ,  
როგორც შინ და ისე გარეთ,  
სულ მართალი გზებით გველოთ,  
იდლეგრძელეთ, ინავარდეთ!

კიდევ ერთხელ მომილოცავს  
ეს ახალი წელი თქვენთვის,  
ჰე! მამულის სადიდებლად –  
წინ მედგრად და შემართებით!..

1985 წ.

## ნაშური

მესიზმრა... სიზმარში ვნახე,  
სიზმრად ვიყავი წასული,  
რა ნათლად მესმა მეხატა  
მრავალტანჯული წარსული,  
ზებუნებრივი ყვირილი  
გონისახდამდე ასული,  
არ მშორდებოდა არასგზით  
ულამაზესი ასული...  
სიზმარი რომ განმერიდა  
ბურანში ვიყავ განრთხმული...  
თვალს ვახელ, მაგრამ სადღაა  
უსაზღვროების საზღვარი?!  
ვერ გავიხსენე ბოლომდე  
სიზმარ სიზმარში ნანახი,  
თუმცა რა ერთი ნაწილი  
ჩამრჩა ვით ტკბილი ზღაპარი:  
აჭრილი ვიყავ მაღლით და  
სივრცეს ვზომავდი თვალითა,  
მაგრამ საზღვარი ხილული  
ვერ მატყვევებდა მაღლითა, –

ქვეყანას ველარ ვხედავდი  
სრული ხილვით და ძალითა, –  
გავცოფდი, ბორგვა დავიწყე,  
ვგონებ რომ ფრთები მოვისხი...  
ვფრინავდი, როგორც არწივი,  
ჰორიზონტს, სამანს მივადექ,  
მე ის ადგილი ვიცანი!...  
მაგრამ საზღვარი ახალი  
გადამეშალა ტიალი,  
ვერ გადავლახე, შემექმნა  
ტყუილუბრალო ტრიალი!  
თვალს ათინათი მიჭრელებს,  
სხივთა როკვა და რიალი!  
უგრძნობლად დავშრი, მივსუსტდი,  
ლამის დავიწყე ღრიალი...  
სიმწრის ღვრით დამშვრალ–დაქანცულს  
ფრთებს ჩამომიშლის გრიგალი.  
დედამიწაზე დავეშვი  
სიზმარში ნახულ სიზმარით.  
ასე დამთავრდა... ეს იყო...  
ნირშეცვლილი და წამსდარი  
ვერც ახლა ვიტყვი ყოველი  
რა დამღით იყო ნაფარი....

1979 წ.

## ძველებურად

თავო ჩემო ანთებულხარ,  
სიჭაბუკის წლები მოდის,  
ვნების ცეცხლით ვიწვი ისევ, –  
დგება ჟამი სიბოხოქრის.

გული ძველებურად მიძგერს,  
ესეთქება ნაპირს ტალღა,  
დავქრი ვითარც მარდი ბიჭი –  
მუხლი სულაც არ გრძნობს დაღლას!

ვითარც წმინდა ნაკადული  
მორაკრაკებს ფიქრთა რემა,  
სული გავარდისფრებული  
ო, რა საამურად კრთება!...

# ქაღები

სატრფიალო და  
საღაღობო ლექსები...

## ექ, ცირა, სული...

### სიმღერა ეძღვნება ცირა გუნჯუას

თვალებს მინაბავს, მიილულავს შველის სინაზით  
და ცისფერ ფიქრებს ეძაღება-ელაძუნება...

– ქალი ექიმი, ქალი – დედა, ქალი – მშვენება...  
ექ, ცირა, სული, სული აარასდროს ბერდება!..

თმა ოქროსფერი, ჩამოშლილი, – ზღაპარი ფერთა...

სევდანარევი ღიმილი ნაზი, ზღვა – გამოხედვა,  
– ქალი ექიმი, ქალი – დედა, ქალი – მშვენება...  
ექ, ცირა, სული, სული აარასდროს ბერდება!..

კენარი ტანით მინარნარებს, არც კი ირხევა,

მიაპობს ჰაერს და სივრცეში უჩინარდება,  
– ქალი ექიმი, ქალი – დედა, ქალი – მშვენება...  
ექ, ცირა, სული, სული აარასდროს ბერდება!..

ბევრს არას იტყვის, ბრძანებს რასაც, – გაიგო უნდა,  
მზერას მომწუსხველს ნაღვლიანი გარიდებს მუდამ,

– ქალი ექიმი, ქალი – დედა, ქალი – მშვენება...  
ექ, ცირა, სული, სული აარასდროს ბერდება!..

17XII2011 წ.

## ნატვრა თუა

(სიმღერა)

მოგენატროს ქალი უნდა,  
მასაც – ენატრებოდე;  
ტრფობით ტკბობას იგრძნობ ნამდვილს,  
მხოლოდ მაშინ იცოდე!

ნატვრა თუა, ნატვრა იყოს,  
უკეთესს რას ინატრებ;  
მილიარდსაც ანაცვალე  
ნანატრ ქალთან სილალეს!

გავა დრო და გადაივლის,  
ვნების ალი ჩაქრება,  
მაგრამ სითბო, ქალის სიტკბო  
საფლავამდე გაგყვება!

2007

## ნელი

ნელი, ჩქარა, ჩქარა მითხარ, ჩქარა მითხარ, ნელი!  
ხმას რად არ მცემ, რას გაჩუმდი, ხმას რად არ მცემ, ნელი?!  
ლამის სული შემიხუთდეს, გამიშეშდეს წელი!

ნელი, ჩემო სიყვარულო, უტკბილესო ნელი...  
ხედავ, აჯეჯილებულა სანავარდო ველი?  
იგი გვიხმობს, გენაცვალე, მოუთმენლად გველის!

ნელი, ნელი, როგორ გშვენის ეგ სამოსი თხელი!..  
ნელი, ლამის გასკდეს გული, ლამის მომტყდეს წელი.  
– ნელი სანელებელივით შემაჯერე, ნელი!

ღვთაებრივო, ვფიქრობ, დადგა შენი ჯერი, ნელი!  
მიმიხვდები, რომ პასუხს შენს გულშეძრული ველი,  
ლამის ზეცა ჩამოიქცეს, ჩამოვარდეს მეხი!..

ნელი, ზეცა შეზანზარდა... წვიმაა თუ თქეში...  
ველარ ვმზეობ, ვხედავ ვინვი, ვხედავ ვინვი ბედში,  
– ნელი, ნუთუ დაუკარგავს სულსა შენსა გეში?!

ამფერია, იმფერია თუ ფირუზის ფერი,  
ნელი ვედრებას შეისმენს; გადმოდგება ნელი, –  
მერმე თუნდაც მომტყდეს ფეხი – გამიშეშდეს წელი!

1983

## ქალებს...

სადღეგრძელო მიეძღვნა  
ნარგიზა და მიმოზა ძიძიგურებს

ქალებს!

ქართველ ქალებს,  
დებს და დედებს,  
გამვლელებს თუ  
გამომვლელებს;  
ვადღეგრძელებ,  
ვადღეგრძელებ!

ქალებს!

ქალებს ლალებს,  
ქალებს – თვალებს,  
ენით უთქმელ,  
ენით უთქმელ,  
ენით უთქმელ  
სილამაზეს!  
საქართველოს  
შნოს და ლაზათს,

საქართველოს  
შნოს და ჯავარს  
ვენაცვალე!  
ქალებს!  
ერის, ერის  
წინვლისათვის,  
ერის, ერის  
დიდებისთვის  
თავდადებულ  
ერთგულ ქალებს.  
ვინც რომ გულით,  
ვინც რომ სულით  
თავს ქვეყანას  
ანაცვალებს –  
ვადღეგრძელებ,  
გაუმარჯოს!  
სულით – გულით  
ვეთაყვანე!!

ქალებს!  
ქალებს სადას,  
ვინაც ხატად,  
ხატად აქცევს  
ქართულ ადათს,  
წმინდანივით  
უფროხილდება,  
დაჰკანკალებს,  
დაჰფოფინებს  
დედის ალაფს:  
მზეგრძელობა  
იყოს მათი,  
მათ, მათ მანდილს  
გაუმარჯოს!!

ქალებს!  
ქალიშვილებს,  
ყმაწვილ ქალებს,  
დილის ნამში



ამოცვარულ  
მორჩურჩულე  
ია ვარდებს,  
ყველა მოკვდავთ  
ამ სოფლისას,  
მარადისს რომ  
გვაზიარებს –  
სადლეგრძელო  
იყოს მათი  
და მათ ღვთიურ  
უსპეტაკეს  
ყვავილობის!  
ქალებს!

ქალებს – დებს და  
ქალებს – დედებს.  
ოჯახისთვის,  
სამშობლოსთვის  
გადაგებულთ,  
ცაში აჭრილ  
მონავარდე  
მერცხლებს,  
მტრედებს  
სითბო აღარ  
მოჰკლებოდეთ,  
ბრწყინვალება  
ჰქონებოდეთ,  
მათ სურვილებს  
სიდიადე,  
სავალი გზა,  
გზა ნათელი  
უსასრულოდ,  
უსასრულოდ,  
უსასრულოდ  
ჰქონებოდეთ!!

## ყველას ერთად

ჩამოზავდა ფიქრი გზნებად,  
ჩამეხიდა სასულე:  
ყელთან ჩამწყდარ სალამს გითვლით  
მირონცხებულ ასულებს!

ყველას ერთად, განურჩევლად,  
არ გიმაღავთ ხვაშიადს:  
ეგებ კვლავაც შევხვდეთ ერთად  
ალისფერად განთიადს!..

ნებისყოფა, ჭირთა თმენა,  
აი, ჩემი საძვალე! –  
თავს მსურს მივცე ბრძოლის ნება,  
ეყოს რაც რომ ვაწვალე!

აი, ჩემი საიდუმლო,  
აი, ჩემი სტიქია,  
ნეტარება, სული ჩემი  
თქვენთვის გადმომიცია!..

ყველას ერთად, განურჩევლად,  
არ გიმაღავთ ხვაშიადს,  
ეგებ, კვლავაც შევხვდეთ ერთად  
ალისფერად განთიადს!

1982

## ჰა, ბურთი და მოედანი

ქალს ლამაზს,  
კალმით ნახატს  
და მოქნეულს –  
ალვისტანას,  
თასმასავით  
დამყოლს, ფრთამალს  
წააწყდება  
მუდამ თვალი?  
– ისემც მეტი  
არ დაგვაკლდა!..  
ვინ რა იცის,  
როგორ იქმნა  
ეს სამყარო,  
საამო და  
სანავარდო?  
ეკალ-ვარდით  
ათას ზმნებით  
მორთული და  
მოქარგული.  
ეს სიცოცხლე  
ისე მოსჩქეფს,  
ისე, მოდულს,  
მოქოთქოთებს  
ვით მშფოთვარე  
ქალის გული!..  
ეს ცხოვრება,  
ეს სამყარო  
სანეტარო!  
ძალზე რთული,  
რებუსული,  
ვით გრძნეული  
ქალის გული...  
თუ კაცი ხარ  
შეიცანი  
ჰა, ბურთი და  
მოედანი!..

1982

\* \* \*

ბალში ვნახე, ხეთა ჩრდილში  
ნებივრობდა გოგო-ბიჭი –  
ჩემი სიყრმე გამახსენდა,  
სანუგეშო დალოცვილი, –  
უნებურად თავსა ვკითხე:  
„ეს ცხოვრება საით მიდის?“  
მან კი ასე მომახალა:  
„არამკითხევ, გასწი, მიდი!“

1984

## ჩქარა-ჩქარა

პაემანზე თუკი ივლი,  
ქალო, ჩქარა-ჩქარა,  
სევდა გადაგეყრება და  
შვებას იგრძნობ მართლაც!

ბევრი ფიქრით ნუ იმღვრევი,  
აზრებს ნულარ ხლართავ,  
მხოლოდ, მიდი, გენაცვალე,  
გასწი უფრო ლაღად!

ვხედავ, გიჭირს გადის რაც დრო  
სიარული სწრაფად,  
მაგრამ ვნება არ გასვენებს,  
ის არის რომ გზარავს!..

ძნელი არის თურმე ერთობ,  
განშორება მასთან...  
ამიტომაც ნუ აბნევ დროს,  
გასწი უფრო ჩქარა!

ქალო, მიდი, ნუ აყოვნებ,  
ფეხს ნუ ითრევ, თვარა,  
ხანი მარტო შენ კი არა  
წელში მოხრის სხვასაც!..

უმონყალოდ რომ მიქრის დრო,  
შენცა ხვდები ამას...  
ამიტომაც კიდევ უფრო,  
კიდევ უფრო ჩქარა...

შეიძლება რაც რომ მასზე,  
მასზე უფრო ჩქარა,  
თუკი ივლი, ქალბატონო,  
რა სჯობია ამას!..

პაემანზე თუკი ივლი  
ქალო, ჩქარა-ჩქარა,  
სევდა გადაგეყრება და  
შვებას იგრძნობ მართლაც!..

1983

## ნეტავი

ხალხურ მოტივზე  
(სიმღერა)

შენი სისავსის ჭირიმე,  
ქალო, ნაბანო რძისაო,  
ხიბლმა, თილისმამ ტანისამ,  
ო, ლამის დამცეს ძირსაო!..  
რა ღმერთმა გშობა ასეთი,  
ასე რამ აგარითმაო?  
ნეტავი ჩამაგდებინე,  
ჩემთან დაგედო ბინაო,  
სიცოცხლეს ჩამიბრუნებდი  
დამდნარსა შვილსა ზღვისასო,  
გმირად გამხდიდი დამშვრალსა,  
კლდეს გავანგრევდი ძირსაო.  
მთვარეს მხრით შევატოკებდი,  
ვერ შემიცვლიდა ნირსაო;  
მზეს თვალთა ჩემთა ბრიალით  
გავუშიშვლებდი ნიჭსაო...  
კიდევ ბევრ რასმე ვიზამდი  
საქმეებს დიდზე დიდსაო,  
ოღონდაც, ქალავ ალვისავ,  
ნუ გამანზბილებ ღვთისაო!!

1984

## ფა... ფანფარები

ცეცხლისფერ ბაგეთ დავნაფებივარ  
ათრთოლებული ხარბი ტუჩებით,  
მაგ ღვთაებრივთან სად გაგონილა  
ბადაგის გემო, თუნდაც სურნელი...

ლივლივა ზღვაში ვეშვები შლეგი,  
დაუოკებელ ყინით და ხვნეშით,  
ტალღებს როს ვინვევ აზავთდით-მეთქი,  
მყისვე ზვირთებში ჩამითრევს ხეთქით...

მაგიურ ძალთა დარ საფანელი  
ფანტასტიური იხსნება ხედი..  
ფა... ფანფარები, ფარშავანგები,  
ათასნაირი ირევა ხმები.

ზღვა კი ირწევა, როგორც აკვანი,  
მზეს ჩამოშლია ოქროს ფაფარი,  
ყრუდ ჩამხითხითებს ვილაც „ფანტასტი“,  
ფანტასტიურად გაურანდავი...

ფა... ფანფარები, ფარშავანგები...  
ათასნაირი ირევა ხმები...  
ცოტაც და ისევ აზვირთდებიან  
ერთმანეთისთვის გაჩენილები...

1982

## სულ სხვა არის...

(სალალობო)

ციალა რომ ციალაა,  
იასავითაა ია!  
ანგელინა, ბაბილინა,  
ელისო თუ ეფემია –  
ყველა კალმით ნახატია,  
მაგრამ სხვაა, სულ სხვა არის  
სულ სხვა არის ჩემი ღია!

ეკას, თეას, ესმას, ელოს,  
გულთამზეს თუ ელზას, ზინას,  
თვალს ვერ მოსწყვეტ, ზე შეგრჩება.  
ქება მათი, უთვალავი,  
სხვებისგანაც გამიგია,  
მაგრამ სხვაა, სხვა ნათელის,  
სულ სხვა არის ჩემი ღია!

გაზაფხულის ვარდივითა  
გაფურთქვნილან ევაც, თინაც,  
გაგაჟრჟოლებს ტანში გაგცრის  
თუ თვალს მოჰკრავ ნანას, ნინას  
ან ღვთაებრივ იულისას...  
მაგრამ სხვაა, სხვა სულ სხვა,  
სულ სხვა არის ჩემი ღია!

სუნთქვა შეგეკვრება ალბათ  
თუნდაც გაკვრით ნახო ღენა,  
აგლანძავს და გაგაშეშებს,  
ნირს შეგიცვლის, დაგცემს ძირსა,  
თუკი თვალს შეავლებ ღინას...  
მაგრამ სულ სხვა არის მაინც,  
სულ სხვა არის ჩემი ღია!

ყველაფერი კარგი, მაგრამ  
სად შეარჩევ, ვერც იპოვი  
იმგვარ ზედგამოჭრილ სიტყვას,  
რომელიც წარმოგვიჩენდეს  
სინატიფეს ტერეზიას...  
მაგრამ სხვაა, სხვა ლაზათის,  
სულ სხვა არის ჩემი ღია!



ქუჩებში რომ გაივლიან:  
მართა, მაგდა, მერი, დესი;  
მაკო, მაკა, დალი, მზია,  
ვნებით ყველა მზერას ესვრის  
თუნდ ელოდეთ შუბლში ტყვია...  
    მაგრამ სხვაა, სულ სხვა ხიბლის,  
    სულ სხვა არის ჩემი ღია!

დაიცრიცა ვინც უცქირა;  
ცაცას, ცუცას, ციცოს, ცირას.  
მართლაც ყველა იმსახურებს  
ნამდვილ შესაფერის სიტყვას  
მშვენიერს და ლაზათიანს!  
    მაგრამ ჩემი... ვიტყვი მაინც;  
    სულ სხვა არის ჩემი ღია!

მეგობრების წრეში დინჯად  
ვილაც ხოტბას ასხამს ინვას,  
ვილაცამ კი დანანებით  
ხელისგული შუბლში იკრა,  
როს დალანდა დომინიკა!  
    მაგრამ ჩემი დარდი სხვაა;  
    სულ სხვა არის ჩემი ღია!..

ვინც შეიპყრო აპათიამ  
ვისაც არა აბადია,  
შვებას მოჰგვრის მას ნათია!  
სიდონია, აგრაფინა,  
ამ მხრივ სულ მთლად წამალია!  
    მაგრამ სხვაა, სულ სხვა ღმერთის;  
    სულ სხვა არის ჩემი ღია!

ციალა რომ ციალაა,  
იასავითაა ია;  
ანგელინა, ბაბილინა,  
ელისო თუ ეფემია  
ყველა კალმით ნახატია,  
მაგრამ სხვაა, სულ სხვა არის.  
სულ სხვა არის ჩემი ღია!

1983

\* \* \*

უფრიალებს ქარი კაბას  
მანდილოსანს, ყმანვილ ქალსაც,  
მაგრამ მე რაც მწვავს და მდაგავს  
მიმიხვდები ალბათ საბავ!..

1983

\* \* \*

აისს მაგონებს ზღვის პირას ქალი,  
დედიშობილა, კენარი ქალი...  
ვითარც ნიავი ზედ განოლილი  
შორს, შორს მივქრევარ იალქანივით!..

1982

## ირმას

(ექსპრომტად)

ო, რა მშვენიერ იყო შეკრთომა შენი...  
ოი, როგორ შფოთავდნენ თვალებნი მშვენი...  
ო, ის ერთი წამი ღირდა მილიონი,  
ო, ის ერთი წამი იყო ყველაფერი!..

მერმე ერთმანეთს ცელავდნენ მოვლენები:  
წამწამნი შეირხნენ, გამკრეს მოგვერდები...  
ო, ის ერთი წამი ღირდა მილიონი,  
ოი, ის ერთი წამი იყო ყველაფერი!..

1984

## ექსპრომტად ნ.ჯ-ს

ლექსად არ ძალმიძს მოგიძღვნა ქება,  
მშვენიერების ხარ აფეთქება!  
– ქალო, ნატიფო და თვალხატულავ,  
შენმა ცქერამან ამაალმურა!

ვძებნო სიტყვები ლაზათით სავსე?  
მაგრამ გავსწვდები ასეთ დროს რასმე?  
– ქალო, ნატიფო და თვალხატულავ;  
შენმა ცქერამან ამაალმურა!

1983

## იყო მშვიდად განოლილი (სალალობო)

ზღვის ნაპირზე გაშოლტილი  
ვნების სუსხით გათოშილი;  
ტანკენარი ქალიშვილი  
იყო მშვიდად განოლილი...

თვალს რომ გავუსწორე თვალი,  
მყის ამენთო ტრფობის ალი,  
მაგრამ ის გადატრიალდა,  
ვით ბუმბული ნიავექარში...

ქალიშვილი ეგ ზომ მშვიდად  
ინვა პირქვედამხობილად,  
– სულ არ ჰქონდა ჩემი დარდი,  
„რამდიდარი – დამდიდარი“!

სადა იყო და სად არა,  
მეყვავილემ ჩამიარა...  
ყვავილები აბა, მარა?  
გულმა ამაჩქარაჩქარა.

ჩახვეული მქონდა ძალუმ  
ვარდის კონა, როგორც სატრფო,  
მისმა სურნელებამ უფრო  
ლამის უგრძნობლად დამათრო.

მყისვე გავიბრძოლე მასთან,  
დანდობილად წავინიე  
და ის ქალიშვილის თავთან  
სისათუთით მოვაბნე...

გადმობრუნდა ქალიშვილი,  
ღვთის, ბუნების, ლალი შვილი

თავანკარა, როგორც წყარო,  
ლერწამივით ტანად სარო!

ვითარც ფურცელი ვარდისა,  
ისე შეერხა ბაგენი,  
ფარდი დარისა და მზისა  
ვნებით მზირალნი მდაგველნი!

გამიღიმა, გამიცინა –  
მომანათა გიშრის თვალი,  
მზერას ველარ გავუძელი  
და დავხარე დაბლა თავი...

ფიქრს მივეცი, რომ აღმექვა  
მისი ღვთაებრივი ტანი...  
ამოფრქვეულ ლავად ვიქეც,  
იმფერ აღარ მახსოვს თავი!..

ის, ის იყო... ერთხელ ვნახე...  
ვაგლახ, სადღა ვნახავ ანი,  
– რა ვქნა? რა ვქნა? არ მშორდება  
აჩრდილივით მისი ლანდი!..

ზღვის ნაპირზე გაშოლტილი,  
ვნების სუსხით გათოშილი;  
ტანკენარი ქალიშვილი  
იყო მშვიდად განოლილი...

1979

## ინაპარღე

მიეძღვნა ასმათს

ამაყი ხარ, ვიცი, გითქვამს,  
მე ვენდობი ქალის სიტყვას.  
– ისე, უთქვამთ, სიტყვა ქალის  
მარტიაო თავის არსით.

სხვის თქმულს არად ვაგდებ მუდამ  
საჩოთირო ცოტა თუა;  
მიტომ ძუას მიგებს ბედი  
და სულს მაძრობს ოხვრით, გვრემით!

მეტისმეტი მომდის მგონი,  
ვხვდები წერა ქარბობოლის,  
– თუ წერა ვარ ბედის შენი;  
არა, არაფერი მეთქმის.

ამაყი ხარ, ვიცი, გითქვამს  
მე ვენდობი მაგ ნაღდ სიტყვას,  
– ისიც უთქვამთ: სიტყვა ქალის  
ბასრიაო ვით ხანჯალი.

ამას თუ არ ენდო კაცი,  
სიცოცხლე რად უნდა მაშინ;  
გაეპობა გული ასჯერ  
თვალის დახამხამებამდე!

თუნდაც, ისე თუნდაც ასე  
შენს მზეს ვფიცავ, ინავარდე,  
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები  
კიაფობენ ვიდრე ცაზე!

1991

\* \* \*

ამ ახალი წლის დილაზე  
ფიფქები სცემდა მინაზე,  
ფიქრებთან იწვნენ: იამზე,  
სიქალწულე... და სინაზე...

1984

## **მუღამ შენთან ვიქნები**

(სიმღერა)

მიქაძე მ.გ-ს

მე შენი მხურვალეა  
საფლავამდე გამყვება,  
ზვიადო მარიკელა,  
რა სითბო გაქვს, რამხელა!

ო, როგორ დამავიწყე  
ტანჯვა, ურვა უთქმელი  
ხიბლმა შენმა, ტრფიალმა  
ძალა მომცა ულევნი!

ო, როგორ განმარიდე  
სევდა განუკურნელი,  
ცეცხლთან ნაწოლ ბაგეთა  
მდაგავს ნაზი სურნელი!

სულს მივსებს, გულს მიაძებს,  
მარი, შენზე ფიქრები,  
ვერა, ვერ დაგივიწყებ  
მუღამ შენთან ვიქნები!..

მუდამ შენთან ვიქნები  
სულო, გულო და ხატო!  
ისე როგორ იქნება  
კვლავაც, კვლავაც არ გნახო.

კვლავაც, კვლავაც – არ ვიგრძნო  
ტრფობა განუსაზღვრელი,  
სიყვარული უძირო;  
ცეცხლზე უფრო დამწველი!

მე შენი მხურვალეობა  
საფლავამდე გამყვება,  
ზვიადო მარიკელა  
რა სითბო გაქვს, რამხელა!..

1981

## **დიდებული**

(სალალობო)

გაზაფხულზე ქალი დილით,  
ახლად გამოღვიძებული,  
გამომთვრალი მშვიდი ძილით  
საჭვრეტად არს დიდებული!

გადაღეღილ მკერდზე რომ აქვს  
თეთრი მკლავი მიღებული,  
ისე ვცხონდე, როგორც იყოს  
სათვალთვალოდ დიდებული!

დილის ნიავს როს შეიგრძნობს,  
სუნთქვა რომ აქვს მიშვებული,  
მხარს იცვლის და თან ნებივრობს  
– საცქერლად არს დიდებული!



რომ არ გასცლია ძილ-ღვიძილს,  
მის ხშირ სუნთქვას რომ გრძნობს გული,  
ჰოი, მაშინ, მაშინ არის  
საყურებლად დიდებული!

ოცნებობს და ტკბილად როა  
ფიქრთა ზღვაში მიშვებული.  
მაშინ, მაშინ, მაშინაა  
ის სამზერად დიდებული!

როცა გულის პირს გადაშლის  
ნაზად შეფრთხილებული,  
მაშინაა იგი თვალით  
სანახავი დიდებული!

რო იელვებს... იქარგება,  
გარეთ ნავარდს რომ სთხოვს გული,  
თუკი არის, მაშინ არის  
საზვერავად დიდებული!

სათვალთვალოდ და საჭვრეტად,  
სანახავად დიდებული  
არის ქალი ადრიანად  
ახლად გამოლვიძებული!..

1982

## ვენაცვალი, ვენაცვალი (სალალობო)

ქალიშვილი მხარზე ჩანთით,  
მოხდენილი, მოკლე კაბით,  
მოდის, მოდის რა ნარნარი  
მოლივლივე ზღვის სადარი!

როცა ქარის მოძალემა  
მის თხელ კაბას მიაწყდება,  
ხან აჰკეცავს მაცდუნებლად,  
ხან ჩამოშლის „გულსახეთქად“...

მოდის, ქალიშვილი მოდის...  
რა მსუბუქად აჰობს ჰაერს!  
სხივებჩამდგარ ტანს მოარწევს,  
სხივს უხილავს აფრქევს, არხევს!

მონარნარებს ქალიშვილი,  
სხივმოსილი – სხივმფინარი,  
მკერდსავსე და მკერდმაღალი,  
მოცისკროვნე – მოლიმარი!

მოდის, მოდის ქალიშვილი...  
ძალზე ამაყ, ძალზე ამაყ;  
მოქათქათე და აღერილ  
ნაზზე უნაზესი კისრით!

მოდის ქალიშვილი, მოდის...  
აბრიალებს ზღვისფერ თვალებს,  
თვალისმომჭრელ ელვასა ჰგავს  
ანთებული მისი სახე!

მოდის, მოდის... ვაჰ, რა მომდის...  
მაგრამ მაინც ვიმეორებ,

ჩუმად წყვეტილად და ვნებით!  
მე მის კისერს! ბროლის კისერს!  
ტანს! ფეხს!  
ან თუ კიდევ...  
სულ ერთია! ყველას ერთად!  
ვენაცვალე!  
ვენაცვალე!!  
ვენაცვალე!!!

1980

## **მე სად ვარ და...**

ანანიკო, ანანა...  
მე სად ვარ და შენ სად ხარ?  
ანანიკო ანანა...  
მე სად ვარ და შენ სად ხარ?..

მერამდენე წელია,  
მერამდენე ზამთარი,  
რომ არსად შემხვედრია  
ქალი შენებრ დამტკბარი!

დამენისლა თვალები,  
ამერია დავთარი...  
ეჰ, მუდამ მეხსომები,  
როგორც ტკბილი ზღაპარი!..

ანანიკო, ანანა...  
ტკბილი იყავ, რა ტკბილი!  
ანანიკო, ანანა  
თბილი იყავ – რა თბილი!

გაზაფხულის ვარდივით  
სურნელებას მაფრქვევდი;  
ვნებიანი თვალებით  
ცეცხლის ალში მახვევდი.

ღვთიურ ნექტრით მავსებდი,  
ნეტარებით მფარავდი,  
ასე რად მალეგბდი  
თუ ვერ დამიფარავდი?!

როს გემურაზებოდი:  
„ქალი ხარ თუ აშარი?“  
მყის ამქრულად მებმოდი:  
„გოგონა ვარ მწყაზარი!“

ვხარხარებდი ავზნებით,  
შენ კი გულში მეკვროდი,  
მიბნედილი თვალებით:  
„ჰა, მიდიო, მეტყოდი!“

მართლა რა ტკბილი იყავ  
მათრობელა შარბათი,  
ოი, რა გრძნეული და  
რა სულის ათინათი!..

ტანს როგორ გიმშვენებდა  
ლამის ხსნილი პერანგი,  
გულს რომ მიზანზარებდა:  
„მტერი, მტერი – ვერავი!“

ერთი შენი შეხება  
სიმხურვალით მავსებდა,  
ხელში აატაცება  
ო, როგორ მახვევებდა!

ვნებით გაოგნებულებს  
ბედი გვექონდა ამღვრევი,  
აყოლილ ფათერაკებს –  
შენს გულისთქმას დავყევი!

გავხვდი შენი მორჩილი,  
ეშხის ალში გავეხი...  
ვნებათ მონა-მორჩილი,  
ვნებით ანაზღავები.

ტრფობის ალმა ამბორმა, –  
ო, რა ძალა ნანდომა, –  
ლამის მითად გვიქცია  
ყმანვილური ანცობა...

მაგრამ წლები გავიდა,  
ბედმა... წლებმა თვისი ქნა;  
ჩემი ხვითო ანანა  
გამიფრინდა... ნავიდა...

ნეტავ, ერთი ვიცოდე  
სანოლს ახლა ვის უშლის!..  
მხოლოდ მინდა ვიწვოდე  
თორემ ვინ რას დაუშლის...

ანანიკო, ანანა...  
მე სად ვარ და შენ სად ხარ?..

1981

## შეგვიანებულთა გაბაასება

### კაცი

სულის ვარდო – დაუმჭენარო, ვარდო რას მემართები?  
ვინაცრები, ლადარში ვარ – მომწოლია დარდები...

### ქალი

ცეცხლის ალში გახვეულხარ? მაინც არ მებრალები,  
აბა, მაშინ სად იყავი; სადა გჰქონდა თვალები,  
როს ბულბული ბულბულობდა, გულში მედგა დარები,  
რად დამიხშე სულის არე – დამიხურე კარები?..

### კაცი

ფიქრთა ღველფი თავს მიმღვრევენ – ბევრიც ვღვარე საღვრელი,  
დამამშვიდე, მეყო, კარგო განმარიდე ნაღველი!..

### ქალი

ან რას გშველი, გენაცვალე, რეკენ უცხო ზარები,  
შემოდგომა დამდგომია, არეულან თარები;  
ზამთარს ველი უღიმღამოს, უთოვლოს და ალენილს,  
მოვწყენილვარ ვერ ვასწორებ უბრძნესსა დროს აწენილს...

### კაცი

ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ ჩემი ზრახვები  
ძველებური რჩება ისევ, არ სჩენია ბზარები,  
ნუ დამაგდებ განწირულსა, ნუ ჩამიქრე სანთელი,  
ქალო, გული გამიშალე – დამაყენე საშველი.

### ქალი

ეჰ, გამიგე, დალოცვილო, როცა ვკრიფე ნარები,  
მთის მწვერვალებს ევლებოდი, არ გახსოვდა ბარები,  
– ახლა, მარა ჭირი გეცა, რას ლულლულებ წვალებით,  
ეს ცხოვრება თუ გალიე, რაღად გინდა ქალები?..

## **კაცი**

ო, ჟამთასვლავ, ეს რა მიქენ, რად დამადე ხუნდები?  
– ვარდო, წარსულს ვერ ვივინყებ – მასზე ფიქრებს ვუნდები!

## **ქალი**

წუთისოფელს რას ემდური, გაჭიმულან ლარები,  
სდულს – გადმოსდულს ყოველივე, გახუზულან ხარები,  
ვნებთანად ხვიხვინებენ, ფაშფაშებენ რაშები.  
სწორსა თვისსა, იცი, ორბი როგორ იქცევს კლანჭებში?

## **კაცი**

ჰა, განათდა, იგრძნო გულმა შვება განუსაზღვრელი,  
საამურად შემაყრყოლა, სევდა ჰქრება დამლელი!..

## **ქალი**

მიმიხვდი? მაშ ასე ნაზად, ღმერთო, რას იქარგები,  
დგება ჟამი აღმაფრენის – ბობოქარი ქარების,  
შეაჯერე მთა და ბარი, არ იდარდო ხარჯები,  
– განა ფუჭად მოგყოლია სიჭაბუკის ამქრები?

## **კაცი**

უკვე ველარ შემაჩერებს კლდე-ღრე, ეკალ-ბარდები,  
სულის ვარდო – დაუმცხრალო თუკი შეგიყვარდები...

## **ქალი**

ილაღანე, ილაღადე და თუ მანდვე ჩარჩები,  
მითხარ ვილას ჰყვარებია – მე მიყვარდეს ჩარჩები?!  
ასჯერ როს სჯი, გენაცვალე, ერთხელ მაინც გასჭერი,  
აი, ჩემი საბოლოო – ერთადერთი სათქმელი!

1984

## როგორ მიყვარს (სალალობო)

როგორ მიყვარს კობცა ქალი,  
პატარა და მოხდენილი.  
მუდამ ასეთს ეძებს თვალი,  
გული მისით მოლხენილი!

პატარა და კობცა ქალი  
დილის ნამით დაცვარული,  
ქარვისფერი, ჩამოსხმული,  
მტევანივით დასანური!..

– ქალის ტანი მხიბლავს თეთრი,  
თეთრზე თეთრი ტანი,  
სისავსის და სისადავის  
რიყრაყი რომ აკრთის!  
და თვალები მობრიალე  
ამფერი თუ იმფერი,  
მარმარისებრ მოქათქათე  
თეთრზე თეთრი კისერი!  
მოსირმული წარბ-წამწამნი,  
მზისადარნი – სადარნი,  
მეამბოხე გულმკერდი – ვახ,  
ტანი შხვართი წარწარი!  
ვარდისფერი ლოყები,  
შოლცა თლილი თითები  
ბაგენი კი გრძნეულნი  
მზირალნი აალებით!  
აქნეული ტივტივები,  
ჯიშინი კანჭები,  
მოშვილდული ბექობები,  
გავაზივით მკლავები...  
მოღერილი ტურფა ყელი,  
მალები... ყვრიმალები...



ამგვარ შემკულ „უფსკრულს“ ეძებს  
გული ჩემი მშფოთვარე!  
სხვაგვარს – რა ქნას ვერ იგუებს  
ოქრო მკერდში მჯდომარე...

1982

## საქანელა

მე და ლელას  
საქანელა,  
საქანელა  
გვარწევს ნელა.  
მე ვუღიმი:  
„ჩემო ყველავე,  
სინარწარე  
მაცლის გზნებას,  
შენ კი მგონი,  
სულო ჩემო,  
თვალი თითქოს  
გენაბება!..  
– სუ, დაიცა,  
ასე არის,  
ასე არის  
ჟამთა დენაც...  
– რაღაც, რაღაც  
მენანება,  
მებრალება  
თავი ლელა!  
– ხომ გითხარი  
კაცი არ ხარ  
ღმერთო, ეს რა  
გემართება?!  
– დატკბით, დატკბით,

გვიკრავს მზე თვალს,  
განურჩევლად  
ვათრობ ყველას;  
დიახ, დიახ  
ასეა და  
ხვითოებო  
ნულარ ლელავთ!  
არა, ისე,  
სიტყვას მოჰყვა! –  
და ავხედე  
ალმაცერად!..  
მე და ლელას  
საქანელა,  
საქანელა  
გვარნევს ნელა...

1985

## მანც ზენთის

ქალო, თვალო, ეშხიანო,  
სულო – ერთადერთო  
ასეთი რამ გაგაჩინა  
კურთხეული, ღმერთო?!

რა არ გიძღვენ, რით არ გამკე;  
რა ფერით არ გხატე,  
თავი ჩემი განაცვალე,  
შენ – არაფრად მაგდებ.

ხანდახან თუ „შემიბრალებ“,  
უფრორე ლოდს მადებ.  
მე ვარდებით კუდში დაგსდევ,  
შენ კი არად მაგდებ!..

გული შენი ვერ მოვიგე,  
თვით დავიგე მახე,  
მაშ რა, სულში რომ გიძვრები  
რამე დაინახე?..

გედივით რომ ყელყარყარავ,  
გიქათქათებს მკერდი,  
რალად გიკვირს თუკი ვცოდავ,  
თუკი მესხმის რეტი?!

უცოდველი რომ არა ხარ,  
განა ვერა ვხვდები?  
მაგრამ იცი დაბრმავებულს  
ვერაფერი მშველის!..

მაინც შენთვის ვილოცებ და  
ქედს მოგიხრი კიდეც,  
მშვენიერო, სისხლი სანამ,  
– სული მიდგას ვიდრე...

1985

\* \* \*

ასაფრენად ატაცებულს ჰგევხარ მერცხალს,  
ღვთისშობილო, რას გიმზადებს ბედი ნეტავ?  
მოზიარე მე იმ ხვედრის ვიყო მაინც...  
თუნდაც ზღვაში ჩავიძირო შენთან ერთად!

ასაფრენად ატაცებულს ჰგევხარ მერცხალს,  
ღვთისშობილო, რას გიმზადებს ბედი ნეტავ?

1987 როსტოვი

## ბაძრი, გოგო, ბაძრი!.. (სიმღერა)

გოგოვ, გოგოვ, მშვენიერო!  
ო, ჰო-ჰო-ხო, ხო-ხო!  
შემოგევლე, გენაცვალე,  
გადრი დამფრთხალ ხოხობს!

შენს სიშიშვლეს, – სინატიფეს  
გოგოვ, გოგოვ, გოგოვ,  
ვერ უძლებენ ეგ თვალები,  
გულიც კიდევ... ხოლო...

ჩახლეჩილი ხმით გავჰკვივი:  
ო, ჰო-ჰო-ხო, ხო-ხო!  
ღიმმორეულ ირონიით  
თვალს ჩამიკრავ მხოლოდ...

ვნებავ, ვნებავ, ოი, ვნებავ!  
ბარემ შანთით დამწვი,  
მსერავ, მსერავ დაუნდობლად  
სამსჭვალევით დაჰქრი!..

ენაცვლება კადრებს კადრი,  
იცი რასაც გადრი;  
ნათელს, ნათელს, ნათელსა ჰფენ  
ვითარც მთვარე ბადრი!

ო, რა ფერი, რა სისავსე!  
მებერება ძარღვი,  
სულთა, ხორცთა ამბოხების  
მეშინიან წარღვნის!..

ტანი, ტანი, ოი, ტანი!  
ხანჯალივით ბასრი,

გაელვება, სხივთა კრთომა  
სურნელთ ნიავექარი!..

მიკრავს სულს და მანთებს თანაც  
სურვილთ ნიაღვარი,  
– მიმაქროლებს სალხინეთში  
ანყვეტილი რაში.

ხარ... ასხმული მძივებივით,  
ნაკვთზე გწყდება ნაკვთი,  
ირხევიან საამურად,  
გაქრი, გოგო, გაქრი!..

ჩახლენილ ხმით მონუსხული  
მუხლმოყრილი შლეგი,  
გვედრი კიდეც, – გეომები  
არცნობიერ გეშით!..

ვნებავ, ვნებავ, ოი, ვნებავ  
ბარემ შანთით დამნვი,  
მსერავ, მსერავ დაუნდობლად,  
სამსჭვალავით დაჰქერი!..

სიგიჟე და გადარევა,  
გახელება ნამით, –  
ლმერთო, ლმერთო, შემინწყალე –  
რაა მისი დარი?..

1986 დედალაური

## ნანა რაღიანს

(ექსპრომტი)

წლები გადის რაღიანო  
გოგოვ, გულმკერდმადლიანო!  
მუდამ ელტვი ღვთიურ ამბორს  
სხვაფრავ არ გსურს გაისარჯო!  
ეჰ, ბუნებას სილამაზით  
„დაუსჯიხარ“ ასე უხვთოდ,  
ამიტომაც არაფერში  
არვის ტოლი არ დაუდო!..  
ეჰ, ბუნებამ სილამაზით  
მართლაც უხვთოდ დაგდო „ხუნდი“..  
– მე კი ცხოვრებამ მარგუნა  
უთავბოლო სამსახური!..

1981

## ექსპრომტად ნანა ჯაიანს

თამაზ კიკიანის ბრწყინვალე პიროვნებისა და ადამიანის, ოჯახში გამართულ სუფრაზე, ფეხზე ამდგარი სადღეგრძელოს წარმოთქმას ვაპირებდი, მაშინ როცა დარეკა ზარმა და... ყვავილებით ხელში შემოვიდა ნანა... ინსტიქტურად, პათოსით წარმოვთქვი სადღეგრძელო, რაც საღვთეულებზე ჩაუნერია ფილოლოგ ქალბატონს, თუ არ ვცდები ჩიქოვანს... აი, ესეც.

ნანა...

ნანა...

ნანა...

ნუ ჩასთვლიმეთ, გამოფხიზლდით,  
გულს ახადეთ ფარდა!  
განი!  
განი!  
გზა მიეცით, გზა დაუთმეთ,  
მოდის ჯაიანი!!

1981

\* \* \*

თვალეზი ლადარი,  
სიმწყაზრით ნაფარი;  
მე მახსოვს ქალი  
ვნებით ავთარი,  
ის როგორც ლომი,  
მძვინვარე ლომი;  
არის სილაჩრის  
ყოველმხრივ მგომობი!..  
არც არაფერში  
არა აქვს ბედი  
მაინც „ყოლიფერს“  
მიანგრევს მხრებით...  
ასე იარა  
მან წლები ცოტა  
და გასავლელი  
აქვს ცოტა მეტიც...  
განცვიფრებული  
მე მისი ხვედრით,  
ცხოვრების რაღაც  
„სიახლეს“ ველი...

1981

\* \* \*

ველარ წარმომიდგენია  
სიყვარულის მეტი განცდა,  
როცა მისი ძლიერება  
ძვალ რბილსა და რიფებს ატანს!  
გულს აამებს, სულს ალაღებს;  
ხელსაც გაგხდის ხოლმე, კრავად!..  
ნაღველს სულ გადაგინმინდავს  
თან მეშვიდე ცაზე ახვალ:  
სიდიადეს შემოჰგმატებს,  
გაქცევს აზვირთებულ ტალღად.  
ათრთოლდები მაშინ როცა  
მყის რომ ყრუანტელი გცვარავს:  
უხილავი სიმი გიხმობს  
ველარა სძლებ, გთენთავს ნაზად,  
ლონემიხდილს და მიბნედილს  
მყისიერად ჰგმატებს ძალას,  
თუმცა სულ არ ხარ დაღლილი,  
მაინც ძილის ბინდი გფარავს!..  
აბა რაა სიყვარულზე  
ნეტარი და თბილი განცდა,  
როცა მისი ძლიერება  
ძვალ-რბილსა და რიფებს ატანს!

1979



\* \* \*

გრძნობების ქარიშხალი მძვინვარებს  
ყოველს, ყორიფელს  
განუკითხავად მიანგრევს!  
ლამეა.  
საამოდ ჰქერის ნიავი გრილი,  
პატარა ქოხის აივანზე  
ეშვება ჩრდილი...  
გული ვნებათა სუსხით დამზრალი  
რჩება გრძნობათა თანაზიარი.  
ეშვება ჩრდილი...  
ეშვება ჩრდილი  
და ქარიშხალი ლომისებრ, მიჯრით,  
ზათქით, ზრიალით. რაზრაზ-რიალით;  
ფრთილ-ფრთილით, ცახცახ-ციალით,  
ტორტმან-ტრიალით  
დაენარცხება ძირს და ტიალი  
დაისადგურებს შავი ლამე –  
სრული წყვილია!..

1981 გარახა

## ლია

მოთხრობიდან „თანამგზავრის ვნებანი“.  
(სიმღერა)

ეჰე, ვინც არ გაღმერთებდეს  
ქცეულიყოს კერძი მგლისა.  
ეს ამური სად მიგვაფრენს,  
ვერაფერი გამიგია.

მე ტაძარი ვნებათ ლელვით.  
აგურ-აგურ ამიგია,  
მეხთატეხა, ქარიშხალი  
ვერას ავნებს მაგას, ლია!

ბევრი უნდოდ გაიძახის  
„განა მასში რამე ყრია?!“  
– ნურას, ნურას უკაცრავად,  
გვაბრიყვებენ, ვითომ, ღია!...

ან კი თუნდ რომ იყოს მასე  
მის დაკვირვებულ თუ არ თრთიან.  
რა აწუხებთ, რა აშფოთებთ  
ან ეჭვები რაღად ღრწნიან?

არსთვამრიგე თვისი წესით  
ითხოვს შესანიშნავს დიდსა,  
ფუჭი არის სხვამხრივ ყველა  
ვინც ირჯება ვითომც, ღია!

მაშ სიცოცხლემ ინავარდოს,  
შეიმოსოს დიდებითა;  
ულეველი ძალა მოგვცეს  
ხედვითა და ხილვებითა!

1984

\* \* \*

გოგო-ვაჟმა ერთმანეთთან,  
მართალია, დადეს ფიცი;  
მაგრამ მერმე ეჭვის ქიამ  
დაუკარგათ მშვიდი ძილი,  
ილეოდნენ მანამ სანამ  
არ მოსინჯეს ბაგე ტკბილი,  
მანამ, სანამ არ აქციეს  
ოცნებანი სინამდვილით!..

1981

## ლალი ნიკლაუსს ექსპრომტად

ნიგნის გმირებს ლალი ეშხით  
მგონი ყველას აჭარბებ!  
– გულსა და გონს ვერ ვმორჩილებ,  
ღმერთო, ეს რა დამმართე?..

ნუთუ ისევ ძველებურად  
გადავეშივი ამურში?..  
– რაგინდ ასკეტური იყო,  
გულს ვერაფერს დაუშლი...

რადგან ასე შემძრა თქვენმა  
მიმზიდველმა არსებამ,  
გამჩენს, ლალი ნიკლაურო,  
გიდიდებდეს განგება!

2009 წ. 20 ოქტომბერი

## პატარა გოგო (სიმღერა)

პატარა გოგომ მატკინა გული,  
გული მატკინა პატარა გოგომ;  
– რა ვქნა, უფალო, რა გავაკეთო  
გადავიტანო... ნეტავი როგორ?..

პატარა გოგო, პატარა გოგო,  
გალაღებული დაფრინავს, დაჰქრის;  
სულ არ აწუხებს ჩემი ტკივილი,  
გულთან არ მიაქვს მას ჩემი დარდი:

მეცხრე ცაზეა ათას ფიქრებით,  
ტკბება და თვრება სიამით იგი:  
სინამდვილეში იქნებ ეგების,  
მართლაც გამოჩნდეს ნამდვილი ბიჭი.

იქნებ გამოჩნდეს ნამდვილი ბიჭი,  
ბიჭი ვაჟკაცი – გოგონას ღირსი,  
– უცნაურია, მაგრამ დღეს, იცით? –  
ბედის ბორბალი უკულმა მიდის!..

პატარა გოგოვ, პატარა გოგოვ,  
გაიფრთხილეთ, მოფრინდი ჩემთან,  
– ბებერი ხარის რქანიც სნავენო,  
სომ გაგიგია, – თქმულა ძველთაგან!

პატარა გოგომ მატკინა გული;  
გული მატკინა პატარა გოგომ,  
– რა ვქნა, უფალო, შენ შემინყალე,  
რომ გავიფიქრე რატომ და როგორ...

**2010 წელი**

**ლორენა**  
**(სიმღერა)**  
**ხალხურ მოტივზე**

ვას! რა მაგარი ყოფილხარ,  
კაცი ვერ მოგწყვეტს თვალსაო,  
– გულს თუ არ დამწყვეტ, ლორენა,  
არ გაგანბილებ, ქალაო!

გაოგნებული შეგცქერი, –  
კვლავ სიჭაბუკემ გამკრაო, –  
ისეთი სხმული რამა ხარ,  
ქალავ, თავს ვკარგავ თანაო...

განზე თუ აღარ გადგები,  
ზედა შეგაკლავ თავსაო;  
ფარჩას დაგიგებ, გაგათბობ;  
ნავს ვანანავებ ზღვასაო!

ქვეყანა შეზანზარდება,  
იზამს ფინალი ამასო,  
– გულში ყოველი გაივლებს,  
ვინაც კი თვალი დაგასო...

მგონია ასე აჯობებს –  
გადამაფარე კალთაო,  
დათვრები ვნების სიამით,  
ბუნება გიმღერს ნანასო!..

**2010 წელი**

ორი პოემა

სინანული

და

უცნაური ქორწილი

## სინანული (ნამდვილი ამბავი)

ტელეფონი: „ალო!.. ალო!“ – დავით, შენ ხარ?“ – ვილაც მძლავრობს!  
„დიახ, მე ვარ, ვერ გიცანით; რას გვიბრძანებთ, მეგობარო?“  
– „მგელიკა ვარ... გამიგონე, არ გამიბა მასლაათი,  
სალამოხანს ჩემთან მოხვალ ცოტა სუფრის მასალათი!“  
პასუხს აღარ დაელოდა, ასე დაასრულა ფრაზა:  
„განბილებას მირჩევნია ყელში გამომისვა დანა!“

აბა, რა მექნა, ვიცოდი, რაში იყო საქმე სრულად?  
ეგებ ჩემი მისვლა წყვეტდა მოვლენების წალმა ბრუნვას?..  
ჰოდა, ასე, ჩემს მეგობარს სანოვაგით მივადექი,  
როგორც მკარნახობდა გული – მორიდებით, მოკრძალებით!..

ლილაკზე თითს ვაჭერ მშვიდად, მაგრამ კარებს არვინ აღებს...  
გავიფიქრე, ესეც ასე! ნუთუ უქმად გავისარჯე?..  
გამაცურა?.. მაგრამ რისთვის? გავგულისდი, ვყარე ცოფი  
და კარს მუშტი დავაძგერე რიხით, ბრაზით, განა ცქოფით!..

გაბრუნებას ვაპირებდი... ოთახიდან მესმის: „დავით!  
თუ კაცი ხარ, წამს დამაცა, აღარ მომჭრა, ბიჭო, თავი!“  
ცოტა ხანიც და ხორაგით თავი ამოვყავი ლოჯში,  
– სუფრა დამხვდა არეული, სიგარეტის იდგა ბოლი!  
უსიამო გრძნობამ მყისვე შემიპყრო და ავიმღვერი:  
– მაინძელო! მარტო ხარ თუ... ვინმე უცხოს ხომ არ ელი?!“  
– ესლავეო! – მგელიკამ და წარმადგინა ტურფა ქალთან:  
„გაიცანით, ძმაო დავით, ამ ანდამატს ჰქვია ნანა!  
ახლა ვგონებ დროა, არა? ნავიმუსაიფოთ ერთად,  
ნეტავ რაღას მოღუშულხარ, სუფრას გავაახლებ ხელად!  
თუ ამ ტურფამ მოგჭრა თვალი, მოვრიგდებით, კაცი არ ხარ?  
აი, აქ გვერდით მომიჯექი, გარინდული რათა დგახარ?!“  
– ეჰ, მგელიკა, რას მაკადრებ! განა დავითს იცნობ ასე?  
რომ ნამუსი... შევირცხვინო – გავიხრწნა და გადავგვარდე?!..“  
– „არა, დავით, ვერ გამიგე – ეს ხომ სიტყვას მოჰყვა ესე...  
შენ ოღონდაც მოისურვე და ჩამოვსვამ ციდან მტრედებს!“

რალა მექნა? დავწყნარდი და სუფრას გავუსწორე თვალი:  
მხოლოდ ვყოფილიყავ მტკიცედ; მტკიცედ, მტკიცედ როგორც რვალი!  
ღვინო მასვეს, მომალხინეს; კაი კაცობა დამნათლეს:  
რაც მე იმ დღეს ხოტბა მასხეს, ეყოფოდა გამირის სახელს!..  
რალაც ყურში ჩასჩურჩულა მგელიკამა ერთ წამს ნანას,  
მერმე „ნაზად“ ნაჰკრა ხელი და ნანა მყის სადღაც გაქრა...  
გამიკვირდა, გაოცება ვერც შევძელი დამეფარა...  
მაგრამ მყისვე დავრწმუნდი რომ აზრი აღარ ჰქონდა დავას.  
მართლაც, რალაც ერთ საათში წამოგვადგა ორი ქალი,  
ორივენი მოხდენილნი – საჩინონი – ნატვრის თვალნი;  
თავად წარგვიდგინეს თავი; „ჩვენ ვართ ნანას მეგობრები,  
ეს ცხოვრება მხრებით მიგვაქვს – სილამაზის მეოხებით!“

თითო ჭიქა მოსინჯეს და შემოგვხედეს აღმაცერად:  
„არ გვცალია, საქმე ითხოვს, აღარ დავახანოთ მეტად!“  
მგელიკამ არ დააყოვნა; ასე მითხრა: „ჩემო დათო,  
ნანყენი რომ არვინ დავრჩეთ, ნაღდად გვიჯობს კენჭი ვყაროთ!..“

სიცოცხლეში ამგვარი რამ გაგონილიც აღარ მექონდა  
და ამან სულ გამაოგნა, დავჯექ ჩემთვის – მივეც ოხვრას...  
გონს რომ მოველ, გვერდით მეჯდა, მართლაც შეხედული – კარგი,  
მაგრამ თვალს აღარ ვუსწორებ – გულს ღრძოდ მანვეს დანაკარგი...  
ხმას არ ვიღებ, დავაყოვნე, ოდნავ ჩამელუნა თავი;  
მსურს რამეთუ მოვიშორო – გესლით გავკრა მწარე ბრჭყალი!  
მაგრამ დახე, საოცრებავ... „დამიყვავა“ თავად ქალმა,  
ხელი „ხისტად“ მომდო ლოყას – აატარა, ჩაატარა...

მერმე თვალი გამიყარა. გამიღიმა, იდაყვს მადებს,  
ირონიანარევე ტონით თილისმურად მეტყვის ასე:  
„ოი, რა ბიჭი ყოფილხარ, მორცხვი და მორიდებული...  
ლამის მეც აგყვე... აღვტკინდე, ლამის აზვირთდეს ეს გული...  
მოდო, მოდო, ნუ გრცხვენია, ნუ ხარ ასე ალანძულად,  
დროა გაინაფო, თორემ დარჩები სულ დაჩაგრულად!  
ქესატად ხარ?.. მითხარ, კაცო, ნუთუ ისე ვარ წამსდარი,  
რომ ამისთვის გაგანზილო და არ გაგისწორო მხარი?..“



ასე იყო, კიდევ ბევრი საკმარისად დავაკელი,  
მანამ მას რასმე ვეტყოდი, მანამ ზე აღვმართე ხელი!..  
მაგრამ ქალი რის ქალია, მითუმეტეს, ისიც სიძვა –  
ცეცხლის ალზე თუ არ შეგნვა, თუკი აღარ შეგარბილა..  
და მეც ასე „უცოდველი“ შევიქენი მისი მსხვერპლი,  
თუმც იმასაც დავამატებ – ვერ დავატყვე ჩემი ხელი.  
მანაც მითხრა: „რად ხარ რიდით, თუ ფიქრებში გადაფრინდი,  
აღარ გიჯობს მეაღერსო – დაიკმაყოფილო ჟინი?“

ამ კითხვაზე სინანულმა შემიპყრო – დამრია ხელი  
და დიღემის წინაშე მდგარს – ერთილა მქონდა სათქმელი:

„რომ გეაღერსო, არ მაქვს ძალა ტრფობით გამთბარი,  
მიბნედილი ვარ, ცბიერებით არ ვარ ნავალი;  
პირმოთნეობა სიმახინჯის არის მწვერვალი!  
რალა ვქნა თუკი არ ვარ მისი მონა-მხევალი?..  
არ ვუარყოფ, რომ ლამაზი ხარ და ტანკენარი,  
მაგრამ ღვთაებრივ ძლიერებას ხარ მოკლებული;  
თუ სიკაშკაშე გაქვს სახის და მკერდათქვირული...  
არა გსდევს, კარგო, სინარნარე – ნაზი ქალური...  
შენ გარეგნული სილამაზე გსპობს – განიავებს!  
და იმას რასაც თქვენ ეძახით დროის ტარებას –  
სწორედ ის გაცლით სინატიფეს ძლიერ მაღლიანს,  
– ალვისტანობა, კანი თეთრი ვერ გხდით შუქმფინარს...“

მან სიგარეტი აიღო, ფეხზე გადაიღო ფეხი.  
მერმე უცებ აელვარდა გავარდნასა ჰგავდა მუხის:

„ოი, საბრალოვ! სულელი ვარ შენ რომ გიმღერი,  
რაებს მიჰქარავ! ამ უმგვანო ლაზღანდარობით?  
განა არა ხართ ამ ქვეყნის შვილი, გაღვთისნიერდით?!  
თუ ფორმალობის მოლანდება... გიპყრობთ სახადი?..“

მე მივმართავ ისევ მშვიდად, – არ ვლაღატობ დიდაქტიკას:

„არც ერთი ვარ და არც მეორე მაქვს გასავლელი,  
არც სხვის დიდებას ავყოლილვარ მიზანსწრაფული;“

მე მხოლოდ მტანჯავს ტრაგედია თქვენი ცხოვრების –  
განუსაზღვრელად დამთრგუნავი ჩემი აზრების!..“

არ იხევა ქალი – სიძვა – უსაშინლეს ცოფსა ყრიდა –  
გამძაფრებით მესხმის თავზე; სურვილი კლავს – დამცეს ძირსა:

„მე ჩემს ცხოვრებას ტრაგედიად არასგზით არ ვთვლი,  
არც კომედიად მესახება წუთისოფელი  
და არც იფიქროთ – თითქოს ვინმე საბრალო ვიყო;  
თქვენ მეცოდებით, ამ ცხოვრების ვითომცდა გმირო:  
ქაქანებ, ვითომ, არ ვიცოდე რასაც ვაკეთებ,  
ფუ! შე ლაჩარო, ნაძირალავ – უტვინო ვირო!  
ნეტავ იცოდე რას ბუზღუნებ, რას ურაკუნებ?..“

შევყურებ აუღელვებლად, შევასმინო მინდა რაღაც,  
რომ ვალი ღვთის აღარ დამრჩეს, დროზე გავისტუმრო ლალა:

„ნეტავ რად ცდილობ შეურაცხყო ჩემი ღირსება?  
განა თავს გახვევ შეიცვალო ძალით თვისება?!  
მაგრამ ცხოვრებას თუკი არ გრძნობ, გაგიჭირდება  
და მასზე ფიქრით გული შენი თუ არ ინთება...“

გზა აცდენილებს სჩვევიათ სხვათა აზრთა ჩაჭიდება,  
ამით ზადის სურთ დაფარვა ან პირიქით გამდიდრება...  
ამ საფარით უცებ ქალმა ტყვიასავით დამახალა:

„ვინც რომ ფიქრობს მისთვის კომედიაა ცხოვრება!  
ხოლო თუკი გრძნობ მას – ტრაგედიაა რეგვენო!!  
გამოფხიზლდი, რომ სიაგვაცეს განუდგე შორსა  
და რაც მაკადრე უფიცობით – მოინანიო!“

მივხვდი ჯიქურ მიახლებით, ნამდვილად ვერ ვაღწევ მიზანს,  
ავდექ ნელა, მოვსვი ჭიქა... და ვიმარჯვებ მოქნილ სიტყვას:

„ოი, საბრალოვ, რარიგ ცდები და ითელები,  
რომ არად აგდებ ქალურობას და სილამაზეს...  
ო, როგორ ფიქრობთ, მტრად ვარ შენთვის მოვლინებული?“

და ან კი ვავლენ დიდაქტიკურ სიამპარტავნეს??  
მე არცერთი არ მამოძრავებს – შემარცხვენელი...  
მხოლოდ მინდა რომ შენი მრწამსი არ იყოს მცდარი,  
სხივმომფინარევე, იყავ თავის შემბრალებელი...  
ყველაზე დიდად სათაკილო თუ გიფიქრია,  
აბა რა არის მითხარ გულით – მოურიდებლად?..  
კვლავ გიმეორებთ... რომ მიპასუხოთ გულახდილად,  
შეუშფოთვლად, უდრტვინველად და სიმართლითა...  
სათაკილო არ არს აგრერიგად ბუნებით შემკულს,  
გაძარცვულ გქონდეს სიქალწულე უგუნურობით!..  
ხორცი ქცეული საალბათოდ... რაღაც გროშისთვის...  
და მაინც მე თქვენ... მოგიხადოთ უნდა ბოდიში...“

ქალმა თვალები დაჭხარა, ცხარე ცრემლი ბლომად ჰყარა,  
მერმე აქვითინებულმა – მალალსა ღმერთს შეჰლაღადა:

„დიდება მამასა და ძესა შემინყალე მე...  
ო, სულო ძლიერო... გევედრები, გამეცი ხმა...  
დაუფარავად... თქვი!.. თუ ვცოცხლობ მე შენს გარეშე?..  
თქვი! რად დამცირდი აგრერიგად, სად გაჰქრი ასე?..  
საზიზღროებავ! სისაძაგლევ! შორს ჩემგან-მეთქი!  
მე არ გიცნობ შენ, ბოროტებავ!.. წადი, გამშორდი!  
გთხოვ... გემუდარები... გამშორდი, გამშორდი მალე...  
შურით არასდროს შევპყრობილვარ, არც განმიცდია,  
მაგრამ საკუთრივ ჩემი თავი არ დამინდვია,  
შეუბრალებლად გამიძარცვავს – შემირცხვენია...  
ო, სულო – სულო! სად დაიკარგე... გამეცი ხმა...“

### **მინანერი:**

ცდუნების მსხვერპლნო, შეისმინეთ წმინდა ღალადი:  
გაღვთისნიერდით, გაცისკროვნდით და გაძლიერდით;  
უტიეთ ყველგან ბოროტებას – თესეთ კეთილი,  
– ირწმუნებთ ძალას მარადისად გადარჩენილნი.  
უტიეთ ყველგან უხამსობას, მხარი ზნეობას,  
– ირწმუნებთ ძალას, უპირველეს – მაინც მეობას!

1979 წ.

## პოემა უცნაური ქორწილი

### შესავალი

არც იგავი, არც ზღაპარი, არც ძველი და არც ახალი,  
უნდა გაიმბოთ, მოგიტხროთ ერთი პატარა ამბავი.

თავად ვყოფილვარ მხილველი აქ ჩამორითმულ ალისა,  
მომსწრე ყოველი ამისა, მომსწრე წვისა და დაგვისა!..

ფიქრს აზრი მოჰყვა, აზრს კიდეც განსჯა მრავალი რამისა.  
წარმოჩენ-გამზეურება ღრმად დამჩნეული კვალისა!

ერთსა გთხოვთ, არ აგვიჩქარდეთ მოვლენის შეფასებაში,  
მხოლოდ გულდასმით განსაჯეთ და მერმე დასვით ნიშანი!

თუკი რამეს სანყისი აქვს, ბოლოც ექნება ნამდვილად,  
ამრიგად, დამშვიდებით და გონით გავსდიოთ საქმის სვლას!

დარს რომ ავდარი მოჰყვება და პირიქით ავდარს დარი,  
ეს არ იწვევს ვნებათ ღელვას, ჩვეულებრივი რამ არი.

ცხოვრებაშიც არის ასე, ბევრი მხარე დასანახი,  
თუ ამ მხრით არ მიუღეჭი, დამარცხდები, გელის კრახი!

რაც კაცს თავზე გარდახდება, თხრობის ფასად არ ღირს ყველა,  
მაგრამ თუკი გულს გვიმდულრებს... დაფიქრება გვმართებს ღმერთმან!

ეს ასეა! და თუკი გსურს კაცურ კაცად დარჩე ქვეყნად,  
არვინ იყოს ცუდის მთქმელი, არვინ დარჩეს გულნატკენად;

უნდა ცხოვრებას მისდით თავის წესითა და რიგით;  
ყოველ ცუდ ზნეს განერიდო – არ იარო რიხით – რისხვით...

იყავ მუდამ თავმდაბალი, რაგინდ წინსვლა გქონდეს დიდი,  
მხოლოდ მაშინ ექნება ხალხს შენი პატივცემა, რიდი!

თუ ცხოვრება დაგიქანდა ჩამოიშვა დაბლა დირე,  
აღარ უნდა იწუნუნო, თითქოს ღვთისგან გაიწირე!..

ეს ცხოვრება სარკვე არის კარგისა და ცუდი საქმის,  
ამიტომაც თავს უთხარი – არ გაგექცეს მრუდედ თვალი.

რწმენის უქონლად არასდროს არ მოჰკიდო საქმეს ხელი,  
თორემ უცილოდ იცოდე – მასთან ერთად დაიმსხვრევი!

უზომოდ სმას ნუ ირწმუნებ – ვაჟკაცისას გარგებს სახელს,  
მაშინ ცდები, ითელები, ემსგავსები ნამდვილად ხელს...

და თუ ღვინოს სხვას აძალებ, ურიგობას ავლენ ამით;  
მასპინძლობ თუ სტუმარი ხარ, გამიგონე, არ გაქვს ფასი!

სადაც იყო, სულერთია, ჩვეულებრივ მოიქეცი,  
არავის არ აგრძნობინო, რომ ზრდილობის გეცა ქეცი!

რაგინდ ცოდნით იყო სავსე, დაიმკვიდრე ერთი წესი:  
– არვის შეაძულო თავი უაღაგო შენიშვნებით!

მეგობრების შეძენის დროს თავში გქონდეს ერთი მცნება;  
რომ ამ სახელის ტარების ყველას როდი აქვს შეძლება!..

კაცი თუკი სულიერად დაცემული არის დაბლა,  
თვალი რამემ არ აგიკრას, მოელოდე მისგან ლაღატს!

მტრები თუ გყავს ავსებულები ღვარძლითა და ბოროტებით,  
ძალა თუ შეგწევს მოთმენის – ადვილად გაუსწორდები.

უგუნურთან მოერიდე კამათს, ბჭობას ან მსგავს რასმე,  
მაგგვარ ქცევით იცოდე, რომ საკუთარ თავს ასამარებ!

სიცრუით თუ სხვას ვნებ ერთობ ბოროტების ხარ ტოლფასი,  
ამიტომ სჯობს მოიშორო როს შეგიჩნდეს სენი მსგავსი.

ცხოვრებას ვინც ველარ სდია, წინ-წინ ველარ წაიწია;  
საფიქრალი მართლაც კია – ვერაფერი გამოსვლია.

გინდ ყოფილხარ ასე სოფლად, გინდ დაუფლეთიხარ ყორანს,  
საკუთარი თავის მტერი ველარ გასწევ მეგობრობას.

შეგონება ზოგ-ზოგათავის გამომაფხიზლებლად იქცა,  
ზოგათავის კი უღალატო – სანდო მეგზურად და ხიდად.

### თავი პირველი

ნათელი ღამით მოცულა მთა, მინდორ-ველი, ყოველი;  
სიო ქრის ანდამატურად სიამტკებილობის მომგვრელი.

სიმშვიდე გადასდებია მთებს ჭალარებს და მოვერცხლილს...  
– გული გრძნობს სიდიადესა განგების ნებით მოვლენილს!..

ცაზე ვარსკვლავები ეშხით ციმციმებენ, კრთიან, თრთიან,  
ბუნების სიმშვენიერე უცილობლად ამას ჰქვია!

აგერ ვაზი, უსურვაზი... პურის ყანა – მდელო ნაზი...  
შფოთიანი ალაზანი მირბის რიხით, მსხვრევით ზათქით.

ამით საყდრულ სიმყუდროვეს მომნუსხველად შეფარვით ჰპობს,  
სულს გაამებს, გახალისებს, უხილავი სიმით გიხმობს!

მთვარე სილალით გარემოს დაჰნათის და ესალმება,  
როგორც თვის სწორს უხმობს მგოსანს, როგორც თვის სწორს ეუბნება:

„ჰე, ძმობილო, მითხარ ერთი... აღარ მეტყვი ვილას ეტრფი?..  
– თუ გსურს გრძნობებს გზა გაუხსნა აი, იმ ბილიკს გაჰყვი...“

– რომელ ბილიკს? – აღარ აცლის შორეული მგოსნის ლანდი,  
– მითხარ, მითხარ – მელაღება: – ჯერ ბევრი მაქვს საჯიხარი!

მინდა გულით ვახშიანო ქნარი, სასურველი ქნარი...  
ისე, ნაღდი თუ არ იქნა, ვის მოვუყევი ეგ ამბავი?..

– ეჰ, ძმაო, რად ამიღელდი? მომისმინე, გეტყვი ნათლად;  
აგერ, მარჯვნივ – ალაზნისპირს გზა რომ მიდის დაკლაკნილი,

გაჰყევი მარჯვედ! გენაცვალე, არ გახისტდე, იყავ ლაღად,  
გზატყევილზე რომ გადახვალ, მარცხნივ გაუყევი შარას.

მეტს კი უკვე ვერას გეტყვი, თავი თავად გაანძრიე, –  
რასაც ნახავ აღინიშნე და ლექსად გადააქციე!..

მთვარემ ეს უთხრა თუ არა, გადაქანდა, გადმოქანდა;  
ცის კიდეზე ჰორიზონტთან გაცურდა და მიიშალა.

შეუმჩნევლად ჩამობნელდა, ცაზე ღრუბელთ ჯარი დგება,  
გულისშემძვრელ ნადირთ ღრიალს იმეორებს მათათა ენა.

მგოსანს ეს სულ არ აფიქრებს – გზას მიიკვლევს დიდის ამბით,  
და რას ხედავს?! მიდის კაცი თავის ბარგითა-ბარხანით.

მგოსანი მყის, მთელი ძალით, მთელი გონებით და განსჯით;  
ამოძრავდა – ამუშავდა ლალი მოქმედებისათვის!

გაჰყვა უცნობს. ინტერესი გახდომოდა ძალზე დიდი, –  
თუ რა იყო იღუმალი და რას ჰპირდებოდა იგი.

უცნობი ჩანს ძალზე ფრთხილი, ეტყობა რომ ეს ადგილი  
ნაცნობია მისი ძველი – ალბათ ყრმობისდროინდელი!

დახეთ? გვერდზე გადუხვია, სოფლის შარას აჰყვა აღმა,  
იქიდან კი რიგზე მარცხნივ საცალფეხო ბილიკს გაჰყვა.

სიბნელეში ამ უცნობის სილუეტი მკრთალად ჩანდა,  
მაგრამ ნათლად ემჩნეოდა რალაც ნერვიულის განცდა.

ახალსოფლის კარიბჭესთან მას შეეგებნენ ქალები,  
რომლებმაც დარბაისლურად ასე გააცვენეს სათქმელი:

– ქორწილი გვაქვს საოცარი... როცა შეხვალთ... გაერკვევით,  
იქ არს მრავალ ჯურის ხალხი, თავთავიანთ დანამატი;

უცნობი თუ ნაცნობები, მსდალები თუ ვაჟკაცები,  
ყველა რალაცით გართული... ყველა რალაც სადარდელით...

უმეტესობას შეადგენს, მხოლოდ და მხოლოდ მამრები;  
ამშვენებენ სეფის კიდეს დეზებიანი მამლები.

ხართ უცოლო?.. რა სჯობია! ეგებ ბედმა გაგიღიმოს,  
მაღალ ღმერთმა ინებოს და ანგელოზი გაპოვნინოს!..

რა ქნას უცნობმა? – ნებდება, ძალას გაჰყვა მისი ნება,  
ფიქრობს: „უკადრისობაა ამ ქალთა არდაჯერება...“

შეერია ისიც ხალხში, როგორც ხდება ქორწილებში,  
მანაც ითამაშა ნარდი, თუმც მოიგო, მაგრამ ფული?..

– არ აიღო, არ ინდომა, თან ღიმილი გადმოტბორა,  
არ ელოდნენ, შეცბა ხალხი; დააზუსტეს: აი, კაცი!

ჯგუფს ერთი გამოეყო წითური და ტანად მრგვალი,  
უცნობს სთხოვა გვითხარიო: „ვინ ხართ? ან აქ როგორ გაჩნდით?..“

მაგრამ ამ დროს მყისიერად დაიქუხა დამბაჩებმა,  
ხალხში ბრგე კაცი გამოჩნდა და ითხოვა გაგონება:

– ბატონებო! არ მოგმართავთ მიკიბ-მოკიბულად, ლიქნით;  
მხოლოდ ნამდვილს მოგახსენებთ, „ურყევსა“ და „მოსილს“ ფიცით!



რასაც გეტყვით, აღარ შევცვლი, აღარ შევცვლი, არა, არა!..  
საამისოდ მაქვს მიზეზი, რამაც რომ გამასამსალა!

შემთხვევა მოულოდნელი გახდა ამის ძირი, არსი,  
– შვილმა გადანყვიტოს თავად, თავად თვისი მომავალი...

პირობა კი ასეთია, მორკინალნო, არცთუ ძნელი,  
ვინც რომ შვილის გულს დაიპყრობს... ფარველობდეთ მაღლა ღმერთი.

ეს ბრძანა და მაშინათვე დაიკავა ყანწი ხელში,  
თქვა: „ასპარეზს გაუმარჯოს, შესვით სადღეგრძელოები!..“

ხალხი ხორაგს მიეძალა, ზოგი ისეთ ძალით ხრავდა,  
რომ მგოსანმა თქვა ხმადაბლა: აი, მესმის; აი, მადა!

### თავი მეორე

მკითხველებო, უცნობს დახეთ, ამღვრეული უჩანს სახე,  
კაეშანს რომ არ გადაჰყვეს, უნდა მოვუხერხოთ რამე...

თუმოვლენისთვითმსვლელობას ჩვენც დინჯად დამშვიდად გაეჰყვეთ?  
– გული ასე მკარნახობს, რომ დაეყრდნეო უკანასკნელს!..

მაშინ ეგრე, მეგობრებო, დავუბრუნდეთ ამბის თხრობას.  
ნეტავ უცნობი რას შვრება; ნეტავ გული მოიოხა?..

ის კი არა და ერკვევა ზღაპარია თუ ნამდვილი?..  
– ფიქრობს და აზრი ერთმევა, აქვს ხასიათი აყრილი.

არ იცის რას მიაწეროს ამდაგვარი ახირება;  
ლამის გონება დაკარგოს, ლამის გული გაუსკდესა...

კვლავ დაფიქრდა, გაიაზრა... და პირს ლუკმა ძალით ჩასჩრა,  
„ახალშენიც“ რომ იგემა, გამოცოცხლდა, გაიბადრა!

მგოსანი მსწრაფლ დაიძაბა, თან თავს დაატანა ძალა,  
მაგრამ შეცბა, ვერ გაერკვა, ღრმა ფიქრებმა გადასძალა!

ძლიერ დაღონდა, გაოცდა; ერთხანს გაერთო, დაყოვნდა;  
აზრების დამორჩილებას ტყუილუბრალოდ ლამობდა!..

მოვლენები რადგან ასე „უჩვეულოდ“ წარიმართა,  
ვერ გაგაცნობთ უცნობს ჯერე, მართალს ვამბობ დამიჯერეთ!..

რა წამს დოლი აბრაგუნდა, რა წამს აჭყიპინდა ზურნა –  
ლამის ცრემლი გადმომდინდა, ლამის სული შემეხუთდა!..

ილხინე! რა დროს ცრემლია, ხალხი მოუცავს განცხრომას;  
სტომაქებს ისე სტენიან... ნეტავ შეძლებენ ადგომას?

ტყავი წელვადი – არ იყოს, მას რომ არ ჰქონდეს დანდობა;  
ბევრის მუცელი ნამდვილად ვერ გაუძლებდა ამ ყოფას.

საქორწილო რიტუალმა რა წამს იწყო ფრთების გაშლა,  
კრებული მყის გაირინდა, დაშოშმინდა და დაწყნარდა.

ამ დროს, მშვენივრად მორთული, ნელა შემოჰყავთ ასული;  
ლალი, ლალივით ბრიალა, ნარგიზი ტანად ზრდასრული.

პირმცინარი, პირმწყაზარი; ვარდ-ბაღნარად გადაშლილი,  
სათნოდ ზრდილი, გაფურჩქენილი, მოლიმარი თვალწარბშლილი!

რალა ბევრი გავაგრძელო, მას ვერ ავნერ კალმით, ძმებო,  
ანგელოსი იყო ღვთისა – შესადარი დილის მზისა!...

ეს საპატარძლო საჩინო, დასვეს რიდით და ალერსით,  
მაგრამ მას ქათინაურზე არ გაბრწყინვია თვალები.

და მან, ნეტავ რა მოხდება, რომ ვერ პოვოს გულისწორი?  
– მაშინ ჯვრის თუ ბედისწერა ალბათურად გადანყდება!

პირობა რომ ასეთია, ქალწულმა ეს კრავად იცის,  
მაგრამ რა ქნას? ვერ გატეხა სიჯიუტე მამამისის...

მინდობილი იგი ბედსა, თავის უმწეობას ხედავს;  
ხმა რომ დროზე აღიმაღლოს, ჯერჯერობით ველარ ბედავს.

გამქირდავად მოავლებს თვალს ხალხით გაჭედილ სეფას,  
გულს ოხვრას ამოაყოლებს; გამოსავალს ვერა ხედავს...

და ასე, ბედს მინდობილი, გულმდულარი სვეს ნებდება;  
რა ქნას, უნდა დამორჩილდეს? ქვეყნად ყველაფერი ხდება.

ბუნების ნაზი ქმნილება უგუნურთა მსხვერპლი გახდეს?  
– ხდება უფრო უარესი, ბოროტება და სიმდაბლე!..

### თავი მესამე

მკითხველებო, თქვენი ნებით ცოტას უკან დავიხევი,  
შევეცდები მოკლედ გითხრათ თუ რამ შექმნა ეს მიზეზი;

ჩვეულებრივ, როგორც ყველა ისე იზრდებოდა ლალი,  
მხოლოდ იყო დედისერთას სილამაზე ალბათ „ბრალი“.

ბევრი გულით თავყანს სცემდა, მაგრამ ლალი, პირმწყაზარი,  
ახლოს არვის იკარებდა, – ასე იყო ვითარება!

მომწიფების ასაკში კი ნეტარების სხივმა გაჰკრა;  
სახეს მოედო აღმური, ლამის ზეზეურად დადნა...

ლალის ამ ფერისცვალებას მშობლების მხრივ მოჰყვა წყენა...  
თუმცა მათ არ დაახანეს – ამდაგვარად ჰპოვეს „შველა“:

– გვიჯობს გავათხოვოთ აწი, თვრამეტი წლის უკვე არის;  
ვილამ უნდა დაგვიწუნოს, სხმულია და ტანკენარი!

ნულარ დავაყოვნებთ დიდად, კარგი მაჭანკალი გვინდა;  
აგვირჩიოს სიძე თავად, ჩვენი დროის ალიფაშა!..

ეს ხმა გავრცელდა თუ არა, მაშვლებმა მყის წაიმძლავრეს;  
მიდი-მოდოდნენ ერთად, უღევად და წყება-წყებად!..

როგორც იქნა, ბოლოს ერთზე შეაჩერეს არჩევანი  
და ნიშნობის დღედ დანიშნეს მარტის ბოლო კვირისაღალი.

თან თქვეს: „გვიჯობს გადავწყვიტოთ, ქორწილიც ზედ მივაყოლოთ,  
მოვილხინოთ, გავიხაროთ, სიამე და სიტკბო ვნახოთ!“

თქმა და საქმის წამოწყება არაფრით დაყოვნებულა,  
მხოლოდ ლალიმ მოინყინა და ძლიერ დაღონებულა...

ნიშნობისთვის გულისყურით მოემზადნენ – შეხვდნენ რიხით,  
ძალ-ღონე არ დაიშურეს სახელისთვის, დიდებისთვის!..

ლალიმ თუმცა გაიმძღავრა, საქორწილოდ მორთეს მაინც;  
სირცხვილი არ გვაჭამოო, დაარიგეს დიდის ამბით!..

„სათაყვანებელ“ სასიძოს თმა არ შერჩენოდა თავზე,  
ჰქონდა იგი მოტვლეპილი, იქნებოდა ორმოცი წლის.

ტანად ჯმუხი, დაბერტყილი, მუცელ გადმობრუნებული,  
მკლავები მსრებს მორგებული გახლდა დაკოტიტებული...

მოგრძო სახე, ფართო შუბლი ჰქონდა დანაოჭებული;  
ულვაში და ქილვაშები მეტისმეტად მოშვებული...

– გარეგნული მხარე რაა, – გაიფიქრა ლალის მამამ, –  
მთავარია აქ სიმდიდრე და ცხოვრების კარგი მადა!

როს ქალი გაუწინმატდა, ლამის თვალებით შეჭამა,  
– როგორც, რომ ხნავს აღმართს ძალა, ლალის დედა ისე დაცხრა.

თუმც ანგარიშგასაწევი სცენა მაშინ გაიმართა,  
რა წამსაც სასიძო, დათვა, საპატარძლომ დაინახა:

ჯერ მთლად გაშრა ლალი ლალი, შემდგომ სასონარკვეთილი  
გადესვენა დედის მკლავზე, სახე გაფითროდა ძალზე.

წყალი როცა შეასხურეს, წამსვე გაახილა თვალი,  
თქვა: „ღმერთო რა დავაშავე, სხვა სასჯელი აღარ არის?..“

ნიშნობა მყის ჩაიშალა, თითქმის „ანყობილი საქმე“  
საპნის ბუშტივით გასკდა, ხელს-თვალს შუა დაიკარგა!..

ნადიმი მაინც გაიმართა, ვერ დავძრახავთ რიგს თუ ასცდა,  
სტუმარ-მასპინძლობის ყადრი როგორ შეელახათ აბა?..

სიტყვას სიტყვა სდევდა მძლავრი, სადღეგრძელოს შესადარი;  
– არ გამოტოვეს უთქმელი, ამა მთისა, ამა ბარის!..

როს მოეძალათ სასმელი, სათქმელს მოჰხადეს სარქველი  
და განურჩევლად ამღერდა სტუმარი თუ მასპინძელი.

განბილებულმა სასიძომ მაინც არ მოჰხარა ქედი:  
– რა ვქნა, ძმებო, ნუ დამძრახავთ, რას გადავალ რაც არს ბედი.

ჩინებული გოგონაა, მაგრამ ჯერ მან რა იცის რა?  
დრო გავა და აზრს შეცვლის, ანგარიშმა ბევრი დასცა!..

ვითომ სიყვარულს ეძებენ, მასთან ერთად სილამაზეს,  
სწორედ მინდა მოგახსენოთ, ამაშია სივაგლახე!

დრო ყველაფერს ნირს შეუცვლის, მხოლოდ ანგარიშს კი არა!  
ცარიელი – ტარიელი ნეტავ რაღას არგებს ქალსა?!

ბევრჯერ მომხდარა ამგვარნი ხშირად ასცდენიან გზასა;  
ქმარ-შვილიც რომ მიატოვეს და რომ გაჰყოლიან სხვასა!

და რომ ეს არ განმეორდეს, ჭკუა უნდა იღრძოს ბევრმა,  
თორემ ცხოვრება დაჩაგრავს გაუნბილებს სიცოცხლესა!..

– მართალი ხარ, მეგობარო, – დაუმონმა ლალის მამამ, –  
მაგრამ შვილს ახლა გავუგებ, საქმე მაინც გეგმით წავა!

მე მამა ვარ, მაქვს უფლება ჩემი ძალა დავამტკიცო,  
ქორწილს მაინც არ გადავწევ, თუნდაც, ძმებო, ურო მგლიჯონ.

პირობებს იქ მოგახსენებთ თავის წესით, თავის რიგით!  
– ახლა კი გთხოვთ დავასრულოთ, აღარ შევირცხვინოთ პირი...

### თავი მეოთხე

დადგა ჯერი სასურველი – „ბრძოლა“ ბედმაძიებლების,  
მხოლოდ უცნობს დაღრეჯია სახე არცთუ ძველისძველი...

ასეთ „საპატიო“ კონკურსს აბა ვინ წარმოიდგენდა,  
მაგრამ ფაქტი ფაქტია და კურიოზიც ხშირად ხდება!..

შესაფერი რიტუალი წინ უძლოდა მრავლისმთქმელი,  
თავიდანვე აწყობილი საქმე ჩანდა დაწყობილი.

დადგა რიგი „ვაჟკაცების“, თუმც აქა-იქ გაერივნენ,  
საცოლის მაძიებლები – ტანჩოჩორა „ყმანვილები“.

როგორც წესი, როგორც რიგი, კენჭი ყარეს დასაწყისში  
და გარკვეულად განსაზღვრეს გოგოსთან ბაასის წილი.

პირველი ცდის უფლება კი ერგო, ვინმე, გვარად ჩინარს,  
სახელად კი მიხო ერქვა, ჩამომხმარი ჰგავდა მძინარს...

„ორაზროვანი სიტყვების“ დააყენა ბუქი – მტვერი,  
სად აღარ მიედ-მოედო, ჩაიხლართა აზრთა ტვერში.

ბოლოს დაიმედებულად ასე დაასრულა „აზრი“:  
– ლალი, თუკი გერჩის გული, გამომყევი, სხვას ნუღარ ცდი!

ისეთ ყოფაში გამყოფებ, ველარ წარმოიდგენ, ვიცი,  
ოქროს ტანტზე დაგვამ კარგო და აგავსებ ტრფობის სხივით!..

და ამით ჩვენს „ცნობილ“ მიხოს რეგლამენტი გაუთავდა,  
ლალიმ კი – უარის ნიშნად თავი ნაზად გააქანა.

შეცბა მიხო, გაშრა მიხო, ვერას მიხვდა, ალბათ მიტომ  
სმამალლა წამოიძახა: – „ჰო, თუ არა, ჩემო გვრიტო?“

– არა-არა, არა-არა... ლალიმ ასე დაუმარცვლა;  
მწველი მზერით მიანიშნა: – სუ! გაჩუმიდი! ყბედო, კმარა!

სიცილ-კისკის და ხარხარში რიგი მიდის, მიდის, მიდის;  
ზოგი ყბედობს, ზოგი ხუმრობს და ზოგი კი სახრავს იჩრის!

ზოგი „ხდის“ და ზოგი „აცმევს“, კაცი თავს ველარ გართმევს,  
მაგრამ მგოსანს რა დააბნევს, „ყულაბაში“ მეტს დაატევს.

და ასე, რომ მიიწურა რიგი, მრავლისმთქმელი რიგი,  
მაგრამ ლალის მოწონებულს ვერვის ვხედავთ – არცა გვიკვირს...

„დებულების“ ბოლო პუნქტით კენჭი უნდა ყარონ წესით  
და მით უნდა გაარკვიონ ლალის „საბოლოო ხვედრი...“

ქალწული მთლად გაფერმკრთალდა, დაეფლითა სახის ფერი,  
შესხედულება გაუხდა ძალზე შესაბრალებელი!

და როდესაც წამოიწყეს საჩოთირო პროცედურა,  
მყის განსმა გულშემძვრელი ხმა ღვთიური საამურად:

– რა ხდება?! რამ გაგაგიჟათ, რამ აგირიათ გონება?  
თუკი გრძნობთ რასაც სჩადიხართ, სჯობია მორთოთ გოდება!..

სამასხარაოდ აქციეთ: წესი, ღირსება, ადათი?  
ვინ მოგცათ ამის უფლება, ო, ერთი, ღმერთო, მაგათი...

იცოდეთ, აბუჩად იგდებთ, ოჯახის ნამდვილ შვილობას,  
მას აჭკნობთ, თან ასამარებთ, გზას აძლევთ უსირცხვილობას?!

სულ ერთი ბენო ნიშანი კაცობის აღარ გქონიათ,  
გადარეულხართ, რას ვხედავ, რა უმგვანონი ყოფილხართ?!

„თავისებურად“ თუ ნათლავთ, – ამართლებთ ასეთს ქცევასა;  
თქვენთანა ბჭობა აღარ ღირს, ფუჭად ავიშლი ვნებასა!

ისემც გზა არეულად ვთვლი თავს და გაჩენას, ყოფასა,  
მიჯობს წავიდე, წასვლა ჯობს, ყურება ამგვარ ცოდვასა!..

მყისვე დაშოშმინდა ხალხი, შეწყდა უყმური გნიასი  
და მოლოდინმა მოიცვა მამაკაცნი და დიაცნი!

როცა გამეფდა სიჩუმე, როცა დაწყნარდა ყოველი,  
წარწარით გამოემართა, აღარ იკითხავთ რომელი?..

ჩვენ მასში ლალი ვიცანით ღვთიურ ნათელის მფლობელი,  
უმანკო, გაბრწყინებული, სიამის, სითბოს მდომელი.

უცნობს როცა მიეახლა ცრემლნარევი და მწუხარის ხმით,  
რაცა მის გულს ღრღნიდა, სრავდა შეფარვულად შეჰღალადა:

„გააცხადე რომ შემიერთავ, რაგინდ აღარ გსურდეს ესა;  
მხოლოდ ასე გადამარჩენ, ამარიდე განსაცდელსა!..

ამ ყოფას რომ თავს დავაღწევ, მერმე აქედან გავაღწევ,  
უხმოდ ბედს დავმორჩილდები, ის თავის ძალით ამავსებს.

ერთადერთი ამ, ამ ხალხში თქვენ ბრძანებულხართ ვაჟკაცი!  
ხედავთ? როგორ გადირია მამაჩემი... ჩემი მამი?..

უკვე, აქ არ მედგომება და ანკი აქვს ამას აზრი?  
ჰოი, ღმერთო, მონყალეო, ამარიდე გზა საზარი!..

უცნობი წამს გაირინდა, მერმე ხელი ახლო გმინავს,  
წაზად მიეალერსა თან, ამდაგვარი, უთხრა სიტყვა:

– ანგელოზო, დამაბრმავა შენმა ნათელსხივოსნებამ,  
მაგრამ გული დამიღონა სიყვარულის წილ ჩარჩობამ...



შენი სილამაზის მაღლი ჩემს მკვდარ გულსაც გადაედო,  
კარგო, მოვკვდე, დავსამარდე, რამე ცუდი გავიეღვო...

ლამის გული გამიჩერდეს, სუნთქვა მეკვრის მზეთა მზეო,  
როგორც გსურდეს მიმსახურე, ოღონდ შენს მზეს არა ევნოს!..

თანახმა ვარ, გეთანხმები, აფერუმ! შენს სანადელსა!  
აბა მე რას შეგედრები... მე სულ სხვა ვარ... ლალი, დღესა!..

ლალიმ აღარ დაახანა; არ დაიბნა არაფრითა,  
მექორწილეთ გადახედა, ორაზროვნად მიანიშნა:

– რადგან გადწყვიტეთ „ბრძნულად“, სიყვარული უცნაურად  
გამეძარცვა და დამეთმო“ – სული ჩემი დამეფლითა;

ცალკერძ მიაღწიეთ თქვენსას!.. მაგრამ განა ისე მოხდა  
ვქცეულიყავ თქვენი მონა; თქვენს ბილწ სულის გამათბობლად?..

აჰა! დაცხრით გადაწყვიტე! ჩემს ბედს ამ ვაჟს ვუკავშირებ!..  
და თუ რატომ და ან რისთვის მნიშვნელობა არ აქვს სხვისთვის!..

მკითხველნო, ვერ გადმომიცია თუ რა ღრიანცელი ატყდა,  
როგორც უნდა მომხდარიყო, ვითარება დაიძაბა;

დამარცხებულ „სასიძოთა“ ერთი ჯგუფი აყაყანდა:  
– წვერმოშვებული გვარჩია! ხედავთ, როგორ გაგვამწარა?

აბა, ხომ სულ გაგვამასხრა, პირველად ნარდი გვასწავლა,  
ახლა ხელსა და თვალს შუა რა ანგელოზი აგვართვა?!

თვითონ თხოვნაც არ იკადრა, თავი აღარ გაგვიყადრა,  
თანაც სუყველა გაგვათახა, ო, რას ბედავს მანანწალა?..

„ჰუმანური“ იდეებით თავზე ყვავივით დაგვიჩხავლა,  
მას ჩვენ ეს თუ შევარჩინეთ, ვყოფილვართ მისი ბახალა!..

ყანწით ხელში, სუფრის შუა ლალის მამა რიხით წარსდგა, იქ მყოფთათვის საამებლად დააკვირდით აი, რა სთქვა:

– მეგობრებო, ნუ ჩამითვლით ასეთ ქცევას ახირებად, თუკი რატომ? მოგახსენებთ; მოგახსენებთ ამას ხელად!

ამდაგვარი რამე ალბათ არც გინახავთ, არც გსმენიათ, როცა ხელის ერთი მოსმით წყვეტდნენ უურთულეს ამბავს.

მაგრამ ხშირად ხდება ასეც; ასწონიან საქმეს ასჯერ, და ეს საქმე მის შემოქმედს უცილობლად ძირს რომ დასცემს!

„ცდა ბედის მონახევრეა“ – არის ასეთი თქმულება, ჩქარა ყანწები შეივსეთ, აღარას გარგებთ ყურება!..

ნეფე-დედოფალს ვუსურვოთ სიცოცხლე და გამარჯვება, დღეგრძელ იყოს სვე მათი და სავალი გზა სადიდებლად!..

– ესე თქვა თუ არა მყისვე, ყანწი უმაღ გამოსცალა; ორთავ ხელი ზეაღმართა და ხმამაღლა შემოსძახა:

– ასე დაგეცალოთ მტერი, აგიმალდეთ ფუძე-ჭერი, ისე გველოთ გენავარდოთ, როგორც იყოს შესაფერი!

თითქმის ყველამ გამოსცალა; თითქმის ყველამ შესვა ყანწი, სადღეგრძელოებიც ითქვა გამიზნული საქმისათვის...

ბოლოს ლალის მამამ მყისვე აუჩქარებლად და დინჯად, მივიდა და ვაჟკაცურად გადაკოცნა თვისი სიძე.

შვილსაც გადახვია „ხელი“ – „მაპატიეო“ – ეს უთხრა და მთლად აცახცახებული ღრმად ჩაიკრა გულქვა მკერდში.

ამით დასრულდა ქორწილის ღამე ერთი – მრავლისმთქმელი... შემდგომ მოვლენათა თხრობა? გავაგრძელოთ სხვა რა გვეთქმის!

## თავი მეხუთე

მეორე დღეს, ჩვეულებრივ, თითქმის განახევრდა ხალხი, მხოლოდ დარჩნენ ახლობლები, და „შეთქმულთა“ ერთი რვალი.

ვინც ზომაზე მეტი შესვა, გაჭირვებით იდგნენ ფეხზე; სახე ერთობ დაღმეჭოდათ – იხრებოდნენ გვერდი – გვერდზე.

ანგარიში არეოდათ, ძალა ხომ სულ დალეოდათ, არ იცოდნენ, რა განეგრძოთ ან საერთოდ რა ელონათ.

მაგრამ ინერციის ძალით ინსტიქტურად ხანხალებდნენ, სულს თუმცა ძლივს იბრუნებდნენ, სასმელს სასმელს ამატებდნენ!

ზოგიერთს კი მაგიდაზე თავი მძლავრად ჩაეყვინთა, ყუმბარაც რომ გამსკდარიყო, ვერ იგრძნობდნენ, ნაღდად, ვფიცავ!

ვინც ბახუსს ვერ შეეგუა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა და მათ გზნებათ დაოკება ძნელად თუკი ხერხდებოდა.

ვინც კი ვერ შეირგო ღვინო, კუჭს ირეცხდნენ დიდის ამბით, რომ ხელახლა დამსხდარიყვნენ, ამოეყორათ სტომაქი.

მაგრამ ყველას ვერ დავძრახავთ ან ვინ კადრებს აუგს, მართლაც, რადგან ბევრმა „მსმელის კლასი“, უცილობლად აიმაღლა.

ამის გასამზეურებლად არ გვჭირდება დიდი არზა, ვიცით, ნაღდ მსმელთ არ სჩვევიათ სადღეგრძელოების გაბმა!

სუფრის ირგვლივ შეჯგუფული ზორბა – ზორბა ვაჟკაცები, მჭიდროდ ისხდნენ ძმაკაცურად ღვინოს სვამდნენ ვახტანგურად!

ხან ყანწებით, ხან თასებით; ხან საყვავილე ვაზებით, კიდევ რით და როგორ სვამდნენ არ ღირს გადმოვცე აღწერით.

მხოლოდ მინდა დავსძინო, რომ ჭამა-სმასა და ღრეობას, აღარ ჰქონდა დასასრული და არც ბოლო წამახული!

შუა დღე იქნებოდა, როცა საქონელმა იღრიალა,  
ყველას ყურთსმენა წაეღო – ყურადღება დაეძაბათ...

თურმე, ნულარ იკითხავთ და, ჯიშის ძროხას კლავენ დანით...  
ზოგ-ზოგმა ხმა აღიმალლა: – აღარა აქვთ ამ ხალხს თავი?..

ნეტავ როგორ იმეტებენ?.. ხორცი თავსაყრელად არის,  
თუ უეჭველად დაკლავდნენ... ამ ოჯახში ხომ ყავთ ხარიც?!

და ვინც მიზეზი იკითხა, უპასუხეს მკვახე ხმებით:  
– ბევრი ფულის ჭამისათვის ეს ერგოო განაჩენით!

რომ ეს მგოსანმა გაიგო, ჯერ ხუმრობად მიიჩნია,  
მაგრამ როცა დაარწმუნეს, ძალზე ძლიერ გაიკვირვა:

– ჩვენში ფულის ფლანგვისათვის და ან მის მსგავს საქმისათვის  
ისჯება ან დაისჯება ვფიქრობ რომ ადამიანი.

აი, აქ კი როგორცა ჩანს, ძალზე მკაცრი ჩვევები აქვთ;  
თუ არ დაემორჩილები, განწირული მორვევი ხარ...

მაგრამსჯობს, რომ საქმის არსში უფრო ღრმად და ნათლად ჩავსწვდე,  
გავიკითხო რაც კი მოხდა და ან რაც ვერ დავინახე.

ფულს ძროხა როგორ შეეჭამდა, ან სად უნდა შეეჭამა?  
ან რამდენი შეეჭამა, რომ ამგვარად დაესაჯათ?!

ამას ფიქრობდა და თანაც, სულს უღრღნიდა სულ ის აზრი,  
როგორმე არ ასცდენოდა საქმის ნაღდი შინაარსი!

და როდესაც გაემართა ძროხა, სადაც დაკლეს დანით,  
თვალწინ სურათი წარუდგა საოცარზე საოცარი:

მუცელ გაღადრულ ძროხიდან ამოჰქონდათ ფული შმაგად:  
დაღეჭილი-დაფლეთილი და მთელ-მთელიც ბევრი გახლდათ!

მგოსნმა ცნობისნადილი დაიკმაყოფილა მაშინ,  
როცა ერთმა მეინახემ შეასმინა ამგვარ ამბით:

– ქორწილს შეწეული თანხა, სულ მცირე ათი ათასი,  
აულია დიასახლისს – გადაუმაღავს თავლაში...

პირუტყვი რის პირუტყვია, გაერჩია თივა, ფული;  
რაც ნაანყდა მით იჯერა, დაიკმაყოფილა გული!..

ბოლო ასიანს რომ ღეჭდა, შეუსწრია ლალის მამას...  
და ამ „ბოროტმოქმედებს“ ასე აეხადა ფარდა!..

საქმე, ვთქვათ, საქმედ გაიხსნა, ნაწილი ფულიც დაიხსნა;  
სახაშლამე ხორციც სუფრას ხომ შეემატა ნამდვილად?..

რალას იზამ, ჭამას და სმას ვერ ავკრძალავთ; ვერც დავძრახავთ,  
თუმცა მასზე გადაყოლილთ ბევრჯერ უგემიათ სარმა!..

კურობულ ფაქტზე მბობა, ამით დავასრულოთ თხრობა,  
ან ლალის და უცნობს შევხვდეთ, უცილოდ ღირს მათზე ბჭობა.

რადგან შეთანხმება მათი ერთობ ღრმია თავის აზრით,  
საინტერესოა მიტომ მათ სვე-ბედზე საუბარი!

### თავი მეექვსე

არ იქნებოდა ურიგო დაგვეხატა ჩვენ ის სახლი,  
სადაც დღეებს გაატარებს „ცრუ“ სიძე, „ცრუ“ პატარძალი:

ოდა სახლი ქვა-ბეტონით მკვრივად გახლდათ ნაშენები,  
მარმარილოს ქვებით იყო წინახედი ნამშვენები!

თაღისებურ მოყვანილი, ჩუქურთმებით დაფარული,  
ჰარმონიულად შერწყმული, მრავალფერად დახატული!

ამ შენობას, ძირითადად, ორ სართულის ჰქონდა სახე,  
თუ არ ჩავთვლით სახურავზე მინიატურულ სასახლეს.

ამ კოპნია ვილას ირგვლივ გაეშენებინათ ბაღი,  
ულამაზესად მიჯრილი ყვავილების იდგა ჯარი!..

აი, აქ დიდის მოწინებით მიუჩინეს გმირებს ბინა,  
საჭმელს, სასმელს, სანოვაგეს არ აკლებდნენ თბილსა – ტკბილსა.

პირველხანად ქალსა და ვაჟს გაუძნელდათ სიმთა გაბმა,  
მაგრამ თან-თანდათანობით ყოველივე რიგში ჩადგა.

პირველად ლალი დაიძრა მორიდებით, დამფრთხალი ხმით,  
მაგრამ მაინც მომხიბვლელად ნამდვილ ქალწულურ სინაზით!

მის ნაამბობს, ნასაუბრევს სევდის მკრთალი აჩნდა დალი,  
თუმცა, შინაარსი მისი მიმზიდველი იყო მაინც.

უცნობი მას გულისყურით და ოდნავად თავდახრილი  
უსმენდა, თუმც არაფერზე არ გაუცია პასუხი.

მხოლოდ იმ დროს, როცა ლალიმ დაყვავებით და სინაზით  
საიდუმლო რომ გაეთქვა, სთხოვა, ერთხელ რაც თქვა გაკვრით;

მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მაშინ, თვალი გაუყარა თვალში,  
როცა ცრემლის ნაპერწკლები გათინათდნენ ერთი წამით:

– რადგან ურთიერთნდობითა და გაგებით განვიმსჭვალეთ,  
არც მე არა მაქვს უფლება დავმალო ის, რაც მან ვალებს.

მაგრამ დღეს ხომ დაღლილნი ვართ? წაძინება გვარგებს ალბათ  
და მთვარიან ღამეს უფრო მოუხდება ამბავს გათქმა!..

თქმასთან ერთად უცნობი მყის გაიშლართა ვაზის ჩრდილში,  
თავქვეშ ხელი ამოიღო და ჩაეძინა მკვდარივით...

ლალის ისლა დარჩენოდა თვალი გაედევნა მისთვის,  
თვით ოცნებებს მისცემოდა, რათა შვება ეგრძნო იმით.

დაღამდა. ბუნებამ ფრთები გაშალა ლალად – გაშალა.  
ჯერ ქარი ააქოთქოთა, მერმე ღრუბლები აშალა!

ცა მოიქუფრა, სიავე უცების შემოაპარა  
და სოფელს ნალველი მწარე აკმარა, განა აკმარა?

გარემო ჭექა-ქუხილმა შეძრა და სეტყვით დაფარა,  
ვაზის ზვართ ფოთოლ-მტევნები სულ ერთიანად დაფატრა.

ბუნების ჭირვეულობამ არც ისე დიდხანს გასტანა,  
მაგრამ რად გინდა, დოვლათი მოსპო და ქარს გაატანა...

უნდა გვესმოდეს, ბუნებამ მუდამ არ იცის გატანა,  
ხან სიხალისეს წაგართმევს, ხან – ნალველს უცებ გაფანტავს!

ვისაც შუბლი აქვს უძარღვო კაცურ საქმეებს არ იტანს,  
ვერ შთააგონებ, ვერც განვრთნი – მუდამ თავისას გაიტანს.

ამ ხალხზე არ ღირს მოცდენა; მათ განცხრომაზე ლალადი.  
რადგან მათ გზებზე, ნამდვილად, სხვებს გავლას განა ვასწავლით!

ვფიქრობ და მგონი აჯობებს ჩვენც ამ მხრით მივყვეთ თხრობასა,  
არვინ შეგვრისხავს ამისთვის, არც შეგვილახენ ცნობასა!..

როცა ბუნება სიშმაგით ერთობ უგონოდ თვრებოდა,  
ჩვენი გმირები თავიანთ თავგადასავალს ჰყვებოდა:

ლალიმ თავისი ცხოვრება შეუფარველად დახატა,  
ჩვენ მას ზემოთაც შევეხეთ, ახლა დროს ნულარ დაკვარგავთ.

ჩვენ კი უცნობის წარსული, მისივე ენით გათქმული,  
ისევე გადმოვიტანოთ, როგორც გვკარნახობს მას გული:

– ოცდაათი წელი განვვლე, ოცდაათჯერ ოცდაათი  
სიყვარული, სიხარული, სიტკბოება განვიცადე.

ბევრი ვნახე. წუთისოფელს ბევრი სითბო გამოვსტაცე,  
მაგრამ მასზე ბევრად უფრო სიღუხჭირე გამოვსტაცადე!

მრავალფერად გზა სავალზე სიყვარული მახლდა მუდამ,  
თუმც სიკეთეს უხვად ვთესდი, არ ვითხოვდი უკან ხურდას;

ღალატს გულში არ ვივლებდი, გული მქონდა მუდამ სუფთა  
და ასეთი შემართების მრავალს ვყავდი მტლედ – სალბუნად!

მშვენიერთა სქესს ყოველთვის პატივს ვსცემდი, ვეველებოდი,  
მაგრამ გულარძნილ ცხოვრებას არასოდეს ვეძლეოდი.

კაცებისთვის „რქების დადგმა“ მტკივნეული იყო ჩემთვის...  
და ასეთმა ჩვევამ, წესმა, ღრმად გამიდგა ნდობის ფესვი.

გატანა და მეგობრობა, ხალხი, ხალხი, ისევ ხალხი!  
მუდამ იყო და იქნება არსებობის დედა აზრი!..

მაგრამ აყოლ-გადაყოლა არის მუდამ მართებული?..  
თუ სიყვარულით არაა ყოველივე ავსებული.

არ ვინამე ბრძნულად თქმული: – „რაც არ გესმის ნუ ეჩრები,  
თუ იქ არ კრთის შენი სული და არ გიძგერს მისთვის გული!..“

და ლაგამი ვისთვისაც კი ამომედო უნდა დროზე,  
ვერ გავწირე, შევიბრაღე, მათ კი მგლურად გამიყოლეს.

მაგრამ ბუნებამ კეთილად ზედ კალთა გადამაფარა:  
მან დამიბრუნა ყოველი, რაც რომ დავკარგე, დამაკლდა...

P.S. უცნობმა თვისი ცხოვრება ასე თამამად რომ გათქვა.  
მე რა უფლება მექნება მის გვარს დავუწყო დაფარვა?  
ანდა რა მნიშვნელობა აქვს არჩვაძეა თუ რაფავა,



ლომიძე, მაგალობლიშვილი თუ ვინმე ლექსო ნანავა.

– აქ გვარ-სახელი ერთია, ერთი რამისა მზომელი, იცით, მკითხველო, თქვენგანაც ამ მხრივ თანხმობას რომ ველი?..

რასან შევეწყვეთ ჩვენ უცნობს „ლექსო“ დავარქვათ სახელად, გვარი მკითხველმა ინებოს, ჩვენგან ეს კმარა სამხელად...

### თავი მეშვიდე

ლექსო რომ თავის ცხოვრებას ათას ფერებით ხატავდა, ამასობაში ღამეს დღე ეპარებოდა კარდაკარ.

ლალი მთლად სმენად ქცეული ნათბრობს ღრმად გულში იხვევდა, მთელი თავისი არსებით მას ტრფობისათვის იწვევდა!..

მაგრამ ერთი რამ აკრთობდა, ერთი რამ ჰქონდა საჯანჯლო; – ასეთი ხვედრი რადაო – ღვთიურ კაცს, ოქროს, ბაჯალლოს?!

ბედმა სახლს რომ მოაშორა, ეს ვთქვათ, კიდევ არაფერი... ხეტიალი... წლები, წლები... რა მიზანი... ნეტავ მეტყვის?

ლექსომ როცა დაასრულა წარსულ დღეთა წვრილად თხრობა, ლალიმ კითხვა შეაპარა: – თან მოუნდა ამბით თრობა...

მსურს გავიგო რას აპირებთ, რა მიზანი გაქვთ საპირედ? თუ ცხოვრების განდგომილად არსებობა გადაწყვიტეთ?

არ გენყინოთ, არ შემრისხოთ, არ აქციოთ მაღლი ღვარძლად, სიხარული – სევდა-დარდად; სიყვარული – სანამლავად.

მომიყვეით, გამოუცდელს წამადგება ალბათ სადმე, თორემ აღარ გადაგლდიით და ვერც შეგბუდავდით ამდენს.

რომ არსებით შემიპყარით ნამდვილად ვარ ამის მაცნე და ან თქვენთვის მომინდვია – დანარჩენი თქვენ განსაჯეთ!

ერთსაც გეტყვით კიდეც, ბარემ, სიტყვას მოჭრილს არა მწარეს,  
რომ მომავლის აღარ შეგვრცხვეს, ვუსწორებდეთ, ლექსო, თვალებს!

რასაც განგება შეგამთხვევით, რასაც გარგუნებთ საწილოდ,  
აღარასოდეს ეცადოთ გადააქციოთ საცილოდ.

თუნდაც სატანჯველს გარგებდეთ, თუნდაც სიყვარულს გახვევდეთ,  
ბედის სვლას მშვიდად სჯობს შეხვდეთ, არასდროს უნდა გახვედეთ!

მით დაიამებს წყლულს კაცი, მით უფრო ჰპოვებს შველასა!  
– გამოსავალს რა ვიპოვით, თუკი თავს მივცემთ გვემასა?

ლტოლვილი ლალის სიტყვებმა უღრმეს ფიქრებში ჩასძირა  
და მაშინ მისი გულისთქმა ძნელი არ იყო სამხილად.

ლექსო, ფიქრებმა დასწურა და სიბოხოქრემ არია,  
თავი ხელებში ღრმად ჩარგო ერთხანს ნელი-ნელ აქნია...

მერმე ძალუმად მოეშვა, ღიმილი გადმოაფრქვია,  
ფეხზე რომ წამოიმართა, ვილას კიდისკენ გასწია...

ლალი მას გვერდი-გვერდ მიჰყვა – ნელგამართული, ნარნარით,  
პასუხსა მშვიდად ელოდა და არა გულის ფანცქალით.

მოაჯირს რომ გაუსწორდნენ, ლექსომ მარჯვენა ასწია,  
ლალის მოუხმო, ვითარც სწორს და მრავლისმთქმელად ანიშნა:

აი, ხედავ რომ ბუნება ხანდახან რა მშვიდი ხდება,  
– ხან დაინწყებს ნელა თრევას და ხან სულ მთლად გადირევა!

ერთ შედეგს კი უკვე ვხედავთ, ზვრები როგორ გადათელა,  
თუმცა ყველაფრის მიზეზი თვით ბუნებამ თავად შექმნა!

ასე არის, თავად ხალხი სჭედს თავის ბედს თავის თავით;  
თავის ჭკუით, თავის საქმით მას მოიმკის რაც თვით არის!

მძიმე სასჯელს ველით? შევხვდეთ! ვაჟკაცურად შევხვდეთ მაინც...  
ამით სხვებს რაღაც ვასწავლოთ და ნიშნში მივცეთ რამის...

თავად მე რაც შემეხება, ჩემო უპოვარო ლალი,  
მთლიანად ჩემი ცხოვრება მაგალითის ხდება თვალი!

ხალხი უკეთ შევიცანი, მის ბუნებას უკეთ ჩავსწვდი,  
ჩანავლულმა სიყვარულმა კვლავ იფეთქა მთელი ძალით!

ახლა დამშვიდებული ვარ, საფლავს წავალ ხითხითითა,  
არვისა ვთხოვ გამაცილოს ვიშ-ვიშით და ქვითინითა.

P.S. მესამე დღე ქორწილისა იყო მშვიდი და ნათელი;  
მზე სხივებს უხვად აფრქვევდა, სიო ჰქროდა ნელზე ნელი.

სახელდახელოდ გამართულ სუფრას უსხდნენ ახლობლები,  
უცხო არვინ დარჩენილა, გაიკრიფნენ თავის ნებით.

ქორწილი სულ მიავიწყდათ, – საზრუნავი გაჩნდა ბევრი:  
მშრომელი კაცის მარჯვენას – შევლას მოითხოვდა ზვრები!

თუ ამა წლის მოსავალზე ჩაქნეული ჰქონდათ ხელი,  
ხსნა მომავალ წლის დოვლათის გარჯა გახდა საფუძველი.

ამნაირ რთულ განსაცდელში ბევრჯერ მოხვდნენ ამ მხარეში,  
მაგრამ აღარ დაბნეულან, აღარც გაბმულან მახეში!

ამ იმედით, შრომის ჰანგზე მოვამთავროთ საუბარი,  
შრომას შედეგი ამშვენებს, როგორც მარგალიტის თვალი!..

### **თავი მერვე**

დადგა ღამე, მრუმე ღამე, უხმაურო მყუდრო ღამე,  
ღრუბლიანი, ულაზათო, უნიავო და მთვლემარე.

ამ დროს ლალი ვილაში წევს, ლექსო – ვილას აივანზე,  
არცერთს აღარ ეძინება, ესუთებათ სულის არე!

რაზეც ვაჟი ფიქრობს, იწვის, გოგოც მასზე ინაცრება,  
მაგრამ მათი სურვილების შეერთება შეიძლება?

ვთქვათ და მოხდა, რაც ასეთ დროს გარდუვალი არის თითქმის,  
მაშინ როგორღა ატარონ მათ ცხოვრების მძიმე ტვირთი?

და თუ თავი შეიკავეს, ბუნებრივ სვლას აღუდგენენ წინ,  
ქალს შელახული სახელი, მშვიდს აღირსებს ოდესმე ძილს?

ლექსო დილით ალიონზე თავის გზას უნდა დაადგეს,  
მაგრამ ლალის მიტოვება ამ ყოფაში საქმეს არგებს?

ფიქრობს ლექსო, ბორგავს ლექსო, იწვის, იწვის, იფერფლება,  
ლალი კი გვერდით, ოთახში თაფლის სანთელივით დნება!..

ლექსომ ერთხანს იბობოქრა, მერმე მკვდრულმა ძილმა შთანთქა,  
თუმც კი, მთელი საფიქრალი ძილში უფრო მძაფრად ჩაჰყვა!..

დანოლამდე გარეგნულად არ იმჩნევდა წვასა და გვას;  
მძინარემ გულისნადები სულ პირწმინდად – ნათლად გათქვა:

ჯერ ლოგინში შამფურივით აქეთ-იქით იტრიალა,  
გულზე მონოლილმა სისხლმა ჩქროლვა იწყო აღმა-დაღმა!

და ეზმანა თითქოს ლალი უკოცნიდა ბაგეს ნაზად,  
ვნებათ ლელვამ გაახელა, ატორტმანდა, აბარბაცდა!

სიბობოქრემ, აღტკინებამ ის ბურანში გაახვია:  
რალაც ხმამალლა ახსენა, შემდეგ ისევ ძილმა სძლია...

ლალის როცა ხმა მოესმა, მშფოთვარე და გატანჯული,  
არ იცოდა რა ელონა, სიმწრით დაეკანრა გული!

მან იფიქრა: „ავად არის!“ – გაცვივდაო გარეთ წოლით, –  
„მივალ, ვეტყვი, შემოვიყვან ვაჟკაცურად, განა ძრწოლით!“

მძინარესთან რომ მივიდა, გაღვიძება სცადა ფრთხილად,  
თუმცა გონზე ვერ მოიყვანა, ვერას გახდა ტკბილი სმითა.

მაშინ დაიმედებულად, შუბლს შეახო ხელი ნაზად,  
მაგრამ სიმსურვალემ მისმა გული ვნებით დაუნაცრა.

ხელი მყისვე მოაშორა, დაჟინებით დააცქერდა...  
გული შეუღონდა მერმე, მძინარესთან ჩაიკეცა.

ძალა იყო განგებისა, ლექსოს უმალ გაეღვიძა;  
ძილმა ვერ გადაასახლა გზნება ყურადღების მიღმა...

და რას ხედავს... საოცრებავ... სიზმარია ეს თუ ცხადი?  
არა, თვალი არ ატყუებს – ეს ნამდვილად არის ლალი...

იგი წამოვარდა შმაგად, ხელში აიტაცა ქალი  
და ოთახისკენ გავარდა უძვირფასესი „ნადავლით!“

შუქი ჩართო და რომ ნახა, გულნასული იყო იგი,  
შეზლოგნზე გადააწვინა, შეაპკურა წყალი ცივი...

ლალიმ თვალი გაახილა, მიაჩერდა ლექსოს თბილად: –  
„ეს შე...ნ...ა ხარ?“ – წამოსცრა მან და თვალი კვლავ მიელულა!

ლექსომ საკინძე შეუხსნა... ყვრიმალეები დაუსრისა,  
ლალიმ თავი რომ დასწია, გულმკერდი მყის აუჯილდდა!

ბაგე აუთრთოლდა მაშინ, მთელი ტანით აცახცახდა,  
ვნების ტალღებს მისცა თავი, სანეტაროდ განემზადა!..

ვაჟის გონება და განსჯა ვნებათ ლელვამ გადაფარა;  
მყის დაავიწყდა ყოველი გახელებულს ცეცხლი სწვავდა!

ვით მწყურვალი ანკარა წყალს, დაენაფა ბაგეთ შმაგად;  
მერმე კისერს, ლოყებს, ყვრიმალს, სალუქმკვლავებს, მხრებს და თვალებს!..

ქალსა თითქოს კურდელივით განაბულსა მწევრის კლანჭში,  
სიდიადის გრძნობით მოცულს დაკარგული ჰქონდა თავი.

ვაჟმა გოგო გადასწია, შემდეგ უფრო გადაზნიქა,  
მერმე რალაც მანქანებით უსწრაფესად გააშიშვლა...

როცა შეწყდა მძაფრი ქშენა, წამს გაისმა ჩუმი კვნესა...  
და ანაზღად, თავისთავად, დაცხრა ვნება, სულთა ღელვა...

ქალს თვალებზე აკრთა ცრემლი, როგორც მარგალიტის თვალი...  
დილის ნამი ბალახებში... ვით მზის სხივთა ათინათი!

კვლავ მოსწია ვაჟმა ქალი, კოცნით ამოუშროო თვალი,  
მერმე გულში ღრმად ჩაეკრა, მიესვენა როგორც მთვრალი.

ეფერა და ეაღერსა, როგორც შვენის ვნებითა მთვრალს,  
არც ქალი გახსიტებულა, მანაც ბევრი სითბო გასცა!..

და ასეთ სიამტკებლობით გაატარეს მთელი ღამე,  
მეტს ჩვენც ნულარ ჩავერევით, თვით იცოდნენ თვისი საქმე.

მაგრამ ისიც არ ივარგებს, აქ შევწყვიტოთ თხრობა გრძელი,  
ხომ ვერ ვაიძულებთ მკითხველს – განუხჯელის გახდეს მჭვრეტი?..

და რომ არვინ აგვიდუღდეს – სიყვარულის იგძრნოს ძალა;  
ჩავსჭიდებთ ხელს სინამდვილეს და ფინალშიც ჩორთით გავალთ!

### **დასასრული**

რადგან ქალსა და ვაჟს შორის ბობოქრობდა ტრფობის ცეცხლი,  
როგორ შეიძლებოდა, რომ არ გაეგოთ ერთმანეთის.

თაფლობის თვე კვლავ ვილაში გაატარეს ეშხის აღში,  
მათ სიამეს აღმაფრენას აღარ გააჩნდა სამანი!

ტყით დაბურულ მთებში, ღრეში; ალაზნის ზღაპრულ ედემში,  
– ვერ ძლებოდნენ ხეტიალით, თავს ირთობდნენ გამეტებით!

ასე განვლო ერთმა წელმა. ოჯახს შეეძინა ვაჟი,  
უფრო კარგს რას ისურვებდნენ, დიდებულად იგრძნეს თავი!

მართლმსაჯულების წინაშე, ლექსო, თავად, მშვიდად წარსდგა  
და.....

რწმენით სავსე, ნდობით სავსე, ლექსო თავისი ცოლშვილით,  
ახალ ცხოვრებას შეუდგა – სოფლის სამსახურში ჩადგა.

მკითხველებო, ეს რაც მოხდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა,  
მხოლოდ თავის კალაპოტში, მხოლოდ, მხოლოდ მანდ იარა!..

ახლა კი ამ ჩვენს ძველ მგოსანს მაგრად ჩამოვართვით ხელი  
და გულლიად ერთხმად ვუთხრათ: „ვართ-ქო დამშვიდებულები!“

1979 წ.

# **აზრები ფრაზები გაერთიანები და სხვა...**

1979 – 1984 წლები

ღმერთო, მომეც ძალა მისი, არ ვინდომო რამე სხვისი...  
მომეც კიდევ ნიჭი მისი, გავსცე სიტბო დიდზე დიდი,  
ვანშიანო სიმი მისით, თვისტომთ მივცე საზრდოდ იგი,  
საცოდავო, თავო ჩემო, გაიგონე ესე იგი!..



## წინასიტყვაობა

ეს ჩანაწერები მეოთხედი საუკუნის წინ გაკეთდა, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის ჩემი აზრით რადგანაც იმ დროს, საზოგადოება, ხალხი დიდ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა: ადამიანებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა აზრის თავისუფლად გამოსატვისა და ა.შ.

ფიქრისა და განსჯის საფუძველზე შექმნილი ეს ჩანაწერები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და, ალბათ, მომავალშიც არ დაეკარგება თავისი დატვირთვა, – ვინაიდან ჩემი ღრმა რწმენით, დიდი სიყვარულითაა ნასულდგმულევი.

რუსთავის მე-3 კოლონიაში მომპარეს ყველა ჩანაწერები (რაც მთელი რუსეთი „მოვიარე“ არ მომხდარა) და, მათ შორის, ესეც...

დედანის უქონლობის გამო, ბევრი ვერ აღვადგინე...

მეგობრებო, გადაინაცვლეთ ჩემთან ერთად წარსულში, დარწმუნებული ვარ, გულგრილი არ დარჩებით, ისიამოვნებთ და ჩემი მიზანიც ეგაა...

წყალობა ნუ მოგვიშალოს უფალმა!

2009 წ. 12 დეკემბერი.

## სუბიექტურზე და...

მე რაც ვიცი და ვარ, უფრო მეტიც, რაც მომავალში მეცოდინება და ვიქნები, ჩემი პიროვნული (თუ ამ უკანასკნელზე არ შემედავება ვინმე) დამსახურება როდია ან იქნება სრულად, არამედ, როგორც ყველა ადამიანში, აქ გადამწყვეტ როლს, – ერთი შეხედვით კაცის თვალისთვის შეუმჩნეველი, – რეალურად არსებული ობიექტური ფაქტორები თამაშობენ. ესეც როდი ნიშნავს სუბიექტურისა და ობიექტურ ფაქტორთა სრულ ჰარმონიულობას; პირიქით, ისინი მუდმივ წინააღმდეგობებში იმყოფებიან ერთმანეთთან და კიდევაც ვითარდებიან ზიგზაგისებურად.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებას ვერ გამოვაცალკევებთ ამ ფაქტორთა ერთობლიობიდან, მაგრამ მას აქვს ერთი უპირატესობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ შეუძლია ჩანვდეს თვით ამ პროცესს და სასურველი ზემოქმედებაც კი მოახდინოს მასზე.

1981 წ.

## შინაგან ქალაზი

არიან ადამიანები, რომლებშიც ურთიერთმოქმედებს სამი შინაგანი ძალა: პირველი, რომელიც ერთგულია არსებულის; მეორე, – რომელსაც ვერ აკმაყოფილებს იგი და მესამე, რომელიც არეგულირებს ამ ორი მოქმედების მიზანშეწონილობას, ზომიერებას...

ამავე დროს არიან ადამიანები, რომლებშიც პირველი ორი შინაგანი ძალა ურთიერთმოქმედებენ მხოლოდ და ასეთი უკიდურესობებს აწყდებიან ნიადაგ, მაგრამ მაინც პროგრესულია იგი იმდენად, რამდენადაც სიახლისაკენ სწრაფვა ახასიათებთ...

იმათში, კი, ვისთანაც ერთი ძალა (ერთგულება არსებულის მიმართ) მოქმედებს – „ძველმოდური“ ყაიღის ადამიანებად, ანუ „სამუზეუმო ექსპონანტებად“ იწოდებიან.

1982 წ.

## მსგავსება განსხვავებაში

ადამიანებს, როგორც მსგავსებანი, ასევე განსხვავებანიც არ გააჩნიათ ერთმანეთთან აბსოლუტურად. ეს ასე რომ არ იყოს, პირველ შემთხვევაში, უაზრო შეიქმნებოდა სიცოცხლე... ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, ადამიანთა შეცნობა გახდებოდა შეუძლებელი, ესე იგი, ორთავე შემთხვევაში საზარელი უკიდურესობანი შთანთქავდა სიცოცხლეს.

ცხოვრებას და, საერთოდ, ყოველგვარ ჰარმონიულობას არსებული მსგავსება – განსხვავებანი ჰქმნიან.

1981 წ.

## ადამიანის ჩვევები, მოქმედებები...

მიზანშეწონილი მოქმედება, უმეტესწილად, ჩვევებზეა დამყარებული, მიზანდასახული კი – აზროვნებაზე, ორივე ეს მოქმედება აუცილებელია ადამიანისათვის.

ცხოველებსაც ახასიათებთ მიზანშეწონილი მოქმედება, მაგრამ ინსტიქტებზეა დამყარებული იგი. ადამიანსაც გააჩნია ინსტიქტები და ისინი მხოლოდ უცაბედ შემთხვევებში იჩენენ თავს, გონივრულ მოქმედებას შეუძლებელია იგი მოჰყვეს.

ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, თავისთავად, წინ უსწრებს მიზეზი, მაგრამ, აუცილებელია, მას ზურგს უმაგრებდეს მორალით გასხივოსნებული მოვალეობა. საზოგადოებისათვის ფასეულ მოქმედებას კი დამატებით უნდა გააჩნდეს დანიშნულება და მიზანი სრული ჰარმონიულობით (ცალკეულ ადამიანთა მოქმედებებშიაც არ გამოვრიცხავთ მას), მაგრამ, საბოლოოდ, მაინც, ყველაფრის განმსაზღვრელი დადებითი შედეგია მხოლოდ.

1981 წ.

## ქება-დიდებაზე

თუ ვინმეს აქებ და აღიდებ დაუმსახურებლად და თავადაც მოითხოვ ასე მოგექცნენ, ძალაგამოცლილი ტირანობას მონყურებული ადამიანი ბრძანდები; ხოტბის შესხმას თუ ისურვებ მხოლოდ და აღწევ კიდევაც მიზანს სულელი, თუმცა, უძლიერესი ტირანი ხარ...

თუ არც ერთს, არც მეორეს თვლი რამედ, მაგრამ, მაინც, იმკი ხალხის პატივისცემასა და ქება-დიდებას, ძლევამოსილია შენი პიროვნება!

არაეთიკურია დამსახურებულ ქათინაურს გულგრილად შესვდე.

1982 წ.

## მშვენიერებაზე

მშვენიერების საიდუმლოებას ვერასოდეს ამოვხსნით, ვერც აბსოლუტურად ჩავსწვდებით, ჩვენ მხოლოდ ვეთამაშებით მას გარკვეული ტკბობის მიღების მიზნით.

სწორედ ამაშია მისი არსი!

„მშვენიერება“ – ზოგადი და ფართო ცნებაა. სიყვარული, სიკეთე, თავმდაბლობა, სილამაზე... მასში შემავალი კერძო ფორმებია, ამიტომაც, მართებული იქნება, თუ მოვერიდებით სიტყვის „მშვენიერება“ ხშირ და არადანიშნულებისამებრ ხმარებას.

ნუ გავაუფასიურებთ მას!

1982 წ.

## ო, ეს ბედნიერებაა...

რა არის ჩემი სიამოვნება?

რა არის და გასიამოვნო შენ, კარგო კაცო, გასიამოვნო შენ, პატარა გოგონავ და ბიჭუნავ, რომ თქვენს უსპეტაკესსა და უფაქიზესს, ულამაზესსა და უალამართლეს გრძნობებს ასეთივე გრძნობები დავუპირისპირო: აგაკისკისოთ, გაგალალოთ, დაგაფიქროთ კიდევაც, რწმენა განგიმტკიცოთ ჩასახული. გასიამოვნო შენ, ერთგულო ქალო, მივაგო პატივი კდემამოსილებას შენსას, ქედი მოვიხარო და ვეამბორო უნმინდეს ნაპირებს კაბის კალთისას...

ო, ეს ბედნიერებაა უკვე... სიამოვნება და თვითკმაყოფილება ხომ სულიერ ფასეულობათა გარეშეცაა შესაძლებელი განიცადოს კაცმა? ჭეშმარიტად!

1981 წ.

## უთქვამთ...

უთქვამთ და იმეორებენ კიდევაც: „პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგრძნობაზე უნდა იყოსო დამყარებული, თორემ ბედნიერება ბედნიერება აღარ იქნებაო“. მე დავსძენ, რომ ამ გამოთქმას არ გააჩნია საყოველთაობა, რადგანაც, როდესაც ბედნიერებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალ-ისწინოთ მისი გამომწვევი მრავალი (სუბიექტური – პირად-ინტიმური) მხარე, რომელიც არ შეიძლება იყოს ცნობილი საზოგადოებისათვის და არცაა საჭირო, თუმცა, ერთი რამ ცხადია, საზოგადოებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არ უნდა ვნებდეს მის სასიცოცხლო ინტერესებს იგი...

ყურადღება იმასაც უნდა მივაქციოთ, რომ ბედნიერება დროში „მოჭრილია“, ესე იგი, წყვეტადია და განმეორებად-იც მრავალფეროვანი მიზეზებითა და საფუძვლებით.

1982 წ.

## ნაკითხვა და უპიცვა

ყველა ნაკითხი, წიგნიერი კაცი როდია კეთილი, კეთილი საქმეების მკეთებელი, მაგრამ, ერთი კია – ასე თუ ისე, ესმით მათ სიკეთის სიძლიერე, საყოველთაობა, აუცილებლობა და ნებსით თუ უნებლიედ, მაინც მისკენ იხრებიან...

უვიცებში კი, თუ გამოერივნენ ბუნებით ბოროტნი, მუ-დამ ავ საქმეებზე ეჭირებათ ცალი თვალი. თუმცა, ზემოთ აღნიშნული, უარყოფითი თვისებების ხალხმა თუკი თავი-ანთ მიდრეკილებებს გაუხსნეს გზა, უკანასკნელთა მიერ დაშვებულ დანაშაულებებთან შედარებით საგრძნობლად მაღალი და სერიოზული იქნება ერთობ.

1982 წ.

## ურთიერთობა

ყოველგვარი ურთიერთობა – ეს ეხება ინტიმურ თუ სხვა ცხოვრებისეულ მხარეს, თავის ბუნებრიობაში პოულობს უსრულყოფილეს გამოხატულებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და შეუცვლელი იგი; ადამიანს, როგორც ძალუძს, ხელენიფება თვით ბუნებას შეუცვალოს სახე, უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადოს იგი, ასევე ცვლის არსებული დამოკიდებულების ფორმებს – უფრო დახვეწილსა და უბუნებრივეს სახეს აძლევს მას. მართალია, შიგადაშიგ, ამავე დროს ბევრი რამ გაუხამსდება, მაგრამ იგი საყოველთაო ზიზღს გამოიწვევს და აქედან გამომდინარე, თავისთავად შემოეცლება მას ყოველგვარი საფუძველი გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის...

1982 წ.

## ადამიანის ნება

თქვენი ნებაა, ინამოთ ღმერთის, ასევე უკუ შემთხვევაშიც, მაგრამ, ერთი კია, რაც არ იცით და რაშიც არ ხართ დარწმუნებული, როგორ უნდა ინამოთ, ან არ ინამოთ? ასეთ დროს შეიძლება ასე გაიმართლოს თავი: რომ ღმერთი არ ვინამოთ და რაიმე ფათერაკი შეგვემთხვეს, მერმე რაღა ქვა ვიხალოთ თავშიო და ასე შემდეგ.

ასეთ ხალხს შემიძლია ჩემი უვიცობით ამდაგვარი აზრი გავუზიარო: ძმებო და მეგობრებო, დილას რომ ადგებით და პირჯვარს სამჯერ გადაინერთ, კეთილი გზა გვექონდესო, იტყვიო, მაგრამ ერთი იმას რატომ არ ფიქრობთ ხოლმე, როდესაც ნებით თუ უნებლიედ, „მოქმედებითა თქვენი“ ტკენთ მრავალს გულს და ბოლოს კმაყოფილებით ჩაიხიბით თებთ კიდევ?.. არა სჯობია, ასეთ ყალბ მორწმუნეობრიობას კეთილი საქმეები აკეთოთ და იცხოვროთ ისე, როგორც ეს ნამდვილ ადამიანებს შეეფერებათ? მაშინ ღვთის რისხვაზე უფრო შესაძლებელი იქნება ის, რომ თავად მოგძებნოთ ღმერთმა და დაგიფაროთ?..

1982 წ.

## დანერილ – დაუნერილ კანონზე

მოქმედებდა, მოქმედებს და იმოქმედებს, კიდევაც, დანერილ-დაუნერილი კანონი. პირველის დარღვევისას მართლმსაჯულებასთან მიგეცემა საქმე. მეორისას, შეიძლება ასცდე მას, მაგრამ ხალხის ზიზღს ვერა.

დაუნერილი კანონი შინაარსით ქცევის სავალდებულო ნორმას ეტოლება. ამიტომ უნდა გაისხეულო, შეისისხლხორცო ის და მისი ყოველი დარღვევა განსხეულებას, დაშლას, საკუთარი ხორცის საკუთარი ხელით მოჭგლეჯას აღემატებოდეს უნდა სიმტკიცენით.

## ადამიანის უბედურება

განახლება: ჩანასახი – ხორცი (ხილული მატერია); განვითარება: სული – გონი (მატერიის გარეგნულად უხილავი, მაგრამ მისი უდიდესი და უმშვენიერესი პროდუქტი); დასასრული: მტვერი – შლამი, მიწა, წყალი და ა. შ. უსასრულოდ, ანუ ის, ჩვენ არ ვიცით...

უმაღლესმა მშვენიერებამ, ადამიანმა, იცის ეს ბუნებრივი მოვლენები და ისიც იცის, რომ ყოველივე ბუნებრივად მიმდინარეობს, რომ ბუნებრიობისადმი წინააღმდეგობა არაბუნებრივია (ე. ი. უცხო უნდა იყოს მისთვის), მაგრამ მაინც სჩადის მას. გამართლებას კი ამ უკანასკნელის შემეცნებაში ხედავს, ასეთ დროსაა ადამიანი ტრაგიკული და უბედური...

1982 წ.

## ჩვენი ნუბეში

მოვა დრო, ამას საუკუნეები დასჭირდება ალბათ, რომ დღეს, რისთვისაც ვიღწვით და, თითქოსდა, სასწაულად შეიძლება გვესახებოდეს მისი განხორციელების გზები და საშუალებანი, ყოველივე ეს „სასწაულები“ ჩვეულებად ექცეს ხალხს, რადგან მათ უკვე სულ სხვა საზრუნავი და პრობლემები გაუჩნდებათ გადასაჭრელი. ჩვენ უნდა გვაძრუნებდეს ყოველივე ამის წარმოდგენა, წარმოდგენა ჩვენი უმეცრებისა მომავალი თაობების წინაშე, მაგრამ, ჩვენ ნუგეში იმაში უნდა ვიპოვოთ, რომ მათთვის არც ის იქნება უცნობი, დაფარული, თუ რა ბრძოლისა და ჭიდილის რთული გზა განვლეს წინაპრებმა, რომ მათი ამალღებული ცხოვრებისათვის შეექმნათ საფუძველთა საფუძველი.

1982 წ.

## ბედნიერებაზე

ბედნიერება არის ის კეთილდღეობა, რაც გამოწვეულია ცხოვრების მსვლელობაში ობიექტური ან სუბიექტური ფაქტორებით, ან ამ ფაქტორთა ერთობლიობით, რომლის არსსაც თვით ამ ჭრილში ჟამთა სვლა ვერას ავენებს, ვერ შეცვლის მის პირვანდელობას...

ზოგჯერ ადამიანი ფიქრობს, რომ რასაც თავად ვერ ფლობს, სწორედ იგი მიაჩნებს ბედნიერებას, მაგრამ შეუხრულდება თუ არა სურვილი, აღმოჩნდება, რომ იგი მაინც არაა ბედნიერი...

ეს უკანასკნელი იმიტომ ხდება, მეგობრებო, რომ ბედნიერებას ადამიანმა ნამდვილად რომ მიაღწიოს, მას ბიოლოგიურ სრულყოფილებასთან ერთად უნდა გააჩნდეს უნარი შეუხამოს მიზნის მიღწევის საშუალებას ის ადამიანური მოთხოვნები, რომელსაც კეთილშობილებას, სათნოებას, პატიოსნებას, სიკეთეს... ვუწოდებთ.

ბედნიერებას სიღრმის, სიმაღლისა და ინტენსივობის მხრივ ახასიათებს ცვალებადობა და მას აუცილებლობად გადაქცეული შემთხვევა ედება საფუძვლად.

1982 წ.



## პატარა რჩევა

მეგობარო, მეგობარო! გაიხედე და დააკვირდი, როგორ რონინებენ ლიფსიტები წყალში, როგორ დაშლივინებენ ლორები ყვერში, როგორ წკმუტუნებენ დაბმული ძაღლები, თავისუფალ მოძრაობას მონატრულნი და როგორ ყიყინებენ ბაყაყნი თავიანთ სტიქიაში, როგორ უპრეტენზიოდ გასცემს მაცოცხლებელ ბადაგს საქონელი, როგორ ლაზათიანად დაჰქრიან და კამარას ჰკრავენ ათასი სჯულისა და სახის ფრინველნი ცაზე, როგორ მისრიალებს და მისისინებს თავის ხვრელში უსახელო, როგორ იკუნტება ზღარბი საშიშროების მოახლოებისას და როგორ გულმოდგინედ ხლართავს ობობა ქსელს...

დააკვირდი, დააკვირდი! ბევრი რამ საცნაურ იყოს ეგებ?..

1982 წ.

## ორიოდე სიტყვა „საწყისის“ გარშემო

რა იწვევს „მას“?.. რატომაა ასე „ეს“?.. თავისებურად არავითარ შემთხვევაში, თუმცა, ზოგადი სახითაა კითხვა დასმული, მაგრამ, მაინც, ზუსტსა და ამომწურავ პასუხს, ე.ი. არსებული მოვლენა, ვითარება საფუძვლის დადგენას, მისი გამომწვევი მიზეზების ახსნას მოითხოვს!

ყოველივე ის, რაც კი ხდება ჩვენს გარემომცველ სამყაროში, მიზეზ-შედეგობრივ „ფორმულაში“ ექცევა. და, რადგანაც ეს ასეა, ყოველი მოვლენის, რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის, ახსნა შესაძლებელია.

მართლაც, რისი შემეცნებაც დღესდღეობით მომხდარი ფაქტია – ეს პრობლემა გადანყვეტილია, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, შემეცნების თვალსაზრისით ცთომას თუ არა აქვს ადგილი. ბუნებრივია ისიც, რომ არსებობს არსებულშიც კი მრავალი ისეთი ფარული მოვლენები, რომლებიც

გარკვეული დროის შემდეგ იჩენენ თავს და ყოველგვარი საკითხი შეიძლება ახლებურად დადგეს. ამის უამრავი შემთხვევები მოეპოვება მეცნიერებას. აქ, მთავარია, რაღაც საერთო კანონზომიერებათა დადგენა, რომ შემდგომ ამა თუ იმ პროცესის ახსნა რიგის მიხედვით წარიმართოს. რა თქმა უნდა, ეს დიდად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეგწევს ლოგიკური მოქმედება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანი ბუნებრივ მოვლენებში აქტიურად ერევა, ქმნის ახალ-ახალ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, ერთგვარ ბაზას, რომელიც ასევე გარკვეული საფუძველი ხდება ახალი მიღწევებისა, გამოგონებებისა და ასე შემდეგ.

ამას იმიტომ შევეხეთ, რომ მეცნიერულ სფეროში, რაც კი მიღწეულია, ყოველივე ზუსტადაა განსაზღვრული. ფილოსოფია არც ერევა მათ საქმეში პირდაპირ, მაგრამ არაპირდაპირ თავისი კანონებით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს განვითარებაში. ე. ი. ფილოსოფიის სული ყველგან ტრიალებს. ეს იქნება მისგან გამოყოფილი, დამოუკიდებელი თუ სხვა მის გარეშე არსებული მეცნიერებანი.

ახლა კი შევეხოთ იმას, რისთვისაც დაგვჭირდა ეს ექსკურსი, ე. ი. ადამიანებთან, საზოგადოებასთან მიმართებაში ფილოსოფიის როლისა და ამოცანების შესახებ...

რატომ ვამბობ „ადამიანების“ და რატომ არა „ადამიანის“? ადამიანები ხომ საბოლოოდ ცალკეულ ადამიანთა სიმრავლეს წარმოადგენს? და, ეს იმიტომ, რომ ადამიანს, როგორც ინდივიდს ახალი მეცნიერება „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ შეისწავლის უფრო ღრმად და მას ვადროვოთ. ხოლო რაც შეეხება ადამიანების, საზოგადოების, მის ჯერ კიდევ შეუსწავლელი, მამოძრავებელი ძალების გაგებას, ფილოსოფია უნდა შეეჭიდოს მაინც და მომავალშიც ასე იქნება ეს, ვინაიდან, კოლოსალურად ამოუწურავია ის ცდომილებანი, რაც მათ ახასიათებთ. და რადგან ეს ასეა, ერთი შეხედვით, ხომ არ ვუარყოფთ ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება იმ მიზეზით, რომ მაინც, ვერ დაადგენს იგი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ამ მიმართულე-

ბით?.. რა თქმა უნდა, არა! რადგანაც, აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენას ვერც დავავალებთ და, ბუნებრივია, ვერც მოვთხოვთ მას, მაგრამ, მთავარია და აუცილებელი – სინამდვილე შეფარდებით დადგინდეს დროში!

მართლაც რომ იყოს უკვე აბსოლუტურად, საბოლოოდ დაზუსტებული საზოგადოების, ადამიანების არსი, მაშინ, თავისთავად, უნდა გამოგვერიცხა მათი განვითარება მომავალში. იგი მკვდარი უნდა ყოფილიყო დროში და ამავე დროს ყოველი მეცნიერება, რაც კი არსებობს, მეცნიერება კი არა, მეცნიერების ისტორია იქნებოდა...

სიტყვა „ფილოსოფია“ სემანტიკური მნიშვნელობით სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს, მაგრამ აქ მარტო ასე როდია საქმე...

კამათის, ან ჩვეულებრივი საუბრის დროს, „წამოგვცდებოდა“ სიტყვა „ასეა ეს“. ხომ უნდა დავფიქრდეთ რატომაა მართლაც ის ისე და არა პირიქით? ხომ უნდა ავხსნათ იგი? მართალია. მის დასაბუთებას ლოგიკა, შინაგან ბუნებას – ფსიქოლოგია, სილამაზეს – ესთეტიკა, ზნეობრივ მხარეს – ეთიკა, თვით სიტყვის აგებულება – შედგენილობას – გრმატიკა და ასე შემდეგ სხვადასხვა მეცნიერებანი გასცემენ პასუხს, მაგრამ აქ დგება საკითხი სინამდვილის არსის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და საერთო ბუნების დადგენაში, რაშიაც გადამწყვეტი სიტყვა ფილოსოფიას ეკუთვნის, რომელიც, მართალია, მრავალთა თვალში „დონ-კისოტურად“ გამოიყურება, მაგრამ, სწორედ ამაშია მისი გენიალურობა!..

1983 წ.

## შეგრძნებაზე, გონზე...

შეგრძნებათა ორგანოების საშუალებით ადამიანს გარკვეული წარმოდგენა ექმნება მოვლენის, საგნის არსის, მისი ფაქტიური მდგომარეობის შესახებ. „გარკვეულს“ იმიტომ ვამბობთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვავთ მტკიცებისას ამ კუთხით განხილული მოვლენის, საგნის, თითქოსდა, ჭეშმარიტი ახსნა. ეს უკანასკნელი გონების (ტვინის) საქმეა, რომელიც კაცობრიობის არსებობის პერიოდში დაგროვილ რეალურ ცოდნათა და ფაქტიური დონის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ცდილობს დაადგინოს აბსოლუტური ჭეშმარიტება (რაც კი ცდითა და პრაქტიკით ზუსტდება) და შეფარდებითი, შედარებითი ჭეშმარიტება...

გონება არის ის უდიდესი შენაძენი, საუნჯე ადამიანისა, რომელსაც ძალუძს ხილულის მიღმა ეძიოს ამა თუ იმ საკითხის, მოვლენის გადანყვეტისა და ახსნის გზანი და საშუალებანი.

გონება შეიძლება შეედაროს იმ ციფრებით აჭრელებულ დაფას, რომელიც ეს-ეს იყო მოემსახურა ვარჯიშს ამა თუ იმ ამოცანის გადანყვეტისათვის.

შეიძლება შემოგვედაონ, გვითხრან: თუკი შეგრძნებათა ორგანოების საშუალებით სწორად ვერ აღვიქვამთ მოვლენას, საგანს იმდენად, რამდენადაც ყველამ სხვადასხვაგვარად შესაძლებელია შეიგრძნოსო ის, უფრო მეტიც, თვით ერთმა და იმავე ადამიანმა სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვანაირ ხასიათზეც მყოფმაც კიო. ნუთუ, ადამიანთა გონებას არ შეეხებაო ეს ყოველივე ანალოგიური კუთხით?..

ვპასუხობთ, რომ ადამიანის გონება (მისგან გამომდინარე აზროვნების პროცესი) შეცდომებისგან არაა დაზღვეული, მაგრამ მისი სიძლიერე იმაშია, რომ მას შეუძლია ჩასწვდეს შეგრძნებათა საიდუმლოებაში, ასევე მრავალ სხვა საკითხში და გამოიყენოს იგი სინამდვილის დადგენისათვის, მაშინ, როდესაც შეგრძნებებს ხილულს მიღმა არ შეუძლია გონების, წარმოსახვის, აზროვნების „დაჭერა“. რაც შეეხება იმას, რომ ცალკეულმა ინდივიდმა განსხვავებულად შეიმეცნოს ესა თუ ის მოვლენა, საქმეს უარყოფითად მაინც ვერ წყვეტს, რადგან ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვინტერესებს მცდარად ასაბუთებს ვინმე რასმე თუ ზუსტად,

არამედ, გვანტერესებდა გონების რეალურ შესაძლებლობათა ბუმბერაზული ძალის ჩვენება ჭეშმარიტების დადგენის საჯილდაო გზაზე.

16. X. 82 წ.

## პატარა პრობლემა

თამამად შეიძლება ვთქვათ: მეცნიერებამ განვითარების ისეთ მაღალ წერტილს მიაღწია, რომ შესაძლებელია კაცობრიობის ბევრი უსიამოვნებათა მიზეზად იქცეს. ანალოგიურად ვერ ვიტყვით თვით ადამიანებზე, ისინი ჯერ კიდევ განვითარების შუალედურ წერტილზე ტრიალებენ.

შეიძლება გაუკვირდეს ვისმეს, ეს როგორ? მეცნიერება რა, იუპიტერიდან ჩამოსულებმა განავითარესო ისევ და ისევ ადამიანებმაო?!

პასუხი აღნიშნულზე დიდ სირთულეს არ წარმოადგენს: დიას, ადამიანებმა შექმნეს ყოველივე, რაც თავად დაუპირისპირდათ ისევ და ეს მიზეზია იმისა, რომ ადამიანთა არათანაბარ, ცალმხრივ განვითარებას შედეგად მოჰყვა მათ მიერვე შექმნილის გაბუმერანგება...

გარდა ამისა, საერთოდ, კულტურის, მეცნიერების, სპორტის, ხელოვნების და ა. შ. არნახული აღმავლობის პირობებში ადამიანებს ძალზე ნაკლები დრო რჩებათ იფიქრონ თვისტომებზე... აქ საქმეს ვერ წყვეტს მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტთა თავდადებული შრომა, თუნდაც მათ სასწაულ მიგნებებს მიაღწიონ, არამედ აქ მთავარია, თუ რამდენად მასობრივია იგი.

ყოველი პროფესიის ადამიანს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ის ბუნების ნაწილია, უფრო მეტიც, განსაკუთრებული ნაწილია და ძალიან უნდა უფროთხილდებოდეს მას.

ბოლოს და ბოლოს, ბუნების სხვა ბინადარნი (თუ ადამიანებმა არ შეუშალეს ხელი) ინსტიქტურად ასრულებენ თავიანთ ვალს ბუნების წინაშე, ჩვენ, ადამიანებს გონება გვიშლის ხელს? მართალია, ადამიანი ბუნებიდან ბიოლოგიურად დაშორებას განიცდიდა, განიცდის და მომავალშიც განიცდის ალბათ, მაგრამ ეს ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მაინცდამაინც რობოტებად იქცნენ?..

1983 წ.

## ბრძენკაცუი, უვიცუი და...

**„უვიცი ლანძღავს მასზე ძლიერებს,  
მეცნიერებას და მეცნიერებს;  
ნანერებს წუნობს, წუნუნებს, სწყრება,  
ვერ გრძნობს, რომ მათი ნაყოფით ტკბება“.**

**გოეთე**

რა განსხვავებაა, ბოლოს და ბოლოს ბრძენსა და უგუნურს შორის? მრავალმნიშვნელოვნად, თავის, დასაბამებლად ხშირად გაიძახიან ხელმოცარულნი, რომელთაც, თურმე, ბრძენკაცებად მოაქვთ თავი. ნულარ იკითხავთ და რალაც მოჩმასული სენტენციებით ლამის დაასაბუთონ კიდევაც ყოველი!..

რა თქმა უნდა, აღნიშნულ აზრზე არამცთუ მსჯელობა, რაიმეს თქმა, ყურადღების შეჩერება, არამედ გაფიქრებაც, კი არასერიოზულად მივიჩნიოთ უნდა. ბევრი რამ მტკიცებას არ საჭიროებს და თუ მაინცდამაინც შემოგვიჩნდნენ, რალაც მოარული პასუხით ვაგრძნობინოთ უნდა ამგვართ აზროვნების უსუსურობა, გონებრივი სიბეცე. ამ შემთხვევისათვის მიზანშეწონილად ვთვლი გაგაცნოთ ერთი მოფილოსოფოსო ფიზიკოსზე გაცემული პასუხი, რომელმაც ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური აზრის შემცველი კითხვა დამისვა, აი, ესეც:

– ბატონო „ფილოსოფოსო“, მხოლოდ და მხოლოდ ბრძენკაცები არსებობდნენ ამ ქვეყნად, საფრთხე ცივილიზაციას არასოდეს დაემუქრება. პირიქით, შესაშური სისწრაფით განვითარდება, ცხოვრება ნამდვილად საამური და ზღაპრულად მშვენიერი შეიქმნება. რაც შეეხება განათლებულთ, მათში შეუძლებელია არ ერიონ უგუნური, რაც ყველაზე საშიშია და ვნების მომტანი. განათლებული, რომელიც გაუგუნურებულია უვიც უგუნურზე ათასწილად სახიფათოა, ხოლო უვიცნი, როგორც ბრძენნი არ წარმოადგენენ საშიშროებას, თუ არ ჩავთვლით უვიცისაგან ინსტიქტურად გამოვლენილ ხელმრუდობის ფაქტებს, რომელიც

გლობალურ დონეს ვერასოდეს მიაღწევს... ამიტომაცაა, რომ, ჩემო ფილოსოფოსო, საერთოდ, „ფილოსოფოსნო“, ბრძენკაცებს რომ ვცემთ პატივს და ქედს ვიხრით მათ წინაშე: იმდენად, რამდენადაც მათზე არის კაცობრიობის ბედი დამოკიდებული.

ახლა კი, ნება შენია, მეგობარო, ბრძენკაცად, უგუნურად, უვიცად, განათლებულად თუ „განათლებულ უგუნურად“ ჩათვლი თავს...

აქა-იქ შეიძლება ყური მოგკრათ ასეთ ფრაზას: „რისთვისაა სწავლა საჭირო, ღირს განა მასზე თავის მტვრევა? განა შეძლებს კი ადამიანი ჩანვდეს სამყაროს სრულ საიდუმლოებას? რა თქმა უნდა, არა!“ – პასუხობენ თავად... დიას, ნაწილობრივ-მეთქი“ – ვეტყოდი მეც და დავსძენდი ბოლოს: „ვინაიდან ადამიანი განვითარების ბუნებრივ გზას ემორჩილება, სრულიად ბუნებრივია მისი წინსვლა, შემეცნების სფეროს გაფართოების თვალსაზრისით, ამ მეტად რთულ და საპატიო გზაზე ადამიანთა განვითარებაში მეტნაკლებად არათანაბარი ნიშნები შეიმჩნევა. ეს ეხება ადამიანთა ეთნიკურ ჯგუფებს, ასევე ამ ჯგუფში შემავალთაც. ჯერ ერთი, ადამიანმა დამოუკიდებლობა, შეიძლება გვეთქვა, „ადამიანობა“ რომ შეინარჩუნოს, არა აქვს „უფლება“ ჩამორჩეს საერთო განვითარებას (მტკიცება არ უნდა იმას, რომ თვით ეს პროცესი კეთილდღეობის განუხრელ ამალლებას იწვევს), რადგან ისტორიის მრავალსაუკუნოვანი მსვლელობა, ფაქტები განვითარებულის მიერ ჩამორჩენილის დამორჩილებისა და დამონებისა უხვად მოგვეპოვება.

არნახული წინსვლა მეცნიერების სფეროში ადამიანებისაგან მოითხოვს განვითარების შესაბამის დონეს, არა მხოლოდ თვით ამ დარგისათვის, არამედ ისევ და ისევ მათთვის – მათი კეთილდღეობისათვის.

კეთილდღეობა კი, ყველას მოეხსენება, მხოლოდ სურვილებსა და ოცნებებზე არ შეიძლება იყოს დამყარებული. თუმცა, ისიც საკითხავია – ეს უკანასკნელიც კი სასურველად შეიძლება წარმართოს უვიცს ან ჩამორჩენილს?..

**1983 წ.**

## ბედზე და ადამიანურ ცდომილებაზე

ბევრი წუნუნებს საკუთარ ბედზე, თუმცა მათ შორის საკმაოდ მრავალია კარგად უზრუნველყოფილნიც, მაგრამ რაღაც აკლიათ, რაღაც კიდეც უნდათ, ბედნიერებას რომ ეზიარონ. უმუტესნილ ადამიანებში, ასეა ეს, თუ, არ გამოსცადეს მათ ცხოვრებასთან დაკავშირებული სირთულენი და წამოჭრილმა წინააღმდეგობებმა არ გაუმახვილეს წარმოდგენა რეალურ ფაქტებზე, რეალურ ყოფაზე, თუ არ ჩამოიშორეს ბუნდოვანი წარმოსახვანი, ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილონი დარჩებიან, როგორადაც არ უნდა იყოს მათი ცხოვრება „აწყობილი“. და ეს სხვა არაფერია, გარდა უცოდინარობა რაიმე მოვლენისა შინაგანად; ადამიანის თვისება – დაურწმუნებლობისა ამა თუ იმ საკითხის, ამბის თუ მოქმედების ცოდნაში.

ზემოთ აღნიშნული რომ არა, მაშინ რატომაა ასეთი ადამიანები „სიმაღლეებისაკენ“ ლტოლვისას და მისი „დაპყრობის“ დროსაც კი ვერ პოულობენ, ვერ აღწევენ ბედნიერებას? რატომ ხდება ისიც, რომ სულ უბრალო, უკვე გათვითცნობიერებული, განვლილი ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდს ჩასჭიდებს ხელს, სიმაღლეებისაკენ სრბოლაში ხელმოცარულნი (ან მისი უარყოფელნი) და მყის იგრძნობენ შვებას, ერთგვარ ნეტარებას – ბედნიერების ტოლფასს? განა აუცილებელია ადამიანებმა გამოსცადონ ამა სოფლის სიავენი?..

სწორედ ამაშია საქმე, რომ ადამიანთა ერთი ნაწილი ამ გზით აღწევენ ნამდვილ იდეალს, მეორე ნაწილი კი – ყოველგვარ ცდომათა გარეშე და მათ დიდ ადამიანებს ვუნოდებთ; მესამე ნაწილი – არცერთი გზით სარგებლობს და მათთვის ნოდების მინიჭება თქვენთვის მომინდვია, მკითხველო!

1984 წ.



## გამონათქავეზი

XXX

ლტოლვა სრულქმნილებისაკენ, სრბოლა სრულქმნილებისაკენ ჟინითა და წყურვილით; ჟინითა და წყურვილით – სიდიადის მისტიკურ ლაბირინთებში სულის სინმინდისა და განსპეტაკებისათვის. აი, ყველა ადამიანის გზა, – გზა მშვენიერი, გზა ერთადერთი, გზა უძლეველი! დაადექით ამ გზას და თქვენ იგრძნობთ ზღაპრული ძალმოსილებით მონიჭებულ ბედნიერებას – მის ძალას; უკვდავი ხარ მაშინ!

XXX

ძალზე ძნელია მსხვერპლის გარეშე, ჭეშმარიტება ვპოვოთ, მსხვერპლი კი ჩვენ ვართ გონიერნი და უგონონი...  
მაგრამ შედეგი? – სათაკილოა, თუ დალი აზის ძალმომრეობის...

XXX

ერთმა თქვა: „ადამიანს უცოდინარობა ღუპავსო“, – „არანაკლებ ცოდნაო“, – დაუმატა მეორემ, – „ეჰ, მირჩევნია დავიღუპო, მაგრამ რისთვის ან რატომ, ვიცოდეო ოღონდ!“ – დაურთო მესამემ.

XXX

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ცხოვრება ბრძოლაა და გამარჯვებული გამოვიდეს ადამიანი აქედან, საბოლოოდ, ნიშნავს, ხალხს, ხალხის სამსახურს შეალიოს თავი.

XXX

მშვენიერებისაკენ სწრაფვა დამშეულთათვის ისევე შეუძლებელია, როგორც ეს – გასუყებულთათვის.  
პირველთათვის დაბრკოლების მიზეზს წარმოადგენს ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ხოლო მეორეთათვის – სიხარბით გამოწვეული დაცემა.

**XXX**

მტკიცება არ უნდა, კაცობრიობამ ნორმალურად რომ იარსებოს, სიკეთით უნდა საზრდოობდეს. მაგრამ, საკითხავია, რომ იყოს ასე აბსოლუტურად, იარსებებს კი საზოგადოება?..

**XXX**

ბრძენკაცს თუკი შეუძლია, საერთოდ, თავი ბედნიერად ჩათვალოს, ასევე შეუძლია ეს უვიცსაც. მაგრამ, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი საკუთარი ვიწრო შესედეულებითა და აზრით განსაზღვრავს მას მხოლოდ და თუკი ოდესმე ამაღლდა, სასონარკვეთილებაში მოექცევა იგი, რაც ბრძენკაცებში შეუძლებელია მოხდეს!

**XXX**

ბედნიერებას, მართალია, ადამიანი იშვიათად ეზიარება ხოლმე, მაგრამ, როდესაც ის ეწვევა, შეძრავს სიამოვნების უმაღლესი განცდით. შემდგომ ყოველივე საწყის დონეს უბრუნდება.

**XXX**

შემოქმედთათვის, ნამდვილ შემოქმედთათვის, პოპულარობასთან ერთად აუცილებელია სიყვარულითაც სარგებლობდნენ, რაც გენიოსთათვის უცხოა ხოლმე, მაგრამ – დასაშვები.

**XXX**

სხვის გავლენას იდენტურად დამორჩილებული ადამიანი ნიჟარაში მოქცეულ ლოფორთქინას ემსგავსება, რამეთუ საკუთარი ინიციატივა განულებული აქვს.

**XXX**

ტაკიმასხარაობაა და მეტი არაფერი რეალურობას დაცლებული ენამჭევრობა.

**XXX**

რეგვენ კაცს მორალურად ვერ შთააგონებ, მას უფრო მეტად შიში უნდა ჰქონდეს...

**XXX**

საწყისზე, მის არსზე იმიტომ გვმართებს ღრმა დაფიქრება, რომ მომავალი განვჭვრიტოთ, უფრო მეტიც, გარკვეულწილად შევიმსუბუქოთ იგი.

**XXX**

ხილულის მიღმა შეგეძლოს განჭვრიტო მისი არსი, აი, აბსტრაქტული აზროვნების უეჭველი ნიმუში, ქეშმარიტების წვდომის შესანიშნავი უნარი – ადამიანის სიმაღლის უძირითადესი მაჩვენებელი.

**XXX**

თუ ადამიანს არა აქვს გაცნობიერებული თავისი ყოველი ან უმნიშვნელოვანეს მოქმედებათა არსი, შეუძლებელია მან შემეცნებითი ხასიათის ამაღლებული გრძნობებით ერთგვარი სიამოვნება განიცადოს.

**XXX**

ბედნიერებას ვინც მხოლოდ და მხოლოდ თავისი საზომით ზომავს, ზოგად საკაცობრიო მონაპოვართა საპირისპიროდ, ილუზიათა ნამსხვრევები შერჩება სანაცვლოდ ხელში.

**XXX**

ლალად, ლოგიკურად წარმართო ცხოვრება, არაა საკმარისი იმისათვის, რომ შეიცნო თავი შენი მხოლოდ, არამედ უნდა შეგეძლოს, უნდა შეგწევდეს ძალა გარდაქმნა იგი თანამედროვე, უფრო მეტიც, მომავალ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა და ამოცანების შესაბამისად.

**XXX**

თუნდაც სისულელედ ჩაგითვალონ ფიქრის უნარი, იფიქრე მაინც!..

**XXX**

სამწუხაროა შეცდომების დაშვება, მისი გამართლება – საზიზღრობაა. პატიება კი – კეთილშობილება.

**XXX**

ერთი პატიმარი ჩიფჩიფებდა: „ყველაფერს დავთმობდი, რომ ვიცოდე აქ რამ მომიყვანაო“. – იქ მყოფთ ხარხარი აუტყდათ. მან კი დანანებით დაუმატა: „ბედნიერებიცა და უბედურებიცა ხართ, რომ არ იცით და არც გსურთ გაიგოთ ის, რაც ხართ, „რაც რომ არ ხართ და რაც რომ უნდა იყოთ“ – ხარხარი ღრიანცელის მაგვარ აღტკინებაში გადაეზარდათ ბედის მოზიარეთ...“

**XXX**

ცოდნა არაა მეცნიერება თავისთავად, არამედ, მეცნიერება – ეს არის რეალურ ცოდნათა პრაქტიკული მხარე, – საზოგადოებრივ და ბუნებრივ მოთხოვნილებათა დიამეტრული დინების აუცილებელი შედეგი დროში...

**XXX**

როდესაც დანაშაულზე წაგასწრებენ და ძლიერ შეგანუხებს სირცხვილის გრძნობა (და არა კანონის წინაშე შიში) უფრო მეტად, ვიდრე დასჯა, დასჯის მოლოდინი... აი, ასეთი შემთხვევისას იჩენს თავს დაუნერვლი კანონის სიმშვენიერე და ძალა!

**XXX**

უპრეტენზიო დილექტანტი არც თუ ისე საზიანოა, მაგრამ, თავისი მდგომარეობით ზურგგამაგრებული რაიმეს კატეგორიულად გახვევდეს თავს – საშინელზე საშინელეობაა.

**XXX**

მეგობარო, ნუ შეეცდები ყველა ადამიანის ღრმად გაგე-  
ბას, თორემ შეგაზიზღებს თავსაც კი, იმდენ ლაფსუსს  
წააწყდები.

**XXX**

თუ გული სუფთა არა გაქვს, ვერაფერს შექმნი წმინდასა...

**XXX**

უგუნურს რომ შეეძლოს იგრძნოს, ან განსაჯოს თავისი  
უგუნურობა, იგი უგუნური კი არ იქნებოდა მაშინ.

**XXX**

დარწმუნდე შენს უძლურებაში დაახლოებით იგივეა,  
შემეცნების თვალსაზრისით, დარწმუნდე სიძლიერეში, მა-  
გრამ ამათგან მაინც მეორე შემთხვევა აქცევს ადამიანს უძ-  
ლეველად!..

**XXX**

საკუთარი თავის შეცნობა აბსოლუტურად არცთუ ისე  
ადვილია, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც. იმდენად, რამ-  
დენადაც ეს რომ მოხდეს, ღმერთად უნდა იქცე!..

**XXX**

რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს, კაცს აუცილებლად  
უნდა ჰქონდეს საბოლოო მიზანი და მით უნდა სულდგმუ-  
ლობდეს, რადგან ეს არის ერთადერთი გამოკვეთილი უპი-  
რატიესობა ადამიანისა სხვა ცოცხალ არსებებთან შედარ-  
ებით...

ნუ ავუქცევთ მას გვერდს. იგი ადამიანობის სიდიადეს  
გვაზიარებს!

**XXX**

ნასვამი კაცი შედარებით მდარედ აზროვნებს, ამიტომა-  
ცაა მისი ჩვევად ქცეული მოქმედება შეუნიღბავი, ხშირად,  
გამამჟღავნებელი საკუთარი ბუნებისა.

**XXX**

ცხოვრება საინტერესო წამებაა და ესაა სწორედ უმშვენიერესი გზა ბედნიერებისაკენ!..

**XXX**

განავითარო გემოვნება ესთეტიკური, ინტელექტუალური და მორალური გრძნობების გაცნობიერების მიმართულებით, ნიშნავს ამაღლდე, მაგრამ ამ მხრივ რეალურობას თუკი დასცილდი, დაიტანჯები უთუოდ.

**XXX**

ტექნიკურმა პროგრესმა მისცა ხალხს თავისუფალი დროის დიდი ბიუჯეტი, მაგრამ, სწორედ, ეს იქცა უგუნურ-უვიცთათვის მთელი რიგი უბედურებათა უნებლიე მიზეზად და არასასურველ წყაროდ...

**XXX**

რაც არ ცოცხლობს, არც კვდება, ვინაიდან, მკვდარია ის თავისთავად... მაგრამ, გვხვდება ასეთი, არცთუ ისე სასწაული პარადოქსები: ცოცხლობენ, კვდებიან და ამ სიკვდილით, მხოლოდ და მხოლოდ, აფიქსირებენ მკვდრულ ყოფას.

**XXX**

ინამე ის, რაც იცი! აგრეთვე იყავი ცნობისმოყვარე, რათა გაიფართოვო რწმენის არე. აუცილებელია ეს თანამედროვე ადამიანისათვის.

**XXX**

ადამიანები ჰქმნიან ლეგენდებს და მერმე თავად ხდებიან მონები მისი.

**XXX**

წამება ღვთაებრივ სიმშვენიერეს აზიარებს მოაზროვნე – ძლიერ პიროვნებებს.

**XXX**

ცოდნა რწმენას შობს, რწმენა კი ანოციერებს მას!..

**XXX**

მე არასოდეს ვყოფილვარ ასე ძლიერად და არასოდეს ისე სუსტად, როგორც დღეს... სიძლიერე უძლურობაშია... და პირიქით...

**XXX**

უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კაცს, ნიადაგ, უნდა ჰქონდეს ვიღაცის ან რაღაცის „შიში“, გაცნობიერებული მასშივე მხეცად რომ არ იქცეს...“

**XXX**

შიში ამრავლებს სიყვარულს... მაგრამ შეუძლებელია სრულყოფილ საფუძვლად ჩაითვალოს იგი...

**XXX**

ყოველგვარი მოჩვენებითი ძალა, მის გარშემო ატეხილი ხმაური, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს, ქაოსსა ჰგავს. უფრო მეტიც, იდენტიურია მისი! გავა დრო და ყოველივე თავის ადგილას დალაგდება.

**XXX**

ხელის გულივით ვხედავ და ვჭკრეტ მომავალს, ესე იგი, ვაზროვნებ. მაშასადამე, მაქვს ცნობიერება... ო, რა საშინელებაა დროის სიმუხთლე... არტახები...

**XXX**

რა არის თავისუფლება? კარგად დააკვირდით თვით ამ სიტყვის სემანტიკურ მხარეს და მიხვდეთ უნდა...

**XXX**

ადამიანმა თავისუფლების გრძნობა, პირველ რიგში, შინაგანად უნდა განიცადოს, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ, თუკი ობიექტური მიზეზები ხელისშემშლელად მოველინებიან, შეუძლებელი ხდება იგი. გარეგნულად არ ჩანს, თუმცა, ასეთი „თანამედროვე მონებად“ იწოდებიან.

**XXX**

ადამიანი, როგორც ბუნების შემადგენელი ნაწილი, თუ გახელოვნურდა, დაკარგავს იმ უძვირფასეს თვისებებს, რაც მას თან უნდა სდევდეს ნიადაგ, როგორიცაა: სიკეთე, სამართლიანობა, თავმდაბლობა, სიყვარული... და ყოველივე ის, რაც კი მშვენიერებად არის სახელდებული.

**XXX**

დათრგუნო უკეთური ზრახვანი შენი – ეს იგივეა, რომ ქლორის ხსნარი მოასხურო ბაცილებით საცხე გუბურას...

**XXX**

– თქვენი იდეალი, მეგობარო, საერთოდ?..  
– ყოველივე, რაც იდეალურია, რასაც კი ჩემი გონება გასწვდება!  
ზოგადი, მაგრამ უზუსტესი პასუხია ალბათ.

**XXX**

თუკი ჯილდოს ელი რაიმე მოქმედება – მოღვაწეობისათვის, არაა მაინცდამაინც მოსაწონი, მაგრამ, როდესაც ჯილდო თავად გიპოვის, დიდებულზე დიდებულია!

**XXX**

როცა ადამიანები გონებასთან მწყრალ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, შიში, შიში უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისა უსათუოდ, თორემ მოთხოვნილებანი ისე „ბარბაროსულად“ მოქმედებენ, რომ დასჭამენ ერთმანეთს.

**XXX**

დიდ მოაზროვნეებს სჩვევიათ, გამორჩეთ ხოლმე წვრილმანები, რაც კაცუნებისათვის ოხუნჯობათა საბაბი ხდება.

**XXX**

ჩემო კეთილო, ვხვდები, რომ გეამაყება ქართველობა!.. ის თუ იცი, დამსახურება რომაა ეს იმ მრავალტანჯული ერისა, რომელმაც ბრძოლის, შრომის, სიმტკიცის, კულტუ-



რის, სიყვარულის უბრწყინვალესი ნიმუშები რომ მისცეს კაცობრიობას? და თუ ქართველობ, მოვალეცა ხარ, არ უღალატო მას.

გაიაზრე შენი არსებობა!

**XXX**

დიდებულია ესთეტიკური გრძნობის მაღალ გემოვნებად გარდაქმნა – განვითარება, მაგრამ ხანდახან დამღუპველიც კი ხდება იგი იმდენად, რამდენადაც მას მუდმივად პერმანენტულობა ახასიათებს, აგრეთვე, მოთხოვნილებებად ყალიბდება და მოხდება თუ არა მისი დაუკმაყოფილებლობა, (რაც ბუნებრივია), წარმოშობს ძალზე მტკივნეულ განცდას.

– უკიდურესობებს ხომ არ წავაწყდით?..

**XXX**

ყველაზე ბედნიერი ადამიანი, ალბათ, მაშინ არის, როდესაც განსაცდელში მყოფს დაიხსნის უანგაროდ, ან წაეშველება რასმე.

**XXX**

ათასნაირ მოვლენებს შეიგრძნობს ადამიანი, მაგრამ ამათგან საბოლოოდ ის, რასაც აღიქვამს სრულად, გაატარებს აზროვნების ყალიბში და გამოანართობს. აი, მხოლოდ მას შეუძლია ღრმა, წარუხოცელი კვალი დატოვოს მასში.

**XXX**

მოვალეობის გრძნობა მაიძულებს დავატანო თავს ძალა, რომ ერთი შეხედვით შეუძლებელი რამ შევძლო და ეს მოთხოვნილებაა მორალურ ნორმათა განსხეულებისა...

ილია: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“. – დიდებულადაა ნაბრძანები!

**XXX**

ბოროტი კაცი, პირველ რიგში, საკუთარი თავის დაუძინებელი მტერი რომაა, თავადაც კარგად გაეგება ეს, მაგრამ მაინც, არ იცილებს ამ ღვარძლიან სენს, რადგან მხოლოდ

სხვისი წარუმატებლობისა და უბედურების „სარჯზე“ მოელის მის განქარვებას ნიადაგ.

**XXX**

სასაცილოა, როდესაც უზნეო კაცი ზნეობაზე იწყებს ქადაგებას, თუმცა ძალზე დამაფიქრებელია ეს მოვლენა...

**XXX**

საშინელებაა უვიცი რომ დაუნყებს ჭკუის სწავლებას განათლებულს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და ცხოველმყოფელობით ანგარიშგასაწევია და რომელზედაც მას ბუნდოვანი, ან ზედაპირული წარმოდგენა გააჩნია მხოლოდ.

**XXX**

ყოველ არასრულყოფილ, უზნეო ადამიანთა თვისებაა, სმამალლა ჩასძახონ თვისტომთ მოჩვენებითი უკმაყოფილების გამოსატვის ნიშნად, ან მათი დამცირებისა და საკუთარი თავის ილუზიურად წინ წამოწევის მიზნით, მაშინ, როდესაც ჩამოყალიბებული პიროვნება, თუნდაც, რომ იმსახურებდეს ვინმე შენიშვნას, ჩვეულებრივი ტონით, გააგებინებს სათქმელს და უფრო ეფექტურადაც იმოქმედებს მასზე, თანაც, ამით ზნეობრივ მხარესაც მიაგებს გარკვეულ პატივს.

**XXX**

ადამიანის განვითარება ობიექტურად თანმიმდევრული პროცესია, როგორც მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი, მაგრამ, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი, ამაზე თვით ცალკეული ინდივიდის თავისთავადობა გაგვცემს პასუხს.

აქ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეული უარყოფითი შედეგები, საერთოდ, ადამიანთა განვითარების აღმავალ ხასიათს ვერ დაამუხრუჭებენ, როგორც ყოველთვის, თავისი გზით წავა იგი.

**XXX**

თვითნებობა – ესაა შეგნებულად შეუგნებელი მოქმედება.

**XXX**

იყო გულმართალი, არაა საკმარისი ყოველი საქმის წარმართველად გამოდგე, არამედ აუცილებელია იმისი ღრმა ცოდნა, რაზედაც მესაჭირობას კისრულობ.

**XXX**

ნება კეთილი, კეთილი ნება – აი, რით უნდა სულდგმულობდეს ადამიანის, როგორც ბუნების პრივილეგირებული არსების მამოძრავებელი ძალები ცხოვრებისა – საკუთრივ!

**XXX**

გონისმიერი მოქმედება სარგებლიანობას ისახავსო, მიდრეკილებითი – სიკეთესო, უთქვამთ, მაგრამ, ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: თუ პირველს გამოვრიცხავთ, მეორე მოქმედებაში სიკეთის ნაცვლად, დიამეტრალურად სანი-ნაალმდეგო რამ შეიძლება მივიღოთ.

**XXX**

სიმდაბლის გვერდის ავლით ეზიარო სიდიადეს – აი, ჭეშმარიტი მიღწევა ადამიანისა – სიკეთისა და ბოროტების სამანზე!

**XXX**

თავისუფლება არ შეიძლება გაგებულ იქნას ვინრო მნიშვნელობით, როგორც ამ სიტყვის ემპირიულ-ფოტოგრაფიულ ასლად, ვინაიდან, მაშინ უფრო ახლოს მივჩნდებით თვითნებობასთან, თავისუფლების არსს კი თვისობრივად ვუგულვებელვყოფთ.

**XXX**

ბედნიერებისაკენ მიილტვიან ადამიანები დაუოკებელი ჟინითა და წყურვილით. ამ საპატიო „მარათონზე“ ზოგი სწორი გზით მიემართება, ზოგი კი – გამრუდებულით.

პირველი გზით მავალნი ფინიშს დროზე გადაკვეთენ და გამარჯვებასაც იზეიმებენ, მაშინ როდესაც მეორე გზით მავალთ შეაგვიანდებათ ერთობ და თუნდაც მიაღწიონ ფინიშს, მათთვის ჯილდო, უძვირფასესი ჯილდო იქ უკვე აღარ იარსებებს...

**XXX**

თუკი ვისწრაფვით მშვენიერებისაკენ, სარგებლიანობის ცდუნება უნდა დავსძლიოთ, მაგრამ ესეც შეიძლება მოხდეს; რასაც ერთ მომენტში სიმშვენიერედ რომ ვთვლიდით, მომავალში სარგებლიანობის მატარებელ ნიშნად იქცეს და ასე შექმდეს.

აქ, კი, მთავარია, შეგნებულად ხდება ეს, თუ არა!..

**XXX**

ეჰ, რისკენაც ჩვენ მივიღტვით – მიექრით დოღის ცხენებივით, ყველაფერი რომ ისე მიიღწეოდეს, აზრს დაკარგავდა ყოველივე ალბათ...

**XXX**

ბედნიერება შეიძლება კაცს მიენიჭოს ორ შემთხვევაში: კანონზომიერად და შემთხვევით. ოღონდ, პირველის შედეგი გაცილებით უფრო ხანგრძლივია და ღრმა, ვიდრე მეორისა.

**XXX**

ყოველგვარი სწრაფვა ადამიანისა რაიმესადმი, ნიშნავს, მის მიდრეკილებას სიამოვნებისადმი და მშვენიერია ის მხოლოდ მაშინ, თუკი არ წარმოადგენს სხვათა უსიამოვნებათა წყაროს.

**XXX**

ბედნიერად წარმართო ცხოვრება, ბედნიერად ჩათვალო თავი, ამისთვის აუცილებელია გაითვალისწინო ბევრი რამ, სხვისი გაუბედურებით მისი მიღწევა შეუძლებელია, რომ არაკეთილსინდისიერი მოქედება გამორიცხავს მას, რომ ზეაღმტაცი სიყვარული თუ არ ახლავს შენს ყოველ საეჭა-

პო ნაბიჯს და თუ არ საზრდოობ სათნოებისა და სიკეთის ძალისხმევით, ბედნიერება, ნამდვილი ბედნიერება ველარასოდეს გენწვევა.

**XXX**

თუკი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევი, ბედნიერებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია!

**XXX**

სიყვარული, ეს ბუნების ბუნებრივობის, უმაღლესი სრულყოფილების გამოვლინების შედეგია! მისგან მონიჭებული სიამოვნება – ბედნიერებაა!

**XXX**

სიბრძნე ყველაფერშია... და ბრძენშია ყველაფერი ის, რაც საცნაურს ხდის მასში ყოველივეს.

**XXX**

ბრძენკაცებიც ჩათვლემენ ხოლმე. ეს პაუზაა მათთვის. უბრალო მოკვდავთათვის კი პაუზაა ჩვეულებრივი...

**XXX**

არიან ადამიანები, რომელთაც თავისებური, განსაკუთრებული თილისმა გააჩნიათ მოჯადოებისა: რაც უფრო უახლოვდები მათ და რაც მეტი ხანი გადის, მით უფრო გიზიდავენ ისინი. მაშინ, როდესაც არიან ადამიანები, რომელთა მიმართ საპირისპიროდ ხდება ყოველივე და ეს იმიტომაა, რომ მოჩვენებით, ყალბ ადამიანებთან გვაქვს საქმე, ხოლო პირველ შემთხვევაში, კეთილშობილებთან.

**XXX**

ბედნიერი ხარ იმდენად, რამდენადაც შეუცნობელი იყო, არის და იქნება უბედურება შენთვის!..

**XXX**

„ჭაობში“ ჩავარდნილმა ადამიანმა, თუნდაც რომ დააღწიოს განსაცდელს თავი, სრულიად უვნებლად, ამას ვერ შეძლებს მაინც...

**XXX**

არიან ადამიანები, რომლებიც მოიხელთებენ თუ არა განსაცდელში ჩავარდნილთ, მათ გათელვას ცდილობენ შეუბრალებლად და არიან – პირიქით რომ იღვწიან.

პირველნი სულმდაბალთა, ხოლო მეორენი დიადთა არმიას მიეკუთვნებიან.

**XXX**

სიტყვები სწორად რომ შევარჩიოთ სუბიექტის წარმოჩენისათვის, ამავე დროს, ობიექტურობასაც რომ არ ვუღალატოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი მდგომარეობა, ადგილი თავისი წესის, რანგის ადამიანებთან მიმართებაში და ის დონე, რასაც თავად წარმოადგენს.

**XXX**

მიზანსწრაფვა, ნებისყოფა საბოლოო მიზნისაკენ გმირობის ჩადენაზე მეტია ხოლმე და რადგანაც ასეა, შეუძლებელია მას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყვეს.

**XXX**

ხდება ხოლმე, როდესაც ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს, ზოგიერთი პიროვნება (თუკი შეიძლება ეწოდოს) ჩრდილს აყენებს: დაუმსახურებლად კილავს, აკნინებს მის ნაღვანს.

ასეთ ადამიანებს ხელმოცარულს ვუნოდებ, რადგან მათ ველარ მიაღწიეს თავიანთ სანაღელს, ვერ მოიპოვეს ხალხში სახელი, ავტორიტეტი და ისლა დარჩენიათ, ანთხიონ შური...

**XXX**

ვინც მშვენიერებას, სილამაზეს ჩაჰკირკიტებს, რათა რალაც ჩრდილის მსგავსი რამ შეამჩნიოს, სულმდაბალი ადამიანები არიან.

**XXX**

ადამიანს ბევრ რამეზე შეიძლება აეშალოს „სადერღელი“, მაგრამ მისი ადამიანობა სწორედ მაშინ მჟღავნდება, როდესაც იმპულსურ მისწრაფებებს მოთოკავს იგი დროზე და გადამწყვეტ მოქმედებას გონს დაუქვემდებარებს.

**XXX**

ქალისათვის გარეგნული მშვენიერება ბუნების განუზომელი მადლია და თუკი მას სულიერებაც შეესატყვისება – ეს უკვე სასწაულია!

შინაგან და გარეგან მშვენიერებათა ერთიანობა – ჰარმონიულობაა – სრულქმნილების გენიალური ნიმუში!

**XXX**

მსხვერპლისა და შეცდომების გარეშე არც ერთი დიდი საქმე შობილა დღემდე და ასე იქნება მომავალშიც...

**XXX**

გრძნობათა ქარტეხილი, ვნებათა ჭიდილი და აქედან გამომდინარე, პერმანენტული სიბოხოქრე სულისა განსაკუთრებულ ადამიანთა ხვედრია, რომელნიც სიდიადესთან ერთად მისნური ალლოთი შეიცნობენ ცხოვრების ორომტრიალს და შინაგანად განიცდიან მას...

**XXX**

იმდენად, რამდენადაც ჩვევად გადაქცეული ყოველგვარი მოქმედება ადამიანს მოთხოვნილებად ექცევა, მისთვის, ამავე დროს, არ შეიძლება სასიამოვნოც არ იყოს იგი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი სიამოვნება სასარგებლო ან მისაღები იყოს საერთოდ, ამიტომ, უნდა ვერიდოთ ცუდი ჩვევების გამომუშავებას, თუმცა, ერთი კია: სანამ ადამიანი ამ საკითხს გონივრულად ჩასწვდება, უკვე გვიანდაა ხოლმე...

**XXX**

ყველამ რომ მათემატიკური სიზუსტით შეასრულოს დაწერილ-დაუწერელი კანონები, ცხოვრება შაბლონური, უინტერესო და მოსაწყენი იქნებოდა ვითომ?..

**XXX**

ცოლ-ქმრული, ან, საერთოდ, ქალსა და ვაჟს შორის ინტიმური ურთიერთობა ბედნიერებას ვერ მიანიჭებს ვერცერთ მხარეს, თუკი ამაღლებული გრძნობები არ დომინირებენ...

**XXX**

ადამიანი თუ ადამიანის გულითადობას გრძნობს და ამავე დროს, დამაჯერებელია იგი და შთამბეჭდავი – მიენდობა მას უცდილოდ!..

**XXX**

ადამიანის სიდიადე განსაკუთრებით მაშინ მჟღავნდება და გამოიკვეთება ხოლმე, როცა არ კარგავს იგი დიდსულოვნებას ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში – განსაცდელშიც კი.

**XXX**

ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანისათვის, რაც კი შეიძლება არსებობდეს ამქვეყნად, ეს არის სიკეთის თესვის უმაღლესი ხელოვნება – სიკეთისათვის!!

**XXX**

სიყვარულის არსებობისათვის, ან არსებულის განმტკიცებისათვის ქალსა და კაცს შორის, როგორც ასეთი, სრულქმნილი, ან დადგენილი წესი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს: ყოველივე ინდივიდებზეა დამოკიდებული, მათ ინდივიდუალურად აწარმოონ უნდა ურთიერთ „აქიმობა“...



**XXX**

თუკი იცი, სულითა და გულით იღვნი რაიმეს გასაკეთებლად ან შესაქმნელად, შეუძლებელია, სხვას არ ასიამოვნო და არა ნაკლებ საკუთარ თავსაც!

**XXX**

ვის ჰყავს მტერი, ყველაზე მეტი მტერი? ამის თქმა, ცოტა არ იყოს, ძნელია, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მტერი მხოლოდ და მხოლოდ სულელს შეიძლება არ ჰყავდეს.

**XXX**

კაცს შეიძლება ეპატიოს ვერ გამოთქვას ის, რაც სათქმელია, მაგრამ არასგზით – თქვას ის, რაც არაა სათქმელი.

**XXX**

ყოველ საქმეში ხელმოცარვისათვის, პირველ რიგში, დაადანაშაულო უნდა საკუთარი თავი...

შესაძლებელია არსებობდეს სხვა ხელშემწყობი პირობები ზემოთ აღნიშნულისათვის, მაგრამ, მთავარი მაინც თავი და თავია!..

**XXX**

ჭკვიან კაცთათვის ნუნუნის ხელმოცარვის გამო ისევე ულამაზო, სახამუშო და სასაცილოც კია, როგორც უჭკუოთათვის სიდარბაისლე.

**XXX**

შეცდომებზე თუ სწავლობს ადამიანი, მართლაც რომ მართებულია, მაგრამ რა უნდა უთხრა იმათ, ვინც ვერ აღწევს ამას, ან უარყოფს, ან არცკი ცდილობს საერთოდ? განწირულია იგი და საცოდავი!..

**XXX**

შეიცნო თავი შენი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აუცილებელია მართლზომიერად მართო იგი!

### XXX

ბრძენკაცი არასოდეს განიცდის მტკივნეულად უბრალო მოკვდავთა აზროვნების სიმაღლეს. მისი სიღიადუ სწორედ იმაშია, რომ ყოველ კეთილსინდისიერ მოქმედებაში ხედავს და სწვდება სიბრძნეს. სიბრძნის გასაღებს – მის წყაროს...

### XXX

სულიერი და სორციელი სიმშვენიერის აბსოლუტური ჰარმონიულობა ისევე იშვიათია, როგორც ცისარტყელას გამოჩენა ცაზე. ამიტომაც, როცა ვესწრაფვით ერთისაკენ, მეორის არქონას უნდა შევეგუოთ და პირიქით. მაგრამ, ამათგან, მაინც პირველს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან იგი დროში მყარია ერთობ!

### XXX

როცა ღვარძლით სავსე სულმდაბალი ადამიანი ქირქილებს კულისებში სხვის დამსახურებულ წარმატებებზე, კეთილსინდისიერი მსმენელი არ დაახანებს და მოჩვენებითი ქირქილით გამოწვეულ ღიმილს უმაღ შეაყინავს ბაგეებზე.

### XXX

ოცნება, მართალია, ბევრ რამეში ხელშემშლელია ადამიანისათვის, მაგრამ არა აბსოლუტურად. ერთი კია: მთლიანად ოცნებებს არ უნდა დაუქვემდებარო სიამოვნების მიღების სურვილი, რათა მან ინერტული და უმოქმედო არ გაგხადოს.

ოცნებანიც მარგებელია ზოგჯერ, იმდენად, რამდენადაც ის სუბიექტურ-ინტიმურია მთელი სისრულით.

### XXX

უფსკრულში ჩავარდნილი კაცი მწვერვალის დალაშქვრას რომ აპირებდეს და ახერხებდეს კიდევაც ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით სასწაულია თითქოს, მაგრამ განა შეუძლებელი.

**XXX**

შურისძიება ჩადენილი ბოროტების საპასუხოდ ბოროტებას ამრავლებს, მაგრამ მისი გამორიცხვა შეუძლებელია ყოველთვის.

**XXX**

არასოდეს შურის თვალი არ გააყოლოთ სხვათა სამოსსა და სამკაულთა სიბრჭყვიალეს!.. იქნებ რაოდენ სიბნელეს შესაძლებელია ფარავდეს იგი?..

**XXX**

მიბაძვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანს სიბლავს თვისტომის, ერთგვარი მოქმედება მოხდენილად გამოვლენილი. კარგია ეს, თუკი დადებით შედეგთან გვექნება საქმე, და კიდევ უკეთესი, თუ მისი განვითარებითა და გარდასახვით ახალ სულს, ახალ სიცოცხლეს შთაბერავენ მას!

**XXX**

ვისაც სინდის-პატიოსნება დაკარგული აქვს, გამართლებას თვით, თავის ქცევაში, თავის მოქმედებაში ხედავს, ასეთნი სიბრალულს იმსახურებენ მხოლოდ!

**XXX**

ჰქონდეს კაცს სიკეთისადმი მიდრეკილება, როდი ნიშნავს მისი ყოველი მოქმედების კეთილად დასრულებას...

**XXX**

ზოგიერთნი ერთმანეთში ურევენ „სიმამაცისა“ და „მოურიდელობის“ ცნებებს; უფრო მეტიც: უგუნურ მოქმედებასაც კი აკრავენ ზედ სიმამაცის იარლიყს...

**XXX**

რწმენით ბედნიერებას ზიარებულნი... აი, ჭეშმარიტების ჭეშმარიტი გამოვლინება!...

**XXX**

რაიმე მოვლენისადმი რწმენა გულისხმობს მის ღრმა ცოდნას წარმოსახვისა და შთაგონების საფუძველზე აღმოცენებულს.

**XXX**

ექვი ბუნდოვანი, მაგრამ, მაინც, ერთგვარი სინამდვილეა... მირაჟი...

**XXX**

ადამიანი, რაც დღეს არის, ხვალ აღარ იქნება აბსოლუტურად ის, მაგრამ ეს ცვლილება რადიკალურად როდი ხდება. დიდებულია, თუკი ყოველივე დიალექტიკურად მიმდინარეობს და თვისობრივად დადებითი შედეგით გამოიხატება.

**XXX**

უთქვამთ: „თავისუფლების დაკარგვით ვპოვეთ თავისუფლება!“ – და სავსებით შესაძლებელია ეს!..

**XXX**

გემოვნებით ჩაცმულობა (და არა „გემოვნებით გაშიშვლება“), ზომიერება ამ საკითხში – ადამიანის გარეგნულ მხარეს განსაკუთრებულ ბუნებრიობას ანიჭებს და ის შეუძლებელია დადებითად არ შეფასდეს. უცხოს თვალში კი არანაკლებ ფასდება, ვიდრე მისი სულიერი მორთულობანი, ვინაიდან, პირველ რიგში, თვალში ისაა საცემი, რისი დანახვაც უმალ ხდება.

**XXX**

ადამის შვილნო, არ ჩაგეთვლებათ მოჭარბებულ ვნებათა ჩაკვლა უარყოფითად ნებისყოფის მეოხებით, ხოლო გარყვნილობით – მისი დაოკება სამარცხვინოდ დაგცემთ.

**XXX**

აღმოჩენა არაა იმის საზღვასმა, რაც კი ადამიანის ცხოვრების არაჩვეულებრივი წილხვედრი ყოფილა ხოლმე.

**XXX**

ქალებისაგან ბევრ რამეს რომ მოვითხოვთ, ვიყოთ გულახდილნი, ობიექტურნი და განვსაჯოთ, თუ რა გაგვიცია მათთვის.

**XXX**

ყოველი, სიყვარულის გარეშე დაუფლებული, რაც ან ვინც არ უნდა იყოს ის, მყისვე კარგავს იმ მაგიურ ძალას, რისი მოლოდინითაც კი, შეეძლო ესულდგმულა ადამიანს თავდაპირველად.

**XXX**

ადამიანს უფლება აქვს ათასნაირი აზრები დაატრიალოს თავში... არც არავინ ართმევს იმის უფლებასაც, რომ შინაგანად შეაფასოს იგი მეტნაკლები უპირატესობით, მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ, მისი საბოლოო „განაჩენია“ ჭეშმარიტი კრიტიერიუმი შედეგის საყოველთაო განსჯისათვის!

**XXX**

თუ ადამიანში მხოლოდ და მხოლოდ, უარყოფით მხარეს ეძებ და ამ მიზნით ნიადაგ ჩაჰკირკიტებ – აღმოაჩენ მას. მაგრამ, მთავარია კი ეს?..

**XXX**

მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შორის პროპორციულობა თუ დაირღვა, შეუძლებელია უკიდურესად სავალალო შედეგს არ გადავანყდეთ.

**XXX**

სიკეთის რწმენა – სწორი მიზანდასახული აზროვნების შედეგია!

**XXX**

უბედურება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის დაკარგვაა, მაგრამ არა – აბსოლუტურად...

**XXX**

საშინელებაა, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ყველაფერი ის, რაც არაადამიანურია.

**XXX**

ჭეშმარიტება ის კი არ არის, თუ ვინ რას ლაპარაკობს ჩემზე... ჭეშმარიტებაა ის, რაც ყველაზე უკეთ მე გამეგება და რომელზედაც დავა უტიფრობაა!..

**XXX**

ბევრს შეეძლო თავი ჩემი მეგობრად ჩათვალა. მე კი? – თურმე ერთეულნი...

**XXX**

იმაზე მეტს ვხედავ, რაცაა საჭირო და იმაზე ნაკლებს, რაც არაა საჭირო. ესე იგი?..

**XXX**

მე იმ მთის მდინარეს ვგავარ, რომელსაც ხანდახან ამ-ღვრევენ ჩამდინარე წყლები, მაგრამ მის არსს, სინმინდეს რომ ველარ სცვლიან...

**XXX**

დრო... აი, საყოველთაო ჭეშმარიტება!..

**XXX**

ვინ მეცოდება? კაცი, რომელიც ცდილობს მოატყუოს, ან როგორც ამბობენ, გააცუროს თვისტომი, მაგრამ, გამოჭერილს იმდენი ჭკუაც აქვს მიხვდეს, რომ არ გამოუვიდა ისე, როგორც ის ფიქრობდა და ჰქონდა გათვალისწინებული. ასეთ დროს შეცბუნებული, თავისდაუნებურად, სამარცხვინო საქციელზე წასწრებულთათვის დამახასიათებელ ელფერს გადაიკრავს...

**XXX**

დღეს, რაც „ჩვეულებრივია“, სვალ შეიძლება „არაჩვეულებრივი გახდეს და ასევე პირიქით.

**XXX**

ნასწავლი ადამიანი, პიროვნება, შეიძლება შეეძაროს უდაბნოში გაყვანილ არსს, რომელიც წყლის ნაკადით ისე რეგულირდება, როგორც ეს საჭიროა ბუნების მაცოცხლებელი მისიისათვის...

**XXX**

ადამიანის გენიალურობაზე, რომელიც ჩვენს ეპოქაში ჩვენს გვერდით მოღვაწეობს, იმსჯელო რაიმე ობიექტურად, შეუძლებელია. ამ კითხვას პასუხი მომავალმა ეპოქამ უნდა გასცეს. ამიტომაც, ბევრ ჩვენს თანამედროვეს თავისუფლად შეუძლია დამშვიდებულად იგრძნოს თავი...

**XXX**

შეიძლება საათს ატარებდე, მაგრამ ჩამორჩე დროს და პირიქითაც!..

**XXX**

ყველაფერს შეიძლება განერიდოს კაცი, მაგრამ საკუთარ თავს, ნურას უკაცრავად!

**XXX**

მუსოლინი ეგზალტირებისათვის ხალხს, თანამებრძოლ ფაშისტებს თავისებური სენტეციით მიმართავდა: „გიჟობდეთ ას წელიწადს ცხვრად ყოფნას ერთი დღე იყოთო ლომი!..“ მაგრამ, საკითხავია, თავად რად იქცა, – კნუტად, ხალხის სამართლიანი განაჩენის მოლოდინში?..

ასე, რომ: სენტეცია სენტეციად დარჩება მხოლოდ, თუ ის სიბრძნესა და რეალურობას არის დაცილებული.

**XXX**

ფერიავ! სიმშვენიერეშია შენი ძალა, მაშინ, როდესაც სიყვარულშია ჩემი, ჩემს, მიერ შენი დაუფლების სურვილი გასულდგმულეული, მაგრამ, რად გინდა, მე რითაც მომადლებული ვარ უცხოა იგი შენთვის...

**XXX**

შეუძლებელია იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებულ პიროვნებას ცხოვრების მძაფრი კოლიზიები არ გადაეტანოს საკუთარ მხრებზე; განცდილი უბედურება უმასვილებს ადამიანს განჭვრეტის უნარს...

**XXX**

ადამიანში ძალას გონება უნდა სძლევედეს მუდამ. აი, რატომ: ადამიანის ძალა სასრულია – ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ, გონება? მას ხომ ნაპირი არ უჩანს! ის ხომ, მთელი სამყაროა; ის, ხომ, უსაზღვროა? და რაოდენ ცუდია და სავალალო, როდესაც ძალის მიერ გონების დაჩრდილვის შემთხვევებს ვაწყდებით მაშინ, როდესაც, ძალა გონებას უნდა ემსახურებოდეს მთელი სისრულით და, არა, პირიქით...

**XXX**

ადამიანი, როგორც მატერია, როგორც მისი ნაწილი, უსასრულოა, ამოუწურავია მასსავით...

**XXX**

პატივმოყვარეობა ადამიანს თუ ახასიათებს, უდიდეს ნაკლად უთვლიან. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი როგორც ასეთი, ჯერ არ არის, შესწავლილი, მეტიც – შეუძლებელია!..

**XXX**

„ხორცი ქცნება... სული მალღდება“ – წინსვლაა ეს, მაგრამ როდესაც უკანასკნელი ასწრებს პირველს – ვიტყვით: აი, ქეშმარიტი მშვენიერებაო! მაგრამ, რაღა უნდა ვთქვათ მაშინ, ხორცთან ერთად თუ ქცნება იგი?..



**XXX**

სიტყვის, მართალი სიტყვის მაგიური ძალა საყოველთაოა: ბასრია, როგორც ხანჯალი, დაუნდობელი, როგორც ტყვია და განმკურნავი, როგორც წამალი!..

**XXX**

რწმენა, რწმენა და ისევ რწმენა ცხოვრების წინსვლის გზაზე! აი, ბედნიერების ზიარების უებარი საშუალება!..

**XXX**

ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს გაიარე და ხალხის თვალში ამოიკითხავ...

**XXX**

ძლიერი ხარ სიკეთის ძალით – ბოროტებას ჩანასახშივე თუ მოსპობ, მაგრამ გამოვლენილ ბოროტებას ბოროტებით უპასუხო, გზის მაჩვენებლად არავინ შეგრაცხს.

**XXX**

ცხოვრება საინტერესო რომ გახდეს, საკუთარი მოქმედება კაცმა ისე უნდა წარმართოს, რომ განვლილი გზა შთაბეჭდილებებით, მოვლენებით აღსავსედ და დიდ მონაკვეთად ეჩვენებოდეს, ხოლო გასავლელი დროის მიმართ უკმარისობას გრძნობდეს ნიადაგ!

**XXX**

ადამიანს გეგმაზომიერი მიზანდასახული მოძრაობა ანართობს ფიზიკურად, მოქმედება კი – სულიერად. საბოლოოდ, მათი ერთიანობა – ჰარმონიულობაში ვლინდება ნამდვილი ზეალმტაცი სრულქმნილება ყოველ მოკვდავთა!

**XXX**

იფიქრე, იოცნებე, იაზროვნე, წარმოსახვას გაუხსენ რაბები; გარკვეულწილად მოწყდი სინამდვილეს: აფრინდი ზესკნელში, შეიჭერ ქვესკნელში; შეუსხეულდი წყვილადს, რათა, ერთგვარად, იხილო სიახლე ნათელით გაცისკროვნებული და სხვაც აზიარო მას!

### XXX

არაფრისაგან, საფუძვლის გარეშე, ვერაფერს შექმნი; ვერაფერს ააგებ ძალიანაც რომ მოინდომო და არც არავინ გავალებს, მაგრამ ცუდი ის იქნება, როდესაც „რალაციისაგან“ „არაფერი“ შეგრჩეს საბოლოოდ...

### XXX

ჩვევად გადაქცეული საქმიანობით თავად, შესაძლოა, არც კი იგრძნო სიამოვნება თვით ამ მოქმედების პროცესში, მაგრამ, საბოლოო შედეგით, უთუოდ, მიიღებ ბევრ რასმე მნიშვნელოვანს...

### XXX

ადამიანის შემეცნების ერთადერთი, მაგრამ ბუმბერაზული ძალა მის გონებაში, ინტელექტში მდგომარეობს, რითაც ის სამყაროს სხვა, სულიერ არსებათაგან დიამეტრალურად განსხვავდება.

### XXX

ჭეშმარიტება წინააღმდეგობების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგად ყალიბდება; როდესაც ორი არაჭეშმარიტება ერთმანეთს ებრძვის თვისობრივად, ახალი რამ წარმოიშობა, მათთან შედარებით პროგრესული. მაგრამ, როდესაც ჭეშმარიტ აზრს... მის მატარებელს ებრძვის, შესაბამისად, არაჭეშმარიტი... და მარცხდება თავად – ეს უკვე სამართლიანად, ჭეშმარიტების გამარჯვებაა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, რაც დროებითია, – უჭკუოთა სიმრავლის მაჩვენებელია მხოლოდ.

### XXX

ხდება ხოლმე, კაცი რომ არ აცლის კაცს ლაპარაკს, ასეთებმა, ნუთუ, არ იციან, რომ ლაპარაკის აკრძალვით სასტიკად სდევნიან ადამიანს? და, თუ, ეს, მართლაც ასეა, უფიცებთან გვექონია საქმე. მაგრამ იციან და, მაინც, არ იშლიან უზრდელებთან.

### XXX

არ იცრუო უნდა, თუ ის სხვისთვის ზიანის მომტანია... და არც მაშინ, თუ ეს იძულებით არაა ნაკარნახევი, რომელსაც არ უნდა მოჰყვებოდეს უარყოფითი რამ...

### XXX

ეჰ, ბევრი რამ შეიძლება თქვან ჩემზე, ბევრი რამ მომამადლონ ან ჩამომაცილონ, მაგრამ, ერთი კია: ეს ცოდვილი სული უფრო მეტს აღიქვამს, გრძნობს და განიცდის, ვიდრე ეს საჭიროა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის... მძლავრი არტერია... ანკარა სისხლი ბნელეთში მოქცეული გამოუვალი ხვედრით...

### XXX

მამაკაცისათვის, რაც შეიძლება ასე თუ ისე დასაშვები იყოს, ქალისათვის მიუღებელია, რაც მათ ბიოლოგიურ განსხვავებულობაში მდგომარეობს, მაგრამ მოხდეს ისე, რომ ქალმა არ დაუშვას ის, რაც არაა მისთვის დასაშვები, მაშინ ხომ მამაკაცები დასაშვებსაც ვერ დაუშვებდნენ?..

ესე იგი, რა გამოდის აქედან? – სიცარიელის შევსება.

### XXX

ადამიანის შეგრძნებებს, აღქმას და აქედან გამონვეულ გრძნობათა ნიაღვარს, მის დინებას გონება უნდა მართავდეს, სანინააღმდეგოდ ინსტიქტებს დამორჩილებული ცხოველებისა.

### XXX

საბრალო თავო, მხრებზე ასე მშვიდად რომ წამოსკუპებულ-ხარ, რად ხარ ეგრე თვითდაჯერებული შენს ნაფიქრ-ნააზრევში? რომ გითხრან, მილიონები დაატარებენ მაგ-დაგვარსო, ვიცი შენი ამბავი, ასე უპასუხებ: ჭეშმარიტება „გარკვეულ“ საკითხში ერთიაო...

სწორედ ამ დროს ცდები და აი, რატომ: თუ საკითხი გარკვეულია, შენი აზრი ვის რაში სჭირდება, გაურკვეველზე, კი, მითუმეტეს...

შენ, მაინც შენსას არ იშლი და აგრძელებ...  
ნება იყოს შენი, ბატონო!

**XXX**

კაცი სულიერად გახრწნილია და გულბოროტი, როდესაც სიკეთეს, სათნოებას არაფრად აგდებს, ხოლო ყოველ უკეთურ მოვლენაზე, კი, ნიშნის მოგებით რომ ქირქილებს.

**XXX**

დიდი კაცი თუ გამოჩნდა არენაზე, მას ისე მისდევენ – ეტანებიან და ეცემიან თავზე, როგორც მესი სიმაღლეს. მესი, უმეტესწილად, თუკი ანადგურებს დაცემის ობიექტს, დიდ ადამიანებს ვერას აკლებს, პირიქით, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მათ პოპულარიზაციის საქმეში.

**XXX**

გენიოსები კი არ ქმნიან ამინდს, არამედ, პირიქით...

**XXX**

„მე არ მაქვს სიკვდილის უფლებაც კი; მე საჭირო ვარ!“ – ასე შეუძლია თქვას ადამიანმა, რომელიც დარწმუნებულია თავისი ყოფით ხალხის სამსახურში.

**XXX**

ერთი ნაცნობი მყავდა, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არავინ დარჩენია გაუკილავი...

**XXX**

იმდენად ნუ გაძლიერდები, ყველას რომ მოერიო, თორემ, მერმე, საკუთარ თავს დაუნყებ მუშტის ცემას. და არც იმისი იმედი იქონიო, ვინმე წამოგეშველოს.

**XXX**

ყველაზე უკეთ ხელმოცარულებმა იციან ერთმანეთის დაიმედება, თუმცა, ისიც კი იციან, ფუჭია ყოველივე.

**XXX**

„ხელი ხელსა ბანსო და...“ მაგრამ, ნურას უკაცრავად, შეიძლება პირდაუბანელი დარჩე.

**XXX**

ადამიანის ფსიქიკის ღრმად გაგება თუ განიზრახე, პირველ რიგში, უბრალო, რიგით ადამიანებს დაუახლოვდი.

**XXX**

გაიჭირვე, გაიჭირვე, თუნდაც ამისათვის საამისო საშუალებაც არ გაგაჩნდეს...

**XXX**

ერთი და იმავემ მოყირჭება იცის, პერმანენტულმა სიახლემ – გადაგვარება, მაგრამ ყველაფერს როდი ეხება ესენი.

**XXX**

ვეფხვი თუ ხარ, ვეფხვი იყავი, ოღონდ, კატად ნუ გადაიქცევი.

**XXX**

კაცმა კაცი მოკლაო, რომ გითხრან, არამც და არამც არ დაიჯერო, რადგანაც ერთი მათგანის კაცობა მაინც ნამდვილად გამორიცხულია.

**XXX**

პატიოსნება – ეს ერთგვარი უპატიოსნებაა ამ უკანასკნელის წინაშე...

**XXX**

თავი გიყვარდეს შენი და მოგწონდეს, დასაშვებია, რადგან ამაში ხელის შემშლელი ან მოცილე ნამდვილად არავინ გეყოლება.

**XXX**

სხვისი შექება არ წარმოადგენს სირთულეს. უფრო რთული საქმეა, თავად გახდე ადრესატი.

**XXX**

მწერალმა, როდესაც თავის ახალ რომანზე კრიტიკულ ნერილებს გაეცნო, გაიფიქრა, ეს რა ღრმა ნაწარმოები გამომსვლიაო.

**XXX**

ნემსის ყუნწი კი გაძვერი, მაგრამ მიიხედე, უკან და დაინახავ მღევარს, მასში გაძრომა სულაც არ დასჭირდება.

**XXX**

თუ ვინმესთან სერიოზული შეხლა-შემოხლის დროს შესაშური მოთმინება გამოიჩინე შიგადაშიგ და მისი წყალობით მოიგე კიდეც, მერმე ნუ მოჰყვები ამის თაობაზე რასმე. მოთმინება თუა, მოთმინება იყოს ბოლომდე. ასე სჯობს.

**XXX**

ბევრი კარგავს ჭკუას ამქვეყნად, მაგრამ ისინი ამაზე არასოდეს წუხან და ჩივიან: „მიშველეთ, მიხსენით, როგორმე მიპოვეთო...“ მის გარეშედაც მშვენივრად გრძნობენ თავს.

**XXX**

ყოველი სირთულის გამარტივება შესაძლებელია და, ამავე დროს, აუცილებელიც, მაგრამ ის კი გაუგებარია, თუ რატომ ქმნიან მას ხელოვნურად?

**XXX**

სამართლიანობას ყოველთვის სხვისგან მოველით და მოვითხოვთ კიდეც, რომელიც უდიდეს სამართლიანობად მიგვაჩნია ყველას...

**XXX**

დიოგენისათვის თავშესაფრის მოვალეობას კასრიც კარგად ასრულებდა, მაგრამ ერთი ეს მითხარით: ყველას რომ მისთვის მიეზაძა, რა გამოვიდოდა ნეტავი? კასრები წალეკავდა ქვეყნიერებას თუ ფილოსოფოსები?..

**XXX**

– ჭკუა დავკარგე, ჭკუა დავკარგე – დაბეჯითებით გაიძახოდა ვიღაც, მაგრამ ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, როგორღა შეძლებდა ამის აღიარებას?

**XXX**

ადამიანებს სიახლეთა უკმარისობის ჟამის დადგომის საშიშროება არ ელით, არც შეაწუხებთ. საქმე ისაა, რომ საშიშროება თვით მაგაშია.

**XXX**

სიშიშვლე მშრალია, წყურვილს კლავს. ვარდის კოკორი გაიშლება თუ არა, სიკვდილს უნდა ელოდოს ნიადაგ. აი, განუკითხავი საცოდაობა.

**XXX**

სიცოცხლეს სიკვდილი მოჰყვება, მაგრამ ამ უკანასკნელს პირველი არასოდეს. უკვდავებას სიცოცხლეშივე უნდა ეზიარო, ფუჭად არ დაკარგო დრო იმაზე ფიქრით, რომ ის მას შემდეგ თავისით გეწვევა.

**XXX**

ერთ რაღაცაში მანც უნდა გაუტოლდე ან გაუსწრო ცხოვრების დონის მაჩვენებელს, თორემ ჩათვალე, თითქოს არც კი გეცხოვროს.

**XXX**

ზოგიერთი მშობელი მატერიალური უზრუნველყოფით ცდილობს უზრუნველი ცხოვრება შეუქმნას შვილებს, მაგრამ მათ მატერიას კი აცლის ამით ფესქვეშ!

**XXX**

– შეცდომა! შეცდომა! – გაიძახიან და მაგიდაზე გამეტე-  
ბით უშენენ მუშტებს. ნეტავი რა დააშავა ასეთი მაგ საცო-  
დავმა?

**XXX**

სანამდე სხვისთვის ყულფს მოამზადებდე, იზრუნე სა-  
თადარიგოსათვის, აუცილებლად გამოგადგება იგი მეორე  
მოქმედებისათვის, სადაც მოქმედი პირი შენ იქნები მს-  
ოლოდ.

**XXX**

წინააღმდეგობა – ეს კაცობრიობის არსებობის მასტიმუ-  
ლირებელი წყაროა.

**XXX**

სიცრუეში დაოსტატება უდიდეს სიბრძნეს მოითხოვს...

**XXX**

ხანდახან თავი ისე გაიშვიათებული ხდება, რომ ტანსაც  
ატმოსფეროსაკენ მიაქანებს.

**XXX**

სარკეში დაუძინებელ მტერს ვხედავ. საქმე ისაა, რომ  
ჩვეულებრივ დროს ვერ ვამჩნევ მას.

**XXX**

მწერალმა, როდესაც თავის ნაწარმოებზე უარყოფითი  
კრიტიკული წერილი წაიკითხა, აღშფოთდა: „ამაზე მეტი  
საზიზღრობა შეიძლება, აზრები მოგპარონ, მოგპარონ და  
დაგიპირისპირონ კიდევაცო?!“

**XXX**

რაც უფრო მაღლა-მაღლა მივიწევთ, მით უფრო ვამსუბ-  
უქებთ დედამიწას.



**XXX**

უშურველად გაიღო, უშურველად ხარჯა და ბუმბერაზი დარჩა ბოლოს.

**XXX**

მზე შეიძლება ხელის გულითაც დაჩრდილო...

**XXX**

სულის გადანერგვაც შეიძლება, მაგრამ ასეთი ოპერაციები დიდ დროს მოითხოვენ: პაციენტთა მთელი შეუგნებელი სიცოცხლის მანძილზე უნდა გაგრძელდეს...

**XXX**

დასაბუთებული ეჭვი ფაქტია...

**XXX**

ნეკროლოგისათვის ტექსტს თვით გარდაცვლილი ტოვებს.

**XXX**

დაუმსახურებელი პატივის მიგება ადამიანს კი არ ამაღლებს, არამედ აუფასიურებს მას.

**XXX**

ჭკუა არასოდეს არაა ზედმეტი, მაგრამ თუკი მასში გვიან „ჩავარდი“, პირადად მაინცდამაინც დიდ სამსახურს ვერ გაგინევს...

**XXX**

ბუნებით მლიქვნელმა, როდესაც კამათის დროს არავის და არაფერს რომ არ დარიდებია, ისე გააცამტვერა, გაასწორა მიწასთან ყველაფერი, რა თქმა უნდა, განაცვიფრა მსმენელნი. მაგრამ მათ რა იცოდნენ კბილის პროტეზის გაკეთება რომ დავინწყებოდა საცოდავს.

**XXX**

ბევრ ადამიანს ბუმბერაზი ორგანიზმი აქვს, მაგრამ სულს ვერა და ვერ დაუდვია ბინა მანდ. ის კია, თავად მშვენივრად მოკალათებულან სრა-სასახლეებში.

**XXX**

ისტორიის შემოქმედნი, დამხმარენი და შემყურენი – აი, ძირითადი მასა ადამიანებისა, კაცობრიობას არსებობას რომ ანარჩუნებენ.

**XXX**

გულგრილობა – ეს ყველაზე საზარელი სახრჩობელაა სულისა.

**XXX**

მეგობარო, იმდენს აზროვნებ, რომ მეშინია არ დაგცვივდეს იგი და არ წაღეკოს ყოველივე.

**XXX**

ძალდატანება? მშვენიერია, მაგრამ საკუთარი თავის მისამართი არ დაგავიწყდეთ!

**XXX**

დაუნდობლად ებრძოლე საკუთარ თავს და თუ დამარცხდი, მართლაც შეგეძლება დაიტრაბახო, ნამდვილი თავი მქონიაო.

**XXX**

თევზი ანკესზე პირით წამოეგება ხოლმე, ადამიანი დამატებით, თავითაც...

**XXX**

როცა მოგმართავენ უმეცარი ხარო, ძალიან კი ნუ გეწყინება, რადგანაც უცილოდ გრჩება უფლება გაინთავისუფლო თავი მისგან.

### XXX

ადამის შვილნო! ნუ აჩქარდებით, ნუ გადაგრევთ, ნუ მოგხიბლავთ „სიმდიდრის დოლი“. იცოდეთ! – ყველაზე დიდი სიმდიდრე და განძი – ესაა პატიოსნება, სინდის – ნამუსი.... გაუფრთხილდით – ყოველივეს მოპოვება, დაკარგულის აღდგენა შეიძლება, გარდა ამ ღვთაებრივისა... ნუ დაკარგავთ მას! ის თქვენ ხელთ გიპყრიათ...

### XXX

ვინც არად აგდებს განვლილ გზას და მხოლოდ მომავლის იმედით საზრდოობს, თავისთავად გამორიცხავს ან-მყოფი კმაყოფილებას. საბოლოოდ, ასეთნი ნუთისოფელს უღიმღამოდ განვლენ. ისინი კი, ვინც წარსულს განადიდებს მომავლისა და დღევანდელი დროის საპირისპიროდ, უარეს უკიდურესობაში ვარდება...

ნამდვილი ადამიანები არიან სამივე დროში მცხოვრებნი მხოლოდ, რომელთაც გასიგრძელებული აქვთ ყოველი თვისტომთა სამსახურისათვის...

### XXX

ყოველ მოქმედებას სარგებლიანობის იარღიყს თუ მივაკრავთ, შეიძლება აბსურდულ ყოფაში მოვექცეთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ბევრ რამეს ფილოსოფიური მტკიცებანი არ ესაჭიროება...

### XXX

ადამიანი ძლიერია, თუ მას გააჩნია უნარი დაეუფლოს საკუთარ მოქმედებას გარკვეული მიმართულებით მიზანდასახულად წარმართვისათვის, მაგრამ, კეთილშობილი მხოლოდ მაშინაა იგი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება, არ ლახავს თვისტომთა საფუძვლიანსა და კანონიერ ინტერესებს.

### XXX

ადამიანებს, რომელთაც დადებითი მიდრეკილებანი ახასიათებთ, ინტელექტით ნასაზრდოები, ინტერესითა და ნებისყოფით განმტკიცებული, – აღმოგვხვდება: აი, უდიდე-

სი მაღლი ბუნებრიობისა და შექენილ თვისებათა ჰარმონიულობისა – მშვენიერებით სახელდებული!

**XXX**

ადამიანის ბუნება ასეთია: სურთ გამორჩეული იყვნენ, რაც შეიძლება მეტი ილაპარაკონ მასზე...

ზოგნი მართლაც აღწევენ ამას ღირსეული გზით, ზოგნი, კი – უღირსით...

პირველთ დიდება! მეორეთ – რისხვა!

ასეთია მორალურობას დაფუძნებული ჭეშმარიტი განაჩენი.

**XXX**

აბსურდულია და საშინელება იმის მტკიცება, რომ ადამიანს სამყაროს რალაც ნამცეცად, რალაც ნაწილაკად და არარაობად რომ სახავენ... მაშინ, როდესაც ადამიანი, ეს არის სამყაროში თავისებური სამყარო, რომლებიც „ურთიერთგარეშე ვერ იარსებებდნენ“.

რაც შეეხება მტკიცებას, ადამიანის არარაობის შესახებ; ასეთი რამ ჭირდებათ იმათ, რომლებიც ადამიანის მიერ ყოველგვარი ბოროტების გამართლებას, ან მის დაშვებას რომ ცდილობენ.

**XXX**

ალბათ ზღაპრად მოეჩვენებოდა კაცს ათეული წლების წინათ რომ ეთქვათ რაიმე გულის გადანერგვის თაობაზე, ან კიდევ, მოჭრილი სხეულის ზოგიერთი ნაწილის კვლავ მიერთებაზე... მაგრამ, დღეს ეს უკვე რეალობაა, ფაქტია...

ამჟამად რომ ვკითხოთ დღევანდელ ადამიანს, მთლიანად თავის შეცვლა ხორციელდება და სერიოზულად რა შეიძლება მოჰყვეს ამას-თქო; ის გაკირვების გარეშე უმაღ გიპასუხებს: „იდებები შეიცვლებიანო მხოლოდ!..“

**XXX**

გარკვეულწილად ეს ცხოვრება სიმსუბუქითაა დამძიმებული!

## ბოლოთქმა

„ბიბლია“ ხელშესახები ჩემთვის და, ალბათ, აბსოლუტური უმრავლესობისათვის, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

დედამიწის ზურგზე ასალი არავის არ უთქვამს, რაც მანდ (ბიბლიაში) არ წერია, მაგრამ ადამიანებს არ ერთმევა შესაძლებლობა მიუახლოვდნენ ჭეშმარიტებას და ამით სიცოცხლეს ცხოველმყოფელობა და აზრი მისცენ.

თავად ჩემს თავს ამგვართა რიგში ვთვლი და თუ როგორ გამომივიდა, მკითხველმა განსაჯოს.

უფალი გვფარავდეს!

2009 წ. 12 დეკემბერი.

## მოკლე ბიოგრაფია

დავიბადე... დავბადებულვარ... მოვევლინე და ასე შემდეგ... ცნობილი პირები თავიანთ ბიოგრაფიას რომ წერენ, ასე იწყებენ და შემდგომ ტყუილ-მართალს, რომ იტყვიან, ხან ასე და ხან ისე უბერავენ. სხვების რა მოგახსენოთ და მე პირადად, ვერცერთი მიმართულებით დავუბერავ: ჯერ ერთი, ამას არც კაცობა მაპატიებს და არც ისინი, ვინც ჩემი ცხოვრების გზას არცთუ ისე ცუდად იცნობენ.

ასე რომ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, პირველ რიგში, დაბადების თარიღს ჩემსას თავს არ მოგახვევთ დაბეჯითებით. ამიტომ, მოკრძალებით აღვნიშნავ: „დავბადებულვარ“ 1949 წლის 1 მაისს ნაგვაზაოში..“ ახლა, ვინც ჩემს პირადობის მოწმობას გადახედავს, ჩაიქირქილებს – ტყუილში გამოვიჭირე, იქ სხვა თარიღი წერიაო. ის კი არადა, ცხონებულ მამაჩემსაც შეუცვალეს სახელი სხვადასხვა საარქივო მონაცემებიდან გამომდინარე. კიდევ კარგი, პირადობის მოწმობაში დღეს არავის მოსვლია აზრად მამის სახელი აღნიშნულიყო. ამიტომ, თამამად შემიძლია, წიგნს თუ გამოვცემ, „გრიგოლის-ძე“, „ჟორჟის-ძე“, (რაც ნამდვილია), დავაფიქსირო. ისტორიასაც ეგრე შემორჩება და ყოველივე ამის გამო ძალიან გახარებული ვარ და თქვენც თუ გაიზიარებთ ამას, ძვირფასო მკითხველო, ძალიან მადლობელი ვიქნები. ყოველივეს, თუკი ცნობიერება ბოლომდე შემომრჩა, არ დაგივიწყებთ.

მაშ ასე, დავბადებულვარ 1949 წლის პირველ მაისს გრიგოლ (ჟორჟი) არტემის ძე ჯღარკავას ოჯახში (ნაგვაზაოში). ამას, რა თქმა უნდა, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, რადგან გადმოცემით ჩემი ამქვეყნად მოვლინება საავადმყოფოში მომხდარა, რომელიც რაიონულ ცენტრთან ახლოს მდებარეობს, რომელსაც ოდესღაც მარტვილი ერქვა და სხვათა შორის, დღესაც ამ სახელს ატარებს.

ახლა კი, მკითხველო, მაპატიეთ, თუკი ცოტაოდენ თავსატეხს გიჩენთ, რათა გაარკვიოთ ზუსტად იმ დროს რაიონის სახელი, რომელმაც სამშობლოს გამბედნიერებლად ჩემი

თავი მოუვლინა, – ტაბუირებული რომაა. არც ის უნდა გაგიკვირდეთ, მომავალში ამ რაიონს (მარტვილს) ჩემი წინაპრების შთამომავალთა სახელიც ეწოდოს და არც იქნება გასაკვირი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ასეც მოხდეს...

დედა, დუშა ანტონის ასული სანაია დღესაც შემართებითაა, რა თქმა უნდა, სულიერად. ისე, ცალ თვალში ჩინი აქვს დაკარგული, ორი ჯოხით დადის და სოციალური დახმარების სიმძიმეს რომ არ გაესრისა, „საბედნიეროდ“, გაანთავისუფლეს მისგან, რაც „უდავოდ“ მისასალმებელია...

მამა, ვერ ვიტყვი მშვიდად განისვენებს-მეთქი 2001 წლიდან, მაგრამ მაინც ბედნიერად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს და ამით მის გონიერ შთამომავლებს ნუგეში თავისთავად ეძლევა...

საერთო წინაპრებზე ვრცლად ვერ მოგიხსრობთ, რადგან, მას მომავალში მას მერმე ვაპირებ, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ,თუ დღეს რა ტერმინსაც ხმარობენ ხოლმე, ცნობადი ვიქნები. ასე, რომ ფირცხალავებზე, ჯღარკავეებზე, სანაიებზე, დანელიებზე, კუპრავებზე და ასე შემდეგ, მკითხველებო, ძალიან საინტერესო მასალებს მოგაწვდით და შეგიძლიათ ამის მოლოდინში წინასწარ გამხიარულდეთ ან ისიამოვნოთ. მითუმეტეს ეს თქვენს ჯანმრთელობას სამომავლოდ დიდად წაადგება! და ნუ მოთოკავთ თავს, რათა ზედმეტი სერიოზულობა დაიჩემოთ ან გამოიჩინოთ. ეგეთი ამბები წიგნის კითხვისას დაუშვებელია და ნურც თქვენ გაჯიუტდებით!..

მაშ ასე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დავბადებულვარ ერთ მშვენიერ მაისის დილას თუ შებინდებისას, რასაც მაინც და მაინც დიდ არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ და ნურც თქვენ გაიჩენთ თავსატეხს ამ მიმართულებით..

ბავშვობა ურიგო არ მქონია. ორი ძმა მყავს: ერთი, მამელი, ჩემამდე მოევლინა ქვეყანას და ერთიც, გოგი, ჩემს შემდეგ. ესე იგი, შუათანად ვითვლებოდი და ვითვლები დღესაც, რაც უდავოდ შთამბეჭდავია და საამაყო და ამით ძალიან კმაყოფილად ვგრძნობ თავს.

სკოლაში სწავლის პერიოდი ძალიან პროდუქტიული და საოცარზე საოცარი გახლდათ თავისი მრავალფეროვნებით, რაც უდავოდ ცალკე წიგნად გამოცემას იმსახურებს და ამიტომაც აქ თავს არ შეგანწყენთ. ოჰ, ეს რა წამომცდა, უფრო სწორი იქნებოდა მეტქვა – არ გაგანებივრებთ ზედმეტად სიხალისით-მეთქი და ჩემს თავმდაბლობას, დარწმუნებული ვარ, ამით განსაკუთრებულად გამოვკვეთდი და თქვენც, ძალიან გთხოვთ, ძვირფასო მკითხველო, დამეთანხმოთ ამაში.

როგორც ჩვეულებრივ ახალგაზრდათა უმეტესობას, მეც მიყვარდა ერთი, ორი და ასე შემდეგ, ვინც კი განსაკუთრებული სიმშვენიერით გამოირჩეოდა. ვუძღვნიდი ლექსებს, ვათენებდი ღამეებს და, მართალი გითხრათ, ჭეშმარიტი სიყვარულით ვთვრებოდი და ეს დღემდე გამომყვა, რაშიც კარგის მეტს ვერაფერს ვხედავ და ამჟამადაც ჯიუტად ამ აზრზე ვდგავარ.

სპორტის ბევრ სახეობას განსაკუთრებული თავდავიწყებით მივსდევდი და წარმატებებიც გამაჩნდა. სწავლისთვის ამას ხელი არ შეუშლია და საბოლოოდ, ოქროს მედალიც კი დავიმსახურე, მართალია, ამ ოქროს მედალმა დღეს სამსახური ვერ გამიწია (არცერთმა ლომბარდმა არ ჩაიბარა), მაგრამ, როგორც ასეთი რელიქვიად დარჩენილს სულაც არ რცხვენია სიამაყით რომ გამოიყურება. უფრო მეტიც, მისი წყალობით თბილისის უნივერსიტეტში შეღწევა ერთი საგნის ჩაბარებით შევძელი, რაც უდავოდ მის კეითლშობილებაზე მეტყველებს და ამას ვერ დავუკარგავ. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი მრავალმხრივი და ფათერაკებით სავსე იყო და თუ არსთა გამრიგემ დამაცალა, მას ერთ წიგნს თუ არა, მესამედს მაინც მივუძღვნი, რაც, ალბათ, უდიდესი შენაძენი გახდება მომავალი თაობებისათვის. ამასაც ვაზუსტებ: მომავალში ამ ქვეყანაზე ვინც აპირებს გაჩენას, არ გავანზილვებ.

მკითხველები, თუკი ასეთნი, საბედნიეროდ, მრავლად იქნებიან, შესაძლოა სინანულით შემომჩივლონ და ასე შემდეგ, მაგრამ მათ პირობას ვაძლევ, რომ ყოველგვარ ინფორმაციას, სანამდეც ეს (წიგნის გამოცემა) მოხდებოდეს, არ



დავზარდები და პირადად ჩემგან მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, ასეთნი ბედნიერად თუ არა, კმაყოფილად იგრძნობენ ან ჩათვლიან თავს. ერთს დავსძენ: ურიგოდ არ დამიმთავრებია თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, რისი დასტურიც გახლდათ ის, რომ ერთადერთს თუ არა (1972 წელს), ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულითაგან ერთ-ერთს მაინც ასპირანტურაში შესვლისათვის სამეცნიერო საბჭომ, რასაც პროფესორი მამია ლაღანიძე ხელმძღვანელობდა, რეკომენდაცია მომცა დითირამებით და თანაც, თბილისში გამანაწილეს სამუშაოდ ვაჭრობის სამინისტროში უფროს ეკონომისტად, რაც იმ დროისათვის ძალიან დიდი დაფასება გახლდათ.

მართალია, აღნიშნული მისამართით მუშაობა ვერ დავინწყე ერთი უბრალო მიზეზის გამო: ის ადგილი ვილაც გავლენიანი პირის შვილის თუ ძმისშვილისათვის მიუკუთვნებიათ, რაც, რა თქმა უნდა, ჩემთვის არავითარ შელავათს წარმოადგენდა. გული მაინცდამაინც არ შემწუხებია და არც ფერი დამიკარგავს. ის კია, უმუშევრად ყოფნა კარგა ხანს რომ გამიგრძელდა, პროტესტის სხვადასხვა ფორმებს მივმართე, რაც ძალიან შედეგიანი და მიზანმიმართული აღმოჩნდა. ასე აღმოვჩნდი, ჩემდა სამწუხაროდ, საკმაოდ მოზრდილი, გრძელი სასურსათო მალაზიის ხელმძღვანელად და სწორედ იქიდან იწყება ფათერაკებით სავსე ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც სამ მოზრდილ წიგნს თუ არა, ერთს მაინც იმსახურებს და ჩემო ძვირფასო მკითხველო, თქვენს ბედნიერებას ცოტა ხნით თუკი გადავდებ, ნუ გამინაწყენდებით – ქესატად ვარ და რომც დავწერო, მაინც ვერ გამოვცემ დღესდღეობით. ასე რომ, ჩემო კარგებო, მატერიალური უღონობა აუცილებლად უნდა მაპატიოთ, ნამდვილად მჯერა თქვენი სულგრძელობის!

მაისში დაბადებულმა ციხე უნდა გამოსცადოსო, წამიკითხავს სადღაც და თუკი ჩემს ცხოვრების ეპიზოდებს გადავფურცლავთ, ძალიან შთამბეჭდავად ამართლებს ზემოთ აღნიშნულ ვერსიას:

პირველად ხელფასი რომ ავიღე, თანამშრომელთა ერთი

ნაწილი რესტორან „საქართველოში“ წავიყვანე, რომ ეს განსაკუთრებით აღმენიშნა... იდგა 1972 წლის იანვარი.

სუფრაზე რომ ვისხედით, უგუნებოდ ვიგრძენი თავი: ხორციანი კერძი არ მიიღო გულმა, ლობიანი მოვატანინე (როგორც შემდგომ აღმოჩნდა, იმ მომენტისათვის გამზრდელი ბებია ლიუ ჩაგუს ასული ფირცხალავა, რომელსაც დედას ვეძახდი, გარდაცვლილი ყოფილა...).

სუფრის დამთავრების შემდეგ რესტორნიდან რომ გამოვედი, სასტუმრო „საქართველოს“ წინ უცნობმა ტაქსის მძღოლმა მგზავრს გაჰკრა გვერდი, რის შედეგადაც ის დაეცა და დაშავდა კიდევ. გამოჩნდა მილიცია (მაშინ ასე ეძახდნენ) და ჩვენც, იქ მდგომნი, როგორც მოწმეები, განყოფილებაში წავიყვანეს ძნელადი ქუჩაზე. სამორიგეოში, ვხედავ, მილიციის თანამშრომელი მთვრალ ახალგაზრდას სასტიკად სცემდა. ჩემთვის ეს წარმოუდგენელი ფაქტი გახლდათ. მორიგეს კანონიერებისაკენ მოვუწოდე, რის გამოც თავაზიანად დედის შეგინება მივიღე. მეც თავაზიანობით უმალ ვუპასუხე და მილიციელი იატაკზე გასრიალდა... ცოტა ნასვამი ვიყავი, რასაც ცუდი ზეგავლენის მოხდენა ჩემზე ნამდვილად არ შეეძლო. დღესაც ჩემს იმ საქციელს გამართლებულად მივიჩნევ.

ატყდა ერთი ამბავი – ძნელი შეიქმნა ჩემი დაკავება (სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ საცემრად ხელი არ დაუკარებიათ). ერთი კაცი არ დამავიწყდება – მაიორი ანდრო ხარჩილავა – ვაჟკაცი, ძლიერი აღნაგობის კაცი, რომელმაც ჩემგან ტრავმა მიიღო, მაგრამ იქ რაც მოხდა და რატომაც, ამის შესახებ მილიციის უფროს ხაჟალიასთან სიმართლე არ დაუმაღავს, რასაც ჩემი შემდგომი ბედისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველი ხელფასი კამერაში აღესრულა საბოლოოდ. სიგარეტის მოწევა იქ დავიწყე. გარდაცვლილი ბებიის დაკრძალვას ვერ დავესწარი, რაც ყველაზე დიდი საშინელება გახლდათ. ისე, ნამდვილად იყო ხელშეწყობა – დაკრძალვის დღეს გამიყვანეს კიდევ კამერიდან სხვებთან ერთად ვითომ სამუშაოდ, მე კი გამაჰარეს... მაგრამ, სამწუხაროდ,

უამინდობის გამო დასავლეთისკენ ფრენა არ იყო. ჩემი ფეხით დავბრუნდი იზოლატორში. ათი დღე დავყავი მანდ. სამსახურიდან განთავისუფლება მომინდომეს, მაგრამ თვითონ მილიციის უფროსმა ხაჭალიამ დაურეკა კვებვაჭრობის უფროსს და კატეგორიულად მოსთხოვა ხელი არ ეხლოთ ჩემთვის, როგორც გაუგებრობის მსხვერპლისათვის.

მეორედ ერთი დღით მოვხვდი ისევ მოწმედ ძალიან საჩოთირო საქმეზე. დაკავება მომინდომეს, ფული რომ შეეწერათ, (ეს მაისის რაიონში ხდებოდა), – მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ორივე შემთხვევა ძალიან ბევრ საინტერესო და სახალისო ეპიზოდებს შეიცავდა, რომლის გადმოცემაც აქ მიზანშეწონილად არ ჩავთვალე.

მესამე შემთხვევა – ძალიან რთულ, დაუფერებელ ამბებს უკავშირდება და მისი სრულიად გადმოცემას ალბათ ცალკე ნიგნი ნამდვილად დასჭირდება.

მოკლედ ვიტყვი: პატიმარი გახლდით პოლიტიკური სტატუსით, თუმცა სამეურნეო დანაშაულის მუხლით ვიყავი გასამართლებული. მომარონიეს რუსეთის რამოდენიმე ციხე როსტოვიდან კომის ჩათვლით და პირიქით. საშინელი სირთულეები შემხვდა, მაგრამ უფლის წყალობით უვნებლად გადავრჩი.

1990 წლიდან ყოველგვარი პიარის გარეშე ვაკეთებ იმას, რისთვისაც უნდა იღწვოდეს ყოველი სამშობლოს მოყვარული ადამიანი, რომელსაც ღმერთი სწამს. ამით, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, ყველაფერია ნათქვამი.

2009 წ. 25 დეკემბერი

## შინაარსი

წინასიტყვაობის მაგიერ – ჩემი ფიქრი, ჩემი გზა-----	3
მხოლოდ მაშუღი-----	4
თუ გსურს -----	5
სუღის სიმფონია-----	5
რა იქნებოღა? -----	6
არ სჯობღა განა? -----	7
სეეღიანი კაცის სიმღერა -----	7
(ძვეღი ვნახე მეგობარი, შემომჩივღა: „სად ხარ, კაცი)---	9
(საშინღად წვიმს)-----	9
რით განუგეშო-----	10
(სიშმაგით ვარ შეპყრობიღი)-----	11
გაუღარჯოს ვეთაყვანე -----	11
სიყვარუღო -----	13
ო, ეს შემადღებინე -----	15
(„ღიღთან ღიღი და პატარასთან ვარო პატარა“)-----	16
ოღონღაც -----	17
მიღი, გასწიე!-----	17
(არარაობავ, უსახო ხარ და უფერუღი)-----	17
(ფიქრობ ერთს, სხვას ირწმუნები უსირცხვიღოდ დაჯერებით) ---	18
(წინ მიღვას ბოთღი)-----	18
(ადამიანო, ვუფრთხიღღეთ თვისტომთა ჩვენთა ღირსებას) ---	19
კანონი ციხის -----	20
საკანში-----	22
არ დაიჯერო-----	23
(თანამგზავრი ცხოვრების და ბრძოღის წარმართვეღი)-----	25
(კეთიღო ჩემო, დააკვირღი ცხოვრების ხღართებს)-----	25
(იმრომ-იღვაწე, წუთისოფღის რაობას ენღე)-----	25
(„მას მომიკიო რასაც დასთეს“ – თქმულა ძვეღთაგან) --	25
(ნუღარ ვიღავებთ, იმ ქვეყნად ყვეღას დაგესერავს მატღი) ---	25
(მასში ვინც გვიყვარს შევამჩნიოთ ძნელია ნაკღი)-----	26
(ნუ აქიღიკებ რაზეც სისხღი დაუნთხევიათ)-----	26
(კმაყოფიღი ბეღით შენი უნღა იყო მუღამ)-----	26
(სიღართღვსა თვალები რომ გაუსწორო უნღა)-----	26

(ის, რაც არის ეგზომ მწარე, ეგზომ დამტანჯველი)-----	26
(სხვისგან რომ ელის ათას რასმე ნიადაგ ლემი)-----	27
(გაურხსულება არცთუ ისე არისო ძნელი)-----	27
(იხუმრე, ძმაო, თუკი იგი მიზანში ხვდება)-----	27
(ვხვდები რაზეც ფიქრობ, იწვი, რაზეც გიწუხს გული)---	27
(ნუ იფიქრებ წუთისოფლის ხარ უნიფხვო გერი)-----	27
(თავის შიშით სხვას ხელს ვეღარ, ვეღარ უწვდი, გარბი)---	28
(კაცის რა გაქვს შერჩენილი, დაგისრია თავი)-----	28
(გვართობს გვაღალეებს მოგონება გარდასულ წლების)---	28
(ყველაზე უფრო მოგონებებს მაშინ აქვს ფასი)-----	28
(ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ ვინ სთქვა არ აქვსო ზღვარი)---	28
(სიბრძნე ხიდია, ოქროს ხიდი ფასდაუდები)-----	29
(სიღიადეა წინ აღუდგე უკეთურ ზრახვეებს)-----	29
(საყოველთაო რაც არის ქვეყნად მშვენიერია)-----	29
(სიწმინდე სულის – ეს ღვთის მადლია განუზომელი)---	29
(იყო ამაყად მაშინ, როცა მწვერვალზე იჯდე)-----	29
(დასუსტებულმა საძნელოა, გადურჩე სნებას)-----	30
(მრავალმხრივობა, მრავალსახე ჰქმნის ჰარმონიას)-----	30
(გულშხამიანო, გაარჯლებულ ღვარძლი რომ გახის)---	30
(რაც რომა სოფლად გაგჩენილვართ საცოდავეები)-----	30
(იმიტომ გაგჩნდით ქვეყნად, ჩემო, კეთილო კაცო)-----	30
(ხოტბას მოითხოვს, თანაც ყველას დასცქერის ცერად)---	31
(ვხვდები: გაღხენს და აღმაფრენას ეძლევი მაშინ)-----	31
(ითვლის, იზომავს ყოველივეს სხვა არვინ ახსოვს)-----	31
(გზაზე მიდიხარ თავდახრილი ერთი რწმუნებით)-----	31
(მსოფლიო სევდას შეუპყრისხარ, დამდნარხარ დარდით)---	31
(თავგამოდებით ირწმუნები – ხვითო ყოფილხარ)-----	32
(ბოროტებას დიდს დაუდრნია ეს შენი სული)-----	32
(მოგვაქროლებს – მიგვაქროლებს წუთისოფლის ეტლი)---	32
(უსულოდ და უგულოდ თუკი დაიარები)-----	32
(დაფათურობ სხვის სულში უწმინდური ხელებით)-----	32
(ვისაც ჭია უსაშველო შესჩენია ეჭვის)-----	33
(დრო მირეკავს, მიდის-მიდის, არც ზნეს იცვლის არც ფერს)---	33
ო, ღმერთო -----	34
ნუთუ -----	35

(დღეს ერთისაა)-----	36
(სიცრუე ზეობს)-----	37
ნეტავ-----	38
თავისუფალ საქართველოს-----	40
(გახდი პარლამენტარი)-----	40
ასმათ-----	41
დედა შვილს ნანა და მაკა მაღალაშვილებს-----	42
(კარის პოეტებს მოგმართავთ ყველას)-----	42
(ეროვნება, მხოლოდ)-----	43
პარლამენტარებს-----	43
დაჰკარ და დაჰკარ-----	44
(დახუთულ დრუბლებში)-----	44
(გზანი ძველნი)-----	45
სიკვიდილ-სიცოცხლის გააბაექრება-----	46
ზოგი ისე, ზოგი ასე-----	52
ისევ ზოგზე-----	53
(იყო დამე - შუა დამე)-----	54
რჩევა ანონიმებს-----	54
(ჩემი ქვეყნისთვის)-----	56
(სინანულმან საამურად)-----	57
რადას ვუცდით-----	58
მომილოცავს-----	59
ნაჟური-----	60
ძველებურად-----	62

### **ქალებს (სატრფიალო და სალალოზო ლექსები)**

ეჰ, ცირა, სული-----	64
ნატვრა თუა (სიმღერა)-----	65
ნელი-----	65
ქალებს-----	66
ყველას ერთად-----	69
ჰა, ბურთი და მოედანი-----	70
(ბაღში ვნახე)-----	71
ჩქარა-ჩქარა-----	71

ნეტავი (სიმღერა)-----	73
ფა... ფანფარები -----	73
სულ სხვა არის (სალაღობო)-----	74
(უფრიალებს ქარი კაბას)-----	77
(აისს მაგონებს ზღვის პირას ქალი)-----	77
ირმას (ექსპრომტად)-----	78
ექსპრომტად ნ.ჯ-ს -----	78
იყო მშვიდად გაწოლილი (სალაღობო)-----	79
ინავარდე (მიექდენა ასმათს)-----	81
(ამ ახალი წლის დილაზე)-----	82
მუდამ შენთან ვიქნები -----	82
დიდებული (სალაღობო) -----	83
ვენაცვალე, ვენაცვალე (სალაღობო)-----	85
მე სად ვარ და...-----	86
შეგვიანებულთა გაბაასება-----	89
როგორ მიყვარს (სალაღობო) -----	91
საქანელა -----	92
მაინც შენთვის-----	93
(ასაფრენად ატაცებულს ჰგავხარ მერცხალს)-----	94
გაქრი, გოგო, გაქრი!.. (სიმღერა) -----	95
ნანა რადიანს (ექსპრომტად)-----	97
ექსპრომტად ნანა ჯაიანს -----	97
(თვალეები დადარი) -----	98
(ვეღარ წარმომიდგენია)-----	99
(გრძნობების ქარიშხალი მძვინვარებს)-----	100
ლია (სიმღერა)-----	100
(გოგო-ვაჟმა ერთმანეთთან)-----	101
ღალი წიკლაურს (ექსპრომტად)-----	102
პატარა გოგო (სიმღერა) -----	102
ლორენა (სიმღერა)-----	104

## ორი პოემა

სინანული -----	106
უცნაური ქორწილი-----	111

**ახრები, ფრაზები, გამოთქმები და სხვა...**

(დმერთო, მომეც ძალა მისი)-----	139
წინასიტყვაობა-----	140
სუბიექტურზე და...-----	140
შინაგან ძალაზე-----	141
მსგავსება განსხვავებაზე-----	141
ადამიანის ჩვევებზე, მოქმედებებზე...-----	142
ქება-დიდებაზე-----	142
მშვენიერებაზე-----	143
ო, ეს ბედნიერებაა-----	143
უთქვამთ-----	144
ნაკითხზე და უვიცზე-----	144
ურთიერთობებზე-----	145
ადამიანის ნებაზე-----	145
დაწერილ-დაუწერელ კანონზე-----	146
ადამიანის უბედურება-----	146
ჩვენი ნუგეში-----	147
ბედნიერებაზე-----	147
პატარა რჩევა-----	148
ორიოდე სიტყვა „საწყისის“ გარშემო-----	148
შეგრძნებაზე, გონზე...-----	151
პატარა პრობლემა-----	152
ბრძენკაცზე, უვიცზე და...-----	153
ბედზე და ადამიანურ ცდომებზე-----	155
გამონათქვამები-----	156-191
ბოლოთქმა-----	192
მოკლე ბიოგრაფია-----	193



ALEKSANDRE (JEMAL) GRIGOLIS DZE JGHARKAVA

# DRO

## SATRPIALO DA SALGHOBO LEKSEBI

რედაქტორ-კორექტორი – ნარო კოლხელი  
(ნარიმან იაშაღაშვილი)

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა –  
დავით ხოსიაური

თბილისი  
2012